


SK/25256  
K 2

37

დ. კარნიჭაშვილი

# ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია

ბეჭდვითა და  
მათერაბეჭდვით  
საუკუნე



1929

სახელგამი

*Handwritten signature*

*25/12/29.*

*John A.*



002(41)

დ. ქარიჭაშვილი

# ქართული ღიგნის გეჭღვის ისტორია

JK 25256  
2

მეჩვიღმეტე და მეთვრამეტე საუკუნე

შინ არ გავიყვანო

სახელგამი • 1929





შეკვ. № 1326.  
მთავლიტი № 1456.  
ტირაჟი 2000.

## წინასიტყვაობა.

დღევანდლამდე არ დაწერილა ქართული წიგნების ბეჭდვის სისტემატიური ისტორია. ჩვენი შრომა არის პირველი ცდა ამნაირის ისტორიის დაწერისა. როგორც ასეთს, რასაკვირველია, მას ექნება ბევრი ნაკლი. მაგრამ ამას თავისი მიზეზები აქვს.

მართალია, არის რავდენიმე შრომა, რომელნიც თუ სისტემატიურს ისტორიას არ წარმოადგენენ, ასე თუ ისე ამ ისტორიისთვის მასალას მაინც იძლევიან. მაგრამ უმთავრესი და თითქმის ერთადერთი მასალა მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნის ქართული წიგნების ბეჭდვის ისტორიისთვის თვით წიგნებია. ამ წიგნებს თავში და ბოლოში დართული აქვსთ ისეთი ცნობები, რომლებზედაც შეიძლება ისტორიის დაფუძნება. მაგრამ რადგან ქართული წიგნების კატალოგი სრულის აღწერილობით ჯერ არ არის შედგენილი, ამიტომ ჯერ-ჯერობით ისტორიკოსს აუცილებლად სჭირდება თვითთვის წიგნის გაშინჯვა, მაზედ დართული ცნობების შესწავლა და ამის მიხედვით ისტორიის შედგენა. წიგნები კი, სამწუხაროდ, არ არიან თავმოყრილნი ერთს ადგილს და ბევრიც არსად მოიპოვება. წიგნების ბეჭდვასთან დაკავშირებული კითხვები ხომ სრულებით არ არიან შესწავლილნი და მათ შესახებ ჯერ გამოქვეყნებული არ არის არავითარი მასალა, და შეიძლება არც კი არსებობდეს, რადგანაც ჩვენში ყურადღებას არ აქცევდნენ ამ დიადის კულტურულის საქმის და მისთვის მოღვაწე პირების შესახებ. ცნობების აღნუსხვას და ჩამომავლობისთვის გადმოცემას. აი ამ ობიექტიურის მიზეზებით, გარეშე სუბიექტიურის მიზეზებისა, აიხსნება ის ნაკლი, რომელიც აუცილებლად შეემჩნევა ჩვენს შრომას.

იმ შრომათაგან, რომელნიც წიგნების ბეჭდვის ისტორიის საგანს შეეხებიან, უნდა მოვიხსენიოთ შემდეგნი: 1. გ. შანშივეის შედგენილი ქართულად და რუსულად ქრონოლოგიური მაჩვენებელი წიგნებისა და ბროშურებისა, რომლებიც ქართულს ენახედ და ბეჭდილან 1629 წლითგან 1883 წლამდე რუსულის თავწარწერით: Хронологический указатель книг и брошюр вышедших на грузинском языке с 1629 по 1883 год. Издание Кавказского Цензурного Комитета. Тифлис. 1883.

2. ზ. ჭიჭინაძის წერილები სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში და ცალკე წიგნები ქართული წიგნების ბეჭდვის და სტამბების შესახებ. 3. თ. ჟორდანიას ორი წერილი ჟურნ. „ივერიაში“: ა) მთავარ-ეპისკოპოსი იოსებ სამებელი და ქართულის სტამბის საქმე მე-XVIII საუკუნეში (1884 წ. №№ 2 და 3) და ბ) მოკლე ისტორიული გამოკვლევა ქართულის სტამბის დაარსებისა და მოქმედებისა მე-XVIII საუკუნეში და მე-XIX საუკუნის პირველ წელთ გამავლობაში (1885 წ. № 10). 4. პროფ. ალ. ცაგარლის მიერ დაბეჭდილი სხვადასხვა წიგნთა კოლექციების სიები მის გამოცემებში სახელწოდებით *Сведения о памятниках грузинской письменности, вып. I, II и III.* და 5. ალ. ხახანაშვილის ნაწერები წიგნების და მათ ბეჭდვის შესახებ, სახელდობრ, *Очерки по истории грузинской словесности, вып. III.* და სხვადასხვა ცალკე წერილები.

გ. შანშიევის მაჩვენებელი, რომელიც ძვირფასი მასალა უნდა ყოფილიყო წიგნების ბეჭდვის ისტორიისთვის იმ შემთხვევაში, თუ რიგიანად იქნებოდა შედგენილი, სამწუხაროდ, მოკლებულია ყოველსავე ღირსებას. მასში ბევრი წიგნი არ არის აღნიშნული, წიგნების სახელები სისწორით არ არიან მოხსენებულნი, გამოცემის წელი ხშირად შემცდარია და წიგნების არავითარი აწერილობა არ არის მოყვანილი. როგორც ჩანს, მაჩვენებელი რუსულად არის შედგენილი სასწრაფოდ, წიგნზე ერთის თვალის გადავლებით, იმისთანა პირისაგან, რომელსაც ქართულიც არა სცოდნია კარგად. ხშირად წიგნის სახელი მაჩვენებელის შემდგენელს თითონ შეუთხზავს, სრულებით შინაარსის შეუფერებელი. შემდეგ რუსულითგან მაჩვენებელი ქართულად უთარგმნია თუ სხვისთვის უთარგმნინებია, რის გამო ქართული წიგნის ნამდვილი სახელის მაგივრად ხშირად აღუბეჭდია უცნაური სახელი (როგორც, მაგალითად, ყრმათა უბნობა ნაცვლად ეკლესიის კურთხევის წესისა). ხშირად ერთი და იგივე წიგნი ორგან აქვს აღნიშნული სხვადასხვა სახელით როგორც ორი სხვადასხვა წიგნი. ყველა ამ ნაკლულევანებათა გამო ეს მაჩვენებელი სრულებით გამოუსადეგარია წიგნების ბეჭდვის ისტორიკოსისთვის.

ზ. ჭიჭინაძის ნაშრომი ამ სფეროში ატარებს საერთო ხასიათს ჭიჭინაძის დაუცხრომელის, მაგრამ უსისტემო და უმეთოდო შრომისას. ის აუარებელი ცნობები, რომელნიც ზ. ჭიჭინაძეს აქვს მოყვანილი წიგნების ბეჭდვის შესახებ, დაუსაბუთებლები და წყაროუჩვენებლები, ჰკარგავენ ყოველსავე ღირსებას ისტორიკოსისათვის. მის შრომის ღირსებას აფოლებენ ხშირი ცხადი შეცდომები, წარმომდგარნი

ამისთანა შრომისათვის შესაფერი მომზადების და საზოგადო ცოდნის უქონლობით.

თ. ჟორდანიას ორი ზემოდ დასახელებული წერილი, რომელთაც ის გამოკვლევას უწოდებს, მართლა რომ გამოკვლევას ცდას წარმოადგენს, მაგრამ რადგან ეს ცდა მეტად აჩქარებით არის მომზადარი, ბევრი შეცდომით არის სავსე, ზღაპარი და დაუსაბუთებელი მტკიცება ბევრია მის შრომაში.

პროფ. ალ. ცაგარლის გამოცემული სხვადასხვა წიგნთა კოლექციების სიები ფრიად ძვირფასი მასალა იქნებოდნენ, რიგიანად რომ იყვნენ შედგენილნი. სამწუხაროდ, რიგიანად არც ერთი სია არ არის შედგენილი და შეცდომებიც მათში ბევრია. ცხადია, ეს სიები თვით ცაგარლის შედგენილები არ არიან და მათ უვარგისობის პასუხი მოეთხოვებათ მათ შემდგენლებს, მაგრამ არც ცაგარელია პასუხისგებისაგან თავისუფალი, რადგან მას, როგორც რედაქტორს და გამომცემელს, უნდა შესაფერი დამატება შეეტანა იმათში და მლაღადებელი შეცდომები მაინც გაესწორებინა. პროფ. ცაგარელმა, უეჭველია, ჩვენზე კარგად იცოდა, რომ მეცნიერებისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, როდესაც რომელსამე სიაში მოხსენებულია: 1. ლოცვანი, ხუცურად დაბეჭდილი; 2. დავითნი, მხედრულად დაბეჭდილი ტფილისში; 3. სადღესასწაულო და სხვა, რადგან მას აქეთ რაც ქართული წიგნები იბეჭდება, ლოცვანი ხუცურის შრიფტით რამდენჯერმე დაბეჭდილა სხვადასხვა ქალაქში, დავითნი მხედრული შრიფტით ტფილისში აგრეთვე რამდენჯერმე დაბეჭდილა და სადღესასწაულოც სხვადასხვა ქალაქში დაბეჭდილა სხვადასხვა დროს და მკითხველმა როგორ უნდა გაიგოს რომელის წლის და რომელი ქალაქის გამოცემანია სიამ მოხსენებული ლოცვანი, დავითნი და სადღესასწაულო.

ცნობები გამოცემის წლის და ადგილის შესახებ უმთავრესია, მაგრამ მათ გარდა არის კიდევ საჭირო სხვა ცნობები, რომელთაც თვით წიგნი იძლევა. ეს ყველაფერი უნდა აღნიშნული იყვეს რიგიანს სიაში. ცაგარლის გამოცემულ სიებში კი არ არის მომეტებულ ნაწილად. ამ სიებში არის ერთი ორი კოლექციის სია უკეთესად შედგენილი, მაგალ., ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკისა, მაგრამ იქაც ბევრი შეცდომაა დაშვებული შემდგენელისგან და უყურადღებოდ დატოვებული რედაქტორისაგან. ყველა ეს ნაკულუევანება ცაგარლის გამოცემებს უკარგავს ნდობას ისტორიკოსის თვალში.

რაიცა შეეხება ალ. ხახანაშვილის ნაწერებს, აქაც მის შრომის იგივე საერთო ხასიათი მოჩანს. ეს არის სრული ნდობა ყველასი და

უკრიტიკოდ გამეორება სხვის ნაწერისა. ამ მისი საზოგადო თვისების გამო, ხახანაშვილი წიგნების ბექდვის ისტორიის გადმოცემის დროს იმეორებს იმასვე, რასაც ზ. ჭიჭინაძე და თ. ჟორდანიასწერენ.

ჩვენის შრომის შესრულებისათვის მოგვიხდა ყველა წიგნების გადაშინჯვა და მათზე დართულის ცნობების გამოყენება. ამისთვის ჩვენ დაგვჭირდა გაშინჯვა წიგნთსაცავებისა: 1. ყოფილი წერაკითხვის გამავრცელებლის (აწ წიგნების გამომცემლის და გამავრცელებლის) საზოგადოებისა, 2. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა, 3. სახელმწიფო უნივერსიტეტისა და 4. ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა. ამ ოთხი წიგნთსაცავის გარდა კიდევ ბევრი სხვა წიგნთსაცავია, როგორც ჩვენში, ისე რუსეთში; საჭიროა იქაც გაჩხრეკილ იქნან წიგნები. შეიძლება აღმოჩნდნენ ისეთი წიგნები, რომლების არსებობა ჯერ არავისა აქვს აღნიშნული. მაგრამ ქართულის წიგნების რაოდენობა მანც ზედმიწევნით არ გვეცოდინება, ყველა ამ წიგნთსაცავებში დატული წიგნებიც რომ გამოვჩხრეკოთ და მივუმატოთ ჩვენგან აღნიშნული წიგნების ნუსხას. ეჭვს გარეშეა, რომ ბევრი წიგნი სამუდამოდ და უკვლოდ უნდა იყვეს დაკარგული. ბევრი წიგნისა რავდენიმე ან თითო-ოროლა ფურცელილა იქნება სადმე დარჩენილი ან წიგნის ყდაზე დაკრული. ამ ფურცლებსაც ძებნა და ჩხრეკა უნდათ, რომ თუ მთლიანად არა, ნაწილი მაინც დავიცვათ ისე, როგორც არის ევროპაში, სადაც ზოგიერთი ძველი ნაბეჭდი წიგნებისა მხოლოდ რავდენიმე ფურცელი აქვსთ შენახული. ასეთი ძიების და ჩხრეკის დაჩქარებას გვავალებს ის გარემოებაც, რომ სულ რაღაც სამი წლის შემდეგ მოგვიხდება ქართული წიგნების ბექდვის 300 წლის იუბილეს გადახდა. წიგნების ძებნის გარდა მოვალე ვართ ვაგროვოთ წიგნების ბექდვასთან დაკავშირებული სხვა კითხვების გამომრკვევი მასალები, რომ ხსენებული იუბილესთვის გვქონდეს რაც შეიძლება სრული სია ქართული წიგნებისა და სრული ისტორია ბექდვის საქმის მსვლელობისა იმ პირთა ვინაობისა და ცხოვრების აღწერით, რომელთაც შრომა გაუწევიათ მისთვის.

15 ნოემბერს 1925 წ.



# ქართული წიგნების გეგმის ისტორია

1

## როგორ დაგეგმილი წიგნები.

ევროპულ ენებთან შედარებით ქართულ ენაზე დაწერილ წიგნს ბეჭდვა ძალიან გვიან ელირსა, 175 წლის შემდეგ პირველი წიგნის დაბეჭდვითგან ლათინურ ენაზე. ამასთან შესამჩნევი ის არის, რომ პირველად ქართული ნაწერი დაბეჭდა არა საქართველოში, არამედ უცხოეთში, სახელდობრ, იტალიაში, ქალაქ რომში, ისიც უცხო ენასთან შერევით, რადგან ეს პირველი დაბეჭდილი ქართული წიგნი იყო ქართულ-იტალიური ლექსიკონი.

იმის მიზეზი თუ რატომ პირველადე და ევროპაში წიგნის ბეჭდვის მოგონებისთანავე საქართველოში არ დაიწეს წიგნების ბეჭდვა, იყო ის, რომ საქართველო წიგნის ბეჭდვის შემოღების პირველს საუკუნეებში ძალიან დაცემული იყო ეკონომიურად და კულტურულად, რაიცა თავის მხრით შედეგი იყო პოლიტიკურად დაუძლურებისა და უკულტურო მეზობელთა თავდასხმისა და რბევისა. არც საქართველოს მთავრობას და არც სხვას ვისმე მოცალემა და საშუალება არ ჰქონდა, რომ ევროპაში მოგონილი და შემოღებული წიგნის ბეჭდვა საქართველოშიც შემოეღო და გაეჩაღებინა. მცირეოდენი წიგნების მოთხოვნილება, რომელიც ამ ხანებში საქართველოში არსებობდა, ისევე ძველებურად კმაყოფილდებოდა გადაწერის საშუალებით. ქართულის წიგნის პირველად რომში დაბეჭდვის მიზეზი იყო ის საჭიროება, რომელიც კათოლიკეთა მძლავრის და მდიდარის ეკლესიის უზენაესს მთავრობას ჰქონდა. რომის პაპი თავის დანიშნულებად ისახავდა არა-ქრისტიანე ქვეყნების ქრისტიანობაზე მოქცევას, ხოლო ყველა ქრისტიანე ერების თავის ზეუფლებისთვის დაქვემდებარებას. აი ამ მიზნის მისაღწევად პაპის მთავრობა ჰგზავნიდა ყველა ქვეყნებში, სადაც კი რამე გარდუვალი დაბრკოლება არა ხვდებოდა, კათოლიკობის მქადაგებელ მღვდლებს და ბერებს. მქადაგებლებისთვის საჭირო იყო ცოდნა იმ ერთა ენებისა, რომელთა ქვეყნებშიაც იგზავნებოდნენ. ასეთის ცოდნის გასაფრცვლებლად კი აუცილებელი იყო ხსენებულს ენებზე ლექსიკონების, გრამატიკების და სამო-

ძღვრო წიგნების ბეჭდვა, რისთვისაც საკმარისი იყო შესაფერის შრიფტის გაკეთება იმ დიდის სტამბისათვის, რომელიც გამართული ჰქონდა რომში სარწმუნოების გამავრცელებელს სასულიერო საზოგადოებას. სწორედ რომის ეკლესიის ასეთმა მისწრაფებამ გამოიწვია ქართულის სტამბის დაარსება რომში, სადაც 1629 წელს კიდევ დაიბეჭდა პირველად ქართული წიგნი. ამ წიგნს აქვს შემდეგი თავწარწერა იტალიურ ენაზე: *Dittionario Giorgiano e Italiano, composto da Stefano Paolini con l'aiuto del M. R. P. D. Niceforo Irbachi, Giorgiano, Monaco di S. Basilio. Ad uso de' missionarii della Sagra Congregazione de Propaganda Fide. In Roma, Nella Stampa della Sagra Congr. de Propag. Fide. MDCCXXIX. Con licenza de' superiori*, რაიცა ქართულად ნიშნავს: ქართულ-იტალიური ლექსიკონი, სტეფანე პაოლინის შედგენილი ქართველის, წმინდა ბასილის წესის ბერის, ნიკიფორე ირბაქის დახმარებით. სარწმუნოების გამავრცელებელი სასულიერო საზოგადოების მისიონერთა სახმარებლად. რომში, სარწმუნოების გამავრც. სასულიერო საზოგ. სტამბაში, 1629. უფროსთა ნებართვით.

წიგნის იმავე გვერდზე, რომელზედაც ეს თავწარწერაა, სიმრგვლეში დახატულია იესო ქრისტე და მოციქულები გარშემო წარწერით *Euntes in universum mundum praedicate evang. omni creat.* რაიცა ნიშნავს: წარვედით ყოველსა სოფელსა და უქადაგეთ სახარება ესე ყოველსა დაბადებულსა. შემდეგს ფურცელზე მოთავსებულია ორი საცენზურო დასტური. მესამე და მეოთხე ფურცელზე დაბეჭდილია სარწმუნოების გამავრცელებელი სასულიერო საზოგადოების მმართველის აქილ ვენერიოს მიმართვა პაპის ურბანოს მერვისადმი.

მიმართვის შემდეგ იწყება თვით წიგნი და გვერდების აღნუსხვა. პირველი და მეორე გვერდი უჭირავს ქართულ ანბანს, რომელსაც აქვს იტალიური სათაური: *Alfabeto giorgiano*. გვერდის სიგრძეზე ჩაყოლებულია ქართული ასოები, რომელთ პირდაპირ დაბეჭდილია მათი სახელები ჯერ ქართულის, მერე იტალიურის ასოებით, შემდეგ თვითეული ქართული ასოს შესატყვისი იტალიური ასოები, ზოგიერთებზე განმარტების დართვით, თუ როგორ გამოითქმიან. ასოების რიგი მცირეოდნად შეცვლილია. ჰ-ს უჭირავს ადგილი ც-ს შემდეგ, ლ-ს — ყ-ს შემდეგ. ზოგი ასოს სახელი სწორი არ არის, მაგალ., ც იწოდება ჰაი, ჰ — აგრეთვე ჰაი, რ — რაი, ქ — ქა, ჩ — ჩუენ, კ — კსარ, ჳ — ჰლი. ასოები ღ და ჳ სულ გამოტოვებულია. მეჩვიდმეტე საუკუნისთვის არაჩვეულებრივი სახე აქვს ორს ასოს: ც და ყ.

# DITTIONARIO GIORGIANO E ITALIANO.

COMPOSTO DA STEFANO PAOLINI  
con l'aiuto del M.R. P. D. Niceforo Irbachi  
Giorgiano, Monaco di S. Basilio.

AD VSO DE' MISSIONARI I  
della Sagra Congregatione de Propaganda Fide.



IN ROMA,  
Nella Stampa della Sagra Congr. de Propag. Fide.  
C I D C X X I X.

CON LICENZA DE' SUPERIORI.

პაოლინი. ქართულ-იტალიურ ლექსიკონი. რ. მ. 1629 წ.  
თავწარწერა იტალიურ ენაზე. დაბატარავებულია 1/3-ით.

მესამე გვერდიდან იწყება თვით ლექსიკონი თავწარწერილი ქართულად ლექსი იბერიგო ფრანხი, იტალიურად, Dittionario Giorgiano-Italiano. თვითეულ გვერდზე სამსამი სვეტია. პირველ სვეტში ჩაყოლებულია ანბანის რიგზე ქართული სიტყვები ქართული ასოებით, მეორე სვეტში იგივე სიტყვები იტალიურის ასოებით, ხოლო მესამეში მათი შესატყვისი იტალიური სიტყვები. ლექსიკონს უჭირავს 126 გვერდი (3—128). შემდეგ მოსდევს სია ანბანის რიგზე დალაგებული იტალიური სიტყვებისა, რომელთაც გვერდზე მოწერილი აქვსთ ორ-ოლი ციფრა. პირველი აღნიშნავს გვერდს, რომელზედაც იპოვება ამ სიტყვის შესატყვისი ქართული სიტყვა, მეორე—სტრიქონს, რომელშიაც ეს სიტყვაა. ამ სიას, რომელიც გვერდობით აუნუსხავია, სამი ფორმა (48 გვ.) უჭირავს.

წიგნის ტექსტის სიფართოეა  $18,5 \times 10,8$  სანტ. შრიფტი საკმაოდ ლამაზი და მსხვილი მხედრულია. ქალაღდი მაგარია.

პროფ. გრ. წერეთელი სწერს, რომ პაოლინის ქართულ-იტალიური ლექსიკონი არა ერთხელ ყოფილა გადაბეჭდილი და რომ ერთი ამ გადანაბეჭდთაგანი დაცულია ვატიკანში.<sup>1)</sup>

თავის მიმართვაში პაპის ურბანოს მერვისადმი აქილ ვენერიო მოახსენებს პაპს როგორ დაარსდა ქართული სტამბა და როგორ შედგა და დაიბეჭდა ქართულ-იტალიური ლექსიკონი. ვენერიოს თქმით, ქართული სტამბის რომში დაარსების მიზანი ყოფილა ბეჭდვა ისეთი ქართული წიგნებისა, რომელნიც გამოადგებოდნენ ერთის მხრით მისიონერებს კათოლიკობის საქადაგებლად საქართველოში, მეორე მხრით ქართველ ხალხს მისიონერთა ნაქადაგევის შესათვისებლად, ხოლო მის საბაზად გამხდარა საქართველოს მეფის თეიმურაზ პირველის მოციქულის ნიკიფორე ირბაქის მისვლა რომში პაპის მიმართ მიწერილის წერილითურთ, რომელშიც მეფე პაპს სთხოვდა შემწეობას და მფარველობას მტერთა წინააღმდეგ. ეს წერილი რომში გაუგებარი ყოფილა, რადგან ქართულად იყო დაწერილი და ქართულის მცოდნე არავინ ყოფილა. აი ამ შემთხვევას გადაუწყვეტინებია სარწმუნოების გამავრცელებელი საზოგადოებისთვის, გაეკეთებინათ ქართული შრიფტი და დაებეჭდათ ქართული ანბანი და ქართულ-იტალიური ლექსიკონი. გადაწყვეტილება სისრულეში მოუყვანიათ თეიმურაზ მეფის მოციქულის ნიკიფორე ირბაქის დახმარებით. ჯერ ერთი შეუდგენიათ შრიფტი სწორედ იმ ასოების მიხედვით, რომლებითაც ყოფილა დაწერილი თეიმურაზის მიერ პაპთან გაგზავნილი წერი-

<sup>1)</sup> იხ. ყურნ. „ახალი კავკასიონი“ 1925 წ. № 1—2, ნეაპოლი-რომი-ბერლინი. გვ. 35.



„ ლექსი „ იბერიეო- „ ფრანსი „

Dittionario Giorgiano-Italiano.

ს A

ანანო .	abáno ,	Bagno .
ანარო-ღბ .	abaróga ,	Ma che ?
ანახი .	abáchi ,	Dilà .
ანრეო-მი .	abresciómi ,	Sera .
აგეზბ .	aghebà ,	Compuntione
აგმო-ზერეზელი .	aghmozenebéli	Biastemare .
აგმო-სსთლეტი .	aghmosaúleti ,	Oriente .
აგმ-სსთლეტი .	agmosaulétifa ,	Orientale ,
ადვილს : შეფაც- რეული .	aduilà scfaz- ruéli ,	Incostante .
ადვილი .	aduili ,	Facile .
ადვილიდ .	aduilið ,	Facilità .
ადი .	ádi ,	Di .
ადიდრზბ .	adidebà ,	Inondatione .
აერს .	aéra ,	Aria .
აეტილი .	aetili ,	Coprire .
აუადარი .	auadári ,	Ammalarsi .
აუადფამბ .	auadafpamò ,	Maltrattare .
აუადფარე .	auadafparè ,	Maltrattato .

A 2

აქალ

ლი, მეორედ ხსენებული ვენერიოს მინდობილობით სტეფანე პაოლინის<sup>1)</sup> შეუდგენია ნიკიფორე ირბაქის მიერ მიცემულ განმარტებათა მიხედვით ქართულ-იტალიური ლექსიკონი. ამ მიძართვაშივე ვენერიო ამბობს, რომ ამ წიგნზე წინ არც ერთი ქართული წიგნი არ ყოფილა დაბეჭდილი ევროპაშიო.

ამნაირად გამოდის, რომ ნიკიფორე ირბაქი, თეიმურაზ მეფის მიერ მოციქულად გაგზავნილი პაპთან, ყოფილა ერთი ხელისშემწყობთაგანი ქართულის განყოფილების დაარსებისა სარწმუნოების გამავრცელებელი სასულიერო საზოგადოების სტამბაში რომში და ქართულ-იტალიურის ლექსიკონის შედგენისა და დაბეჭდვისა. ამიტომ საჭიროდ ვსთვლით გამოვარკვიოთ მისი ვინაობა და ავნიშნოთ მის ცხოვრების ზოგიერთი გარემოებანი.

მიხეილ თამარაშვილი თავის შრომაში „ქათოლიკობის ისტორია ქართველთა შორის“ (ტფ. 1902) სწერს: „თეათინელი წესის ისტორიკოსები იმ ქართველთა ელჩისას<sup>2)</sup> მოგვიტხრობენ შემდეგ ამბავს. იგი იყო წმიდა ბასილის წესის მონაზონი ნიკიფორე ერბახი ანუ ერბაჩო (საქართველოში ნიკოლოზ ბერად წოდებული) და ახლდა თან ორი თავისის წესის მონაზონი (ცხადია, ქართველები) და ერთიც მოენე. თუმცა ბევრი თანამხლებელი არა ჰყავდა, მაგრამ მისი ღირსეული ქცევა ცხადყოფდა მის ღიღებულობას, განკრძალულებას და პატიოსნებას და თავის მონაზონებრივის ცხოვრებით ყველას თავს აყვარებდა. თავის მამისას ამბობდა, რომ ერთი უპირველესი თავადთაგანი და საქართველოს ჯარის უფროსი იყოფო, მრავალგზის დაუმარცხებია სპარსელები და სხვათა შორის ერთხელ 20,000 ქართველით ამოუწყვეტია 90,000 კაცი სპარსელების ჯარისა. ევროპაში ამის წასვლის დროს საქართველოს ჯარის უფროსად ყოფილა მისივე ბიძაშვილი, რომელიც არა ნაკლებ მხნეობას იჩენდა ომში: სამწუხაროდ იმ პირების საკუთარი სახელი მოხსენებული

<sup>1)</sup> პროფ. გრ. წერეთელი გამოსთქვამს მოსაზრებას, ვითომ სტეფანე პაოლინი ჰკუთნებოდეს იმ მისიონერთა რიცხვს, რომელთაც საქართველოში ყოფნის დროს ცოტად უნდა შეესწავლათ ქართული ენა (იხ. „ახალი კავკასიონი“ 1925 წ. № 1—2, გვ. 35). ასეთი მოსაზრებისათვის არაერთარი საფუძველი არ არსებობს. პაოლინის სახელსა და გვარს არსად არ მიუძღვის სასულიერო წოდების ამნიშვნელი სიტყვა (მაგალ., მამა), რაიცა აუცილებლად არის ხოლმე მოხსენებული იმ სასულიერო პირთა სახელისა და გვარის წინ, რომელნიც მასთან ერთად არიან დასახელებულნი. ეს ამტკიცებს, რომ პაოლინი არ ყოფილა სასულიერო პირი. და თუ ეს ასეა, ძნელი წარმოსადგენია, რომ ის ყოფილიყვეს საქართველოში მისიონერად.

<sup>2)</sup> იგულისხმება ნიკიფორე ირბაქი, რომელზედაც წინ იყო ლაპარაკი.

არ არის, ხოლო ნიკიფორეს ძმისწულს, თუ დისწულს ჰრქმევია ზურაბ ერისთავი ყარაყალხანისა“<sup>1)</sup>).

როგორც თეიმურაზ მეფის მიერ პაპთან გაგზავნილი წერილის თარგმანიდან ჩანს, ნიკიფორე საქართველოდან გამგზავრებულ იტალიას 1626 წელს 20 ნოემბრის შემდეგ, რადგან ამ დღეს არის დაწერილი თეიმურაზის წერილი.<sup>2)</sup>

თამარაშვილის სიტყვით, ნიკიფორე რომ მესინას მისულა, იქ დახვედრიან კათოლიკე მისიონერები—თეატინელები, რომლებიც ემზადებოდნენ საქართველოსკენ გამომგზავრებას. მისიონერებს ნიკიფორესთვის გამოუკითხიათ საქართველოს ამბები და კიდევ გამომგზავრებულან დეკემბერში. ნიკიფორე კი მესინიდან წასულა ნეაპოლს, სადაც ის მიუღიათ და დაუბინავებიათ თეატინელ ბერებს საქართველოსკენ გამგზავრებული მისიონერების რეკომენდაციით. ნეაპოლითგან ნიკიფორე წასულა მადრიდს, სადაც მიუტანია თეიმურაზ მეფის წერილი ისპანიის მეფის მიმართ. პირველ ხანს ნიკიფორე შესაფერი პატივით არ მიუღიათ, რადგან მას მეფის წერილის გარდა სხვა რამე საბუთი მის მოციქულობისა არ ჰქონია. მხოლოდ მაშინ, როდესაც მადრიდელ თეატინელ ბერებს ნეაპოლელი თეატინელი ბერებისგან ცნობა მისვლიათ ირბაქის ვინაობის შესახებ, ისპანიის მთავრობას მიუღია იგი როგორც საქართველოს მეფის მოციქული შესაფერის პატივით. მადრიდიდან ნიკიფორე წასულა რომს და აქაც წარუდგენია პაპისადმი მიწერილი მეფის წერილი, რომელიც ქართულად ყოფილა დაწერილი. ეს წერილი გადაუთარგმნინებიათ ლათინურად.<sup>3)</sup> პაპს ნიკიფორე მიუღია მხოლოდ მაშინ, როდესაც კათოლიკობა აღუარებია. პაპის მთავრობას კი განკარგულება გაუცია ცნობები მოყვრივით როგორც თეიმურაზ მეფის, ისე მის მოციქულის ნიკიფორეს შესახებ. ასეთის განკარგულების შესასრულებლად ვენეციის ნუნციუსს ამ ქალაქში მყოფის სპარსეთითგან მოსული სომხებისთვის გამოუკითხია თეიმურაზ მეფის და ნიკიფორე ირბაქის შესახებ. იმათაც გადაუციათ ზოგიერთი რამე, რაც კი თეიმურაზ მეფის შესახებ სკოდნიათ. ნიკიფორე მოციქულის შესახებ კი მათ არავითარი ცნობა არა ჰქონიათ.<sup>4)</sup>

1) იხ. ისტორია კათოლიკობისა, გვ. 92. ყარაყალხანს სპარსელები არაგვის მხარეს ეძახდნენ.

2) იხ. იქვე, გვ. 614.

3) თამარაშვილს არქივებში უძებნია წერილის ქართული დედანი, მაგრამ ვერ უპოვნია.

4) იხ. ისტორია კათოლიკობისა, გვ. 92—95.

თამარაშვილი სწერს: „ნიკოლოზ<sup>1)</sup> რომში ერთს წელიწადზე მეტი დარჩა. მისი რომში დიდხანს დარჩენა უნაყოფო როდი ყოფილა. გარდა იმ საქმისა, რისთვისაც მოსული იყო, დიდად ხელი შეუწყო შედგენას ქართულ-იტალიური ლექსიკონისას, რომელიც რომში დაიბეჭდა 1629 წ., საკმაოდ შეისწავლა იტალიური და მასთანავე ცოტა ქართულიც ასწავლა სტეფანე პაოლინის, რომელმაც ნიკიფორესთან ერთად შრომა მიიღო იმ ლექსიკონის გამოცემისათვის. ნიკიფორემ დიდი მონაწილეობა მიიღო აგრეთვე რომში ქართულის სტამბის დაარსების საქმეში. პაპს და კარდინალებს კარგად გააცნო საქართველო და მიუთხრა თეიმურაზ მეფის თავგადასავალი“.<sup>2)</sup>

თავის მეორე თხზულებაში თამარაშვილი ავსებს ამ ცნობებს. იგი სწერს: „მოლოდინში მყოფი საქართველოს მოციქული შეუდგა თეატინელებისთვის ქართული ენის სწავლებას, დააარსებინა სარწმუნოების გამავრცელებელს საზოგადოებას სტამბა ქართულის ენისთვის და იქ დააბეჭდინა ამ ენაზე პატარა ლოცვანი და ქართულ-იტალიური ლექსიკონი. ამის შემდეგ სთხოვა სარწმუნოების გამავრცელებელს საზოგადოებას გაშვება. წმინდა მამამ გამოატანა საპასუხო წერილი თეიმურაზ მეფესთან და აგრეთვე რავდენიმე წერილი მის სამფარველოდ ევროპის იმ ხელმწიფეებთან, რომელთა სამფლობელოებზე უნდა გამოეველო მას.“<sup>3)</sup>

რომითგან 1628 წლის დეკემბერში წამოსულს ნიკიფორეს მოუვლია ევროპის სახელმწიფოები: ისპანია, საფრანგეთი, უნგრეთი, პოლონეთი და ბევრი სხვა. ამ ქვეყნების მეფეებსაც დიდის პატივით მიუღიათ იგი. საქართველოში დაბრუნებულა 1629 წლის აგვისტოში.<sup>4)</sup>

თამარაშვილი სწერს კიდევ: „ნიკიფორეს თუ წერილით თუ პირად ბევრი რამ დააბარეს შესახებ კათოლიკე სარწმუნოების გავრცელებისა საქართველოში. ესეც შეჰპირდა ერთგულად ეშრომა ერთობის დასამყარებლად. რა მობრუნდა, მაშინვე შეუდგა თავის დაპირებათა აღსრულებას. გარნა, სამწუხაროდ, ზედმიწევნით არ ვიცათ, თუ რა იმოქმედა დაბრუნებულმა კათოლიკობის სასარგებლოდ, რადგან მისი პირველი რომს მიწერილი წიგნიც დაკარგულია ისე, როგორც მისიონერების პირველი წიგნები. ის კი ცხადია, რომ მისიონერები მუდამ

1) ე. ი. ნიკიფორე.

2) იხ. ისტორია კათოლიკობისა, გვ. 95.

3) იხ. L'Eglise Géorgienne dès origines jusqu'à nos jours, Paris, 1910. p. 505.

4) იხ. ისტორია კათოლიკობისა, გვ. 97.



მისი მადრიელნი იყვნენ. ეგრეთვე რომი კმაყოფილებას უცხადებს ყოველის სამსახურისათვის, რაც იმან პირველში მიაგო მათ და რაც რომში აცნობა თავისი წერილით.“<sup>1)</sup>

1 იენისს 1630 წ. სარწმუნოების გამავრცელებელი საზოგადოება სწერს ნიკიფორეს: „თქვენი სეკრეტართან ოკტომბრის 22-ს<sup>2)</sup> მოწერილი წიგნი განიხილეს კარდინალებმა პროპაგანდის კრებაში, რომელსაც მათი უწმინდესობაც დაესწრო. პაპმა და კარდინალებმა დიდად განიხარეს, რომ მანდ მშვიდობით ჩასულხართ; ეგრეთვე განიხარეს, რა სცნეს თქვენი მოღვაწეობა მაგ მეფისა და მისი მინისტრების წინაშე. მათ სულთა ცხოვნებისათვის თქვენმა ღვაწლმა სავსებით გაამართლა ის მოლოდინი, რომელიც ამათ ჰქონდათ თქვენ შესახებ. ამიტომ საჭიროა არ დაცხრეთ და იმავე გულმოდგინებით იშრომოთ, ვიდრე შეერთების საქმე დასრულდებოდეს ისე, როგორათაც ნატრობს მათი უწმინდესობა.“<sup>3)</sup>

31 აგვისტოს 1630 წ. იგივე საზოგადოება სწერს ნიკიფორე ირბაქს: „ვინაიდან პროპაგანდის კრებამ კარგად დაიხსომა თქვენი ბრძნული მოქმედება და განსაკუთრებული გულმოდგინება, რაიცა აქ ყოფნის დროს გამოიჩინეთ საქმეთა წარმოებაში, მანდ მისიონის დასახმარებლად გზავნის რა პატრს იოსებ ჯუდიჩის და არქანჯელო ლამბერტის, ისარგებლა ამ შემთხვევისაგან და ინება გაგახსენოთ თავისი თქვენდამი პატივისცემა და სიყვარული; მასთანვე გავედრებს ამ მამებს და გთხოვს თქვენც ხელი შეუწყოთ მათ მოძღვრებას და ერთგულებას, რათა მაგ სამეფოში შეიძინოთ ერი და მიაგოთ სამსახური წმიდა საყდარსა, რომლის პატივისათვის თავს იდევეთ ეგრეთი შორი და განსაცდელიანი მგზავრობა და რომელმაც თქვენი სახელი საქმური გახადა.“<sup>4)</sup>

17 მაისს 1631 წ. იგივე საზოგადოება სწერს ნიკიფორეს: „დიდის სიამოვნებით მოიხსინეს კარდინალებმა მოხსენება ყოველი სიკეთისა, რომელიც თქვენის შუამდგომლობით ივერიის მეფემ პეტრე ავიტაბილეს და მის ამხანაგებს მიაგო. მათ განიხარეს წმინდა მამასთან ერთად არა მარტო მინიჭებულის სიკეთის გამო, არამედ თვით თქვენის კათოლიკე გულმოდგინებისათვის, რაიცა იმავე პატრმა პეტრემ ყველაფერი დაწვრილებით გვაუწყა.“<sup>5)</sup>

1) იხ. ისტორია კათოლიკობისა, გვ. 106.

2) იკულისხმება 1629 წ.

3) იხ. ისტორია კათოლიკობისა, გვ. 106.

4) იქვე, გვ. 115.

5) იქვე, გვ. 122.

სპარსელები რომ ქართლს შემოესივნენ 1633 წ. და როსტომმა დაიქირა ქართლი, თეიმურაზ მეფე გადავიდა იმერეთს და ნიკიფორეც თან გაჰყვა. იმერეთითგან ნიკიფორე წავიდა სამეგრელოს ლევან დადიანთან. დადიანმა იგი დანიშნა იმ მოციქულთა შორის, რომელნიც გაგზავნა როსტომ მეფესთან თავის დის, მარიამ გურიელის ნაცოლარის, მისთვის მითხოვებაზე თანხმობის გამოსაცხადებლად. თამარაშვილის თქმით, დადიანის მოციქულებს გორზე გავლისას ამ ქალაქში უნახავთ თეატინელი ბერები და მათთვის უთხოვიათ, რომ რავდენიმე მათგანი ოდიშს (სამეგრელოს) წასულიყო. ნიკიფორემაც ურჩია, დაარწმუნა მისიონერები, რომ დადიანი კარგად მიიღებდა და თავის მხრითაც დაჰპირდა დახმარებას. მისიონერებმა ეს თხოვნა შეიწყნარეს და ორი მათგანი — იოსებ ჯუდიჩი და არქანჯელო ლამბერტი თან გაჰყვნენ უკან დაბრუნებულ მოციქულებს 23 ოქტომბერს 1633 წ.<sup>1)</sup>

მისიონერები რომ მოციქულებთან ერთად მივიდნენ ოდიშს, ვიდრე დადიანი მათ ინახულებდა, ნიკიფორე ირბაქმა მოახსენა მას ყოველი მათი გარემოება, აქო მათი სათნოება, ხელოვნება და მეცნიერება და ურჩია მათი მიღება.<sup>2)</sup>

თამარაშვილი გადმოგვცემს შემდეგს ამბავს, რომელიც მომხდარა 1634 წელს. გორში ერთ ქართველ ყმაწვილ კაცს, ნასყიდა ლოპომანს, ისე მოსწონებია იქ მყოფი თეატინელები და მათი ქადაგება, რომ არამც თუ მიუღია კათოლიკობა, არამედ ამ ორდენის ბერადაც შემდგარა. სომხებმა თურმე შეიპყრეს ნასყიდა ლოპომანი და წარუდგინეს კათოლიკოზს და როსტომ მეფეს და მოითხოვეს მისი დასჯა, როგორც სჯულის მოღალატისა. სასამართლოში მის საქმის გარჩევას დაესწრნენ მეფე, კათოლიკოზი და ეპისკოპოზები. ნასყიდას დაცვა თავს იღო ნიკიფორე ირბაქმა. მან ჯერ მეფეს მიმართა და მოახსენა: ნასყიდა ლოპომანი არ არის სიკვდილის ღირსი, რადგან სარწმუნოება არ გამოუცვლია და სპარსელების წინამდევ არაფერი უმოქმედებიაო. ქართველების და კათოლიკეების სარწმუნოება ერთი და იგივეაო. მათ შორის სხვა არაფერი განსხვავებაა, გარდა იმისი, რომ ფრანგები უფრო ერთგულად და მორწმუნებით იცავენ ქრისტეს სარწმუნოებასო. მერე მიმართა კათოლიკოზს და ბევრი საყვედური უთხრა გულფიცხელობისათვის და შემდგომ დასძინა: „ყოველდღე ჩვენის ავალით ვხედავთ, რომ მრავალნი ქართველნი სომხდებიან და

1) იხ. ისტორია კათოლიკობისა, გვ. 129.


2) იქვე, გვ. 171.

უფრო მომეტებული მათგანი მაჰმადის სარწმუნოებას ღებულობს. მაშ, ვისაც კი გაფრანგება უნდა, რალად უნდა დაეშალოსო“. ნასყიდა მაშინვე გაათავისუფლეს.<sup>1)</sup>

თამარაშვილისგან აღნუსხული ცნობებითგან ჩანს, რომ ნიკიფორე ირბაქი, საქართველოში ნიკოლოზად ცნობილი, ყოფილა ბერი, დადის გვარის ქართველი, თეიმურაზ მეფის მიერ 1626 წ. ნოემბრის გასულს მოციქულად გააზავნილი რომის პაპთან და ევროპის მეფეებთან შემწეობის სათხოვნელად სპარსთა და ოსმალთა წინააღმდეგი იგი ჯერ ისპანიაში მისულა, შემდეგ, არა უადრეს 1627 წ. თებერვლის ან მარტისა, რომს და იქ დარჩენილა 1628 წლის დეკემბრამდე. რომში ყოფნის დროს მას მიუღია კათოლიკობა, უსწავლებია ქართული ენა სტეფანე პაოლინისა და თეატინელი ბერებისათვის, თითონაც შეუსწავლია იტალიური ენა, ხელი შეუწყვია სარწმუნოების გამავრცელებელი საზოგადოებისთვის ქართული სტამბის დაარსებაში და პაოლინის დახმარებია ქართულ-იტალიური ლექსიკონის შედგენაში. რომითგან წამოსულა 1628 წლის დეკემბერში და გზად მოუვლია ევროპის სახელმწიფოები. საქართველოში დაბრუნებულა 1629 წ. აგვისტოში და შესდგომია რომში მიღებული დავალების შესრულებას, სახელდობრ, კათოლიკობაზე მეფის და ხალხის გადაყვანას, რისთვისაც რავდენჯერმე მიუღია მადლობა რომითგან. ნიკიფორე ყოფილა გავლენიანი კაცი და მუდამ მფარველობას უწევდა საქართველოში მყოფ მსიონერებს. 1633 წ. თეიმურაზთან ერთად ის გადასულა იმერეთს, ხოლო იმერეთითგან ჩასულა სამეგრელოს. ის ყოფილა ერთი იმ მოციქულთაგანი, რომელთაც ლევან დადიანმა მიანდო როსტომ მეფისთვის პასუხის გადაცემა თავის დის მისთვის მითხოვების შესახებ. ნიკიფორე ირბაქის ხსენება წყდება 1634 წლის შემდეგ.

ამ ცნობათაგან ერთი ცნობა, სახელდობრ, ნიკიფორე ირბაქის ეროვნების და ჩამომავლობის შესახებ, ჩვენ საეჭვოდ მიგვაჩნია, რადგან ზოგიერთი გარემოებანი საბუთს გვაძლევენ ვიფიქროთ, რომ ნიკიფორე ირბაქი არის ის ნიკიფორე მიტროპოლიტი, რომელიც იმავე თეიმურაზ მეფის მიერ გაგზავნილი იყო მოციქულად რუსხელმწიფესთან ორჯერ — 1635 და 1639 წლებში და რომელიც ცნობილია ბერძნად. თუ დამტკიცდა ნიკიფორე ირბაქის და ნიკიფორე მიტროპოლიტის იგივეობა, მაშინ დამტკიცებული იქნება ირბაქის არა-ქართველობა და ჭორი გამოდგება მთელი ის ცნობა, რომელსაც თეატინელთა ორდენის ისტორიკოსები იძლევიან მის ჩამომავლობის შესახებ.

1) იხ. ისტორია კათოლიკობისა, გვ. 126, 127.



საქმე ის არის, რომ სხვა წყაროების მიხედვით ჩვენ ვიცით, რომ იმავე თეიმურაზ მეფემ, რომელმაც 1626 წელს გაგზავნა მოციქულად ნიკიფორე (იგივე ნიკოლოზ) ბერი პაპთან და ევროპის სხვადასხვა მეფეებთან მტრების წინააღმდეგ დახმარების სათხოვნელად, გაგზავნა ორჯელ (1635 და 1639 წ.) მოციქულად ისეთისავე მინდობილობით ნიკიფორე (იგივე ნიკოლოზ) მიტროპოლიტი რუსხელმწიფესთან მოსკოვს. ნიკიფორე მიტროპოლიტს ჩვენ ვიცნობთ მხოლოდ თეიმურაზის მიწერმოწერითგან რუსხელმწიფესთან და რუსის მოციქულების მოხსენებათაგან, ხოლო ნიკიფორე ბერს ვიცნობთ იმავე მეფის მიწერმოწერითგან პაპთან და რომის მისიონერების მოხსენებათაგან. ამ ორნაირს წყაროებში მოხსენებული ნიკიფორე (იგივე ნიკოლოზ) მოციქულები იმით განსხვავდებიან ერთმანერთისაგან, რომ ერთს, რომში გაგზავნილს, აქვს დართული გვარი (ირბაქი), იწოდება ბერად და დასახელებულია ქართველად, მეორე, მოსკოვს გაგზავნილი, არ არის მოხსენებული გვარით, იწოდება მიტროპოლიტად და დასახელებულია ბერძნად. პირველი განსხვავება თავისთავად უმნიშვნელოა, რადგან მიტროპოლიტის გვარის გამოცხადება სავალდებულო არ არის და ალბად საჭიროდ არ უცნიათ არც თითონ და არც თეიმურაზ მეფეს რუსხელმწიფისთვის ემცნოთ გვარი. ამიტომ არავის შეუძლიან სთქვას, რომ, რაკი მისი გვარი არ არის გამოცხადებული, მის და ირბაქის იგივეობა შეუძლებელიაო. მეორე განსხვავებასაც აგრეთვე არ აქვს მნიშვნელობა, რადგან სრულებითაც არ არის შეუძლებელი, რომ 1626-1629 წლებში უბრალო ბერად ნამყოფი 1635 წელს მიტროპოლიტი ყოფილიყვეს. მით უმეტეს რომ თვით თეიმურაზ მეფე სწერს რუსხელმწიფეს 25 აპრილს 1639 წელს, რომ ნიკიფორეს მიტროპოლიტობა ამ ოთხის წლის წინად მე მივეციო.<sup>1)</sup> მაშასადამე ნიკიფორე მიტროპოლიტი 1634 წლამდე არ ყოფილა მიტროპოლიტი. მნიშვნელობა აქვს მხოლოდ მესამე განსხვავებას, რომ რომში გაგზავნილი ნიკიფორე იხსენიება ქართველად, ხოლო მოსკოვში გაგზავნილი — ბერძნად. ამ განსხვავებას აღრმავებს ის გარემოება, რომ თეატინელთა ორდენის ისტორიკოსები გადმოგვცემენ, ვითომ ნიკიფორე ირბაქი ყოფილიყვეს საქართველოს ჯარის უფროსის დიდებული თავადის შვილი. ეს განსხვავება რომ არ ყოფილიყო, ამ ორის ნიკიფორე მოციქულის იგივეობა თავისთავად ცხადი იქნებოდა, იმდენად დიდი მსგავსებაა ამ ორს სეხნია მოციქულში დიპლომატიურის ნიჭის, ხასიათის და ქცევის მხრით.

<sup>1)</sup> იხ. Перенеска грузинских царей с российскими государями, გვ. 9.

ორივე ნიკიფორეს ზოციქულობის მიზანი იყო ერთი და იგივე, სახელდობრ: თხოვნა, რომ შემწეობა აღმოეჩინათ საქართველოსთვის მეზობელი მტრების წინააღმდეგ. თხოვნის საფუძველად ორივე მოციქული ადგენდა ქართველი ხალხის ქრისტიანობაზე მტკიცედ ყოფნას და შიშს, რომ ეს სიმტკიცე არ შერყეულიყო ურჯულო მტრების ძალმომრეობით. ერთი ნიკიფორე ეფიცება პაპს (და ალბათ ისპანიის და ევროპის სხვა ქვეყნების მეფეებსაც, რომლებთანაც მას მოლაპარაკება ჰქონდა) ქართველების ერთგულებას კათოლიკობისადმი და მეფე თეიმურაზის მზად ყოფნას მორჩილობისათვის. მეორე ნიკიფორე ასევე ეფიცება რუსხელმწიფეს ქართველების ერთგულებას მართლმადიდებლობისადმი და მეფე თეიმურაზის მზად ყოფნას მის ქვეშევრდომობისათვის. ერთი ნიკიფორე რომში ცდილობს თავის პირადი ერთგულობა და მორჩილება დაუმტკიცოს პაპს მით, რომ საჯაროდ აღიარებს კათოლიკობას, მეორე ნიკიფორე კი მოსკოვში ცდილობს თავისი ერთგულობა დაუმტკიცოს რუსხელმწიფეს მით, რომ თავის მიერვე დაწერილს მეფის წერილში მოუთხორობს, თუ რანაირს რჩევას აძლევდა თეიმურაზს რუსხელმწიფის საერთგულოდ. <sup>1)</sup> ნიკიფორე ბერი რომის მისიონერებისგან იხსენიება საქართველოში კათოლიკეთა ერთგულ და მფარველ პირად. რუსის მოციქულებიც ნიკიფორე მიტროპოლიტს იხსენიებენ როგორც თავიანთ დამხმარე და ხელის შემწყობ პირს. ნიკიფორე ირბაქმა მთელი ევროპა მოიარა 1626 წლითგან 1629 წლამდე თეიმურაზის მინდობილობით, ხოლო ნიკიფორე მიტროპოლიტის შესახებ თეიმურაზ მეფე რუსის მთავრობას სწერს, რომ თხუთმეტი თუ თექვსმეტი წელიწადია მას აქეთ, რაც ის მას ემსახურება და რომ ამ სამსახურში მას მოუვლია მოციქულად მრავალი ქვეყანა. <sup>2)</sup> ამ ანგარიშით ნიკიფორე მიტროპოლიტს თეიმურაზთან სამსახური უნდა დაეწყო 1623-1624 წელს, ე. ი. ნიკიფორე ირბაქის რომს წასვლამდე სამის წლის წინ. 1634 წლამდე კათოლიკე მისიონერები ხშირად იხსენიებენ ნიკიფორე ირბაქს, ამ წლის შემდეგ კი მისი ხსენება წყდება სწორედ მაშინ, როდესაც ნიკიფორე მიტროპოლიტი გაგზავნილ იქნა მოციქულად მოსკოვს, სადაც მოუხდა ორჯერ ზედი-ზედ მისვლა-მოსვლა და ცხოვრება 1635-1642 წლებში. კათოლიკე მისიონერის ძამპის თქმით, ნიკიფორე ირბაქს სკოდნია რუსული ენაც. <sup>3)</sup> ამ ენის ცოდნა კი შეეძლო ჰქონოდა იმ შემთხვევაში, თუ რუსეთში

1) იხ. Переписка груз. царей с росе. госуд., გვ. 14—19.

2) იქვე, გვ. 10, 11.

3) იხ. Chardin. Voyage en Perse etc. Paris, 1811, გვ. 211.

ნამყოფი იქნებოდა. რუსეთში ნამყოფი და მცოდნე რუსულის ენისა იყო ნიკიფორე მიტროპოლიტი. სხვა ნიკიფორე ამ ხანებში არ ყოფილა საქართველოთგან რუსეთს წასული.

მართალია, ნიკიფორე მიტროპოლიტი რუსხელმწიფეს მოახსენებს სხვადასხვა ქვეყნებში ვიყავი მოციქულადო, მაგრამ მხოლოდ სპარსეთსა და ოსმალეთში ყოფნას იხსენიებს<sup>1)</sup> და არ ამჟღავნებს ევროპაში ყოფნას. ამას ის დიპლომატურის მოსაზრებით შვრება, რადგან იცრის, რომ, როცა ამას განაცხადებდა, რუსები ჰკითხავდნენ მოციქულობის მიზანს და შედეგს. ეს კი არ იქნებოდა კარგი, რადგან იცოდა, რომ რუსებს სძულდათ პაპი და ევროპის მეფეებიც მათ კათოლიკობის გამო და თეიმურაზის მიმართვა არ ესიამოვნებოდად.

აგრეთვე მართალია, რომ ერთი ნიკიფორე რომში თავის თავს ქართველს უძახის და დიდი გვარის შვილად აცნობს თავს, ხოლო მეორე მოსკოვში თავის ბერძნობას არ მალავს, მაგრამ ორივე ეს მოვლენა სულ დიპლომატიური ხასიათისაა. ნიკიფორემ იცოდა, რომ რომში კათოლიკებს ბერძნები არ უყვარდათ და ამიტომ ნდობით არ მოეკიდებოდნენ მას, როგორც ბერძენს. ეს იყო იმის მიზეზი, რომ მან დამალა თავისი ბერძნობა და თეიმურაზ ძეფესაც დაამალვინა. თან თავის ნათესავობის შესახებ მთელი ზღაპარი შეთხზა. მოსკოვში კი თავის ბერძნობა არ დამალა და თავის მიტროპოლიტობას და იერუსალიმის პატრიარქის მფარველობაში ყოუნას აცხადებდა იმიტომ, რომ რუსები უფრო მეტის პატივისცემით მოეკიდებოდნენ და მეტი ნდობა ექნებოდა მათ თვალში.

ისიც მართალია, რომ სამეგრელოში მყოფი, დაახლოვებით 1650-1679 წლებში, კათოლიკე მისიონერი ძამპი თავის მოხსენებაში, რომელიც შარდენს აქვს დაბეჭდილი თავის წიგნში, იხსენიებს ორს ნიკიფორე ბერს, რომელთაგან ერთს უწოდებს ირბაქს და სთვლის ქართველად, მეორეს კი ბერძნად. პირველის შესახებ ის სწერს: „ის ბერები, რომლებიც ახლა იმყოფებიან სამეგრელოში, მესამე გვარისანი არიან. ისინი მოდიან ათონის მთითგან და ირუსალიმისთვის შესაწირავების მოგროვების საბაბით ამ ქვეყანაში რჩებიან მთავრის მფარველობის ქვეშ მისგან დათმობილს მის საკუთარს ეკლესიებში. ზოგიერთნი ბინავდებიან ერთს ქართველ ბერთან, რომელიც იწოდება ნიკიფორე ირბაქად, მაგრამ რომელიც საზოგადოდ ცნობილია ნიკოლოზ ბერად და არის საქართველოს პირველი გვარიშვილთაგანი, სამოცდაათის წლის კაცი. მას აქვს არქიმანდრიტის ან წინამძღვრის

<sup>1)</sup> იხ. Переписка грузинских царей с российскими государями, 33. 19.

ხარისხი და იწოდება ჯვარისმამად. ხალხი მას დიდს პატივს სცემს და სამეგრელოს მთავარი მას ხმარობს ვეზირად და მოციქულად, რადგან მას ძალიან კარგად ესმის პოლიტიკა და რავდენჯერმე ყოფილა იერუსალიმში. მას მოუვლია მთელი ევროპა, უნახავს ისპანია, საფრანგეთი, ინგლისი, პოლონეთი და იტალია, სადაც ჩვენი მამები ყოველთვის ბინას აძლევდნენ. იცის რავდენიმე ენა, გარდა ქართულისა და მეგრულისა, სახელდობრ: ბერძნული, თურქული, არაბული, რუსული, ფრანგული, ისპანური და იტალიური. მან აღიარა კათოლიკე სარწმუნოება პაპის ურბანოს მერვის წინაშე. ჩვენს მამებს დიდს პატივს სცემს.“<sup>1)</sup>

ეს ცნობა შეიცავს ყველაფერს, რასაც რომის დოკუმენტები გადმოგვცემენ ნიკიფორე ირბაქის შესახებ, მხოლოდ ორი რამ არის მაში ახალი: პირველად ის, რომ ნიკიფორეს სხვა ენათა შორის რუსული ენაც სცოდნია და რომ ის ყოფილა ჯვარისმამად წოდებული.

მეორე ნიკიფორე ბერის შესახებ ძამპი სწერს: „არის წმინდა ქვეყნის ერთი რწმუნებული, გამოგზავნილი იერუსალიმის პატრიარქის მიერ ზემოხსენებული წმინდა ადგილებისთვის შესაწირავების შესაგროვებლად როგორც ოდიშში ანუ სამეგრელოში, ისე იმერეთში, რომელიც არის საქართველო, და გურიაში. ეს რწმუნებული, რომელიც ყოველთვის ბერია, არის ახლა ბატონი ნიკოლოზ ნიკიფორე, ბერძნის ბერი წმ. ბასილის წესისა, ჯვარისმამად წოდებული. მას შეუძლიან, იერუსალიმის პატრიარქსავეთ, ყველას მისცეს შენდობა, ე. ი. კურთხევა ანუ სრული პატივება, რასაც ის ჩადის ორმოცდაათი სკუდის ფასად თვითეულზე“.<sup>2)</sup>

ამ ორნაირი ცნობის წამკითხველს ეგონება ძამპი ორს სხვადასხვა პირზე ლაპარაკობსო. ერთი რომ ნიკიფორე ირბაქია, მეორე ნიკიფორე მიტროპოლიტად ეჩვენება. ნამდვილად კი ეს ორი სხვადასხვა ადგილს მოთავსებული ცნობა ერთსა და იმავე პირს შეეხება. პირველს ცნობაში ძამპი ემყარება რომის საბუთებს და იმეორებს იმას, რასაც თეატინელთა ორდენის ისტორიკოსები სწერენ ირბაქის ვინაობაზე. მეორე ცნობა კი დამყარებულია იმაზე, რაც ნიკიფორე ბერის ვინაობის შესახებ ადგილობრივ შეუტყვია. ეს ორი სხვადასხვანაირი ცნობა შეუთანხმებელი დარჩენია ძამპის იმიტომ, რომ

1) იხ. Chardin. Voyage en Perse etc. Paris. 1811, გვ. 210—211.

2) იქვე, გვ. 323.

მოხსენება უწერია სხვადასხვა დროს რავდენიმე ხნის გამავლობაში ნაწილ-ნაწილ და ბოლოს ერთად შეუკოწიწებია მექანიკურად.

ძამპის მიერ მოხსენებული ორივე ნიკიფორე რომ ერთი და იგივე პირია, იქითგან ჩანს, რომ ერთსაც და მეორესაც ზედმეტი სახელი ნიკოლოზი აქვს, ორივე ჯვარისმამაა და ორსავე დამოკიდებულება აქვს იერუსალიმის მონასტრებისათვის - შესაწირავების გროვებასთან. ერთს ნიკიფორესთან (სახელდობრ ირბაქთან) თავს იყრიდნენ, ძამპის თქმით, ათონის მონასტრითგან მოსული ბერები, რომელთაც მიზნად ჰქონიათ იერუსალიმის მონასტრების სასარგებლოდ შესაწირავების მოგროვება, მეორე ნიკიფორე თითონ ჰკრეფდა ასეთს შესაწირავებს და ჰგზავნიდა იერუსალიმის მონასტრებში. ცხადია, აქ ორს სხვადასხვა ნიკიფორესთან რომ გვექონდეს საქმე, უცხო ქვეყნიეთგან იერუსალიმის მონასტრებისთვის შესაწირავების მოსაგროვებლად მოსული ბერები უნდა დამდგარიყვნენ სწორედ იმ ნიკიფორესთან, რომელსაც საგანგებოდ ამ შესაწირავების მოსაგროვებლად გამოგზავნილად იხსენიებს ძამპი. ის კი მოსული ბერების ბინად ასახელებს იმ ნიკიფორეს ბინას, რომელზედაც არ ამბობს, რომ შესაწირავების მოგროვების რწმუნება ჰქონოდა. ძამპისავე თქმით ნიკიფორე ირბაქს ხშირად უვლია იერუსალიმში. ცხადია მას იქ წასვლა ხშირად მოუხდებოდა მაშინ, როდესაც ის იქნებოდა „პატრიარქის რწმუნებული“ მთელს საქართველოში შესაწირავების მოსაგროვებლად, ე. ი. როდესაც ნიკიფორე ირბაქი იქნებოდა იგივე, რაც მეორე ნიკიფორე ბერი. ნიკიფორე ირბაქი, ძამპის სიტყვით, რუსული ენის მცოდნე ყოფილა, მეორე ნიკიფორეზე კი არაფერს ამბობს რუსულის ენის ცოდნისას, თუმცა იმანაც, თუ მას ცალკე პიროვნებად, ნიკიფორე მიტროპოლიტად, მივიღებთ, იცოდა რუსული ენა: თუ ნიკიფორე მიტროპოლიტად არ მივიღებთ, გამოვა, რომ ეს ყოფილა მესამე ნიკიფორე (ნიკოლოზი) და ამ შემთხვევაში ნიკიფორე მიტროპოლიტის და ნიკიფორე ირბაქის იგივეობის საწინაამდგომარეობის მნიშვნელობა ძამპის მოხსენებისა სრულებით ქარწყლდება. ამნაირად ეჭვი არ არის, რომ ძამპი ერთსა და იმავე პირზე ლაპარაკობს ორს სხვადასხვა ადგილს და რომ ეს პირია ნიკიფორე (იგივე ნიკოლოზ) ბერი, რომში ირბაქის გვართ გაცნობილი, ხოლო რუსეთში მიტროპოლიტად წოდებული.

ამავე ნიკიფორეს იხსენიებენ რუსხელმწიფის მოციქულები 1650 წელს იმერეთში ყოფნის დროს. იგი მოხსენებულია გოლგოთის მონასტრის იგუმენად და ალექსანდრე მეფესთან მყოფად. მეფის მინდობილობით ის ხშირად ხვდება რუსეთის მეფის მოციქულებს და



აწარმოებს მოლაპარაკებას, უეჭველია, როგორც რუსულის მცოდნე და დახელოვებულ დიპლომატად მიჩნეული.

ნიკიფორე ირბაქი რომ ქართველი არ იყო, არამედ ბერძენი, ამის გადამჭრელს საბუთს იძლევა თვით ის წიგნი, რომლის შედგენასა და დაბეჭდვასთან არის დაკავშირებული მისი სახელი.

იმის გარდა, რომ წიგნში ბევრი კორექტურული შეცდომაა, წარმომდგარი იქითგან, რომ ამწყობს ვერ გაურჩევია ასო და ერთის მაგიერ მეორე ამოუღია ან ასო სულ გამოუტოვებია, იშვიათია ისეთი სიტყვა, რომ მაში არ მოიპოვებოდეს შეცდომა, წარმომდგარი ქართულ ბგერათა ერთმანეთში არევისაგან. მაგალ., არეულნი არიან ერთმანეთში ბ და ვ, ბ და პ, გ და კ, გ და ლ, გ და ხ, დ და თ, დ და ტ, ზ და ს, ზ და ძ, კ და ხ, კ და ლ, კ და ქ, კ და ჩ, მ და ბ, მ და ნ, პ და ფ, ქ და გ, ლ და ხ, ყ და ლ, შ და ს, ც და ზ, ც და წ, ძ და ს, ძ და წ, ძ და ც, წ და ზ, ჭ და ზ, ჭ და ჩ, ჭ და ჯ, ჯ და ჩ, ჯ და ზ, მაგალ., ანთეგული (ანთებული), ელბა (ელვა), ლმოპიერი (ლმობიერი), კანიერი (განიერი), ტაბალი (დაბალი), სისმარი (სიზმარი), დავადი (თავადი), ნატესავი (ნათესავი), ბორჩილი (ბორკილი), გონი (ქონი), ჩუჩული (ჭუჭული), ზეზილი (ჯეჯილი), სლევა (ძლევა), ჯურჯელი (ჭურჭელი) და სხვ.

ბგერების ასეთი არევის ერთი მიზეზი ის არის, რომ იტალიელის, როგორც საზოგადოდ ყოველის უცხოელის, ყურს ეუცხოვება შესმენა და შეთვისება ზოგიერთის ქართულის ბგერებისა, რის გამო მას ხშირად სხვანაირად ესმის ქართული ბგერა და ამიტომ სხვა ბგერის გამომხატავი ასოთი სწერს.

არის კიდევ მეორე მიზეზი. ეს ისა, რომ, როგორც ჩანს, ქართულ-იტალიური ლექსიკონის შემდგენელს სტეფანე პაოლინის მის თანამშრომლის ნიკიფორე ირბაქისგან ნათქვამი სიტყვები, ალბათ, სისწრაფისათვის, უწერია არა ქართული ასოებით, არამედ იტალიურის ასოებით. შემდეგში იტალიური ასოებით დაწერილი სიტყვები ქართული ასოებით გადაუწერია. აი ამ ქართულად წერის დროს მას შეშლია ასოთა შესატყვისობა, მისგანვე მიღებული ლექსიკონის წინ დაბეჭდილს ანბანში, და არევით დაუწერია.

ამ ანბანში პაოლინის ასეთი ბგერათა შესატყვისობა აქვს მიღებული: გ=gh, ზ=z (როგორც ეს ასო გამოითქმის სიტყვაში zefiro), თ=th ანუ ბერძნული θ; კ=k, ყ=j (იმ გამოთქმით, რომელიც ამ ასოს აქვს ისპანურს სიტყვაში hijo), ფ=f ან ph, ქ=ch, ყ=c, ლ=g (როგორც ეს ასო გამოითქმის მარცვლებში: ga, go, gu), შ=sc

(როგორც ეს გამოითქმის მარცვლებში: scia, sce, sci, scio, sciu), ჩ = ci (როგორც ეს გამოითქმის მარცვლებში: cia, cio, ciu), ც = z (როგორც ეს ასო გამოითქმის იტალიურს სიტყვაში zoppo), ძ და წ = z (როგორც ეს ასო გამოითქმის იტალიურს სიტყვაში zio), ჭ = ch, ხ = ch, ჯ = g (როგორც ეს ასო გამოითქმის მარცვლებში gia, gio, giu).

ხშირად ეს შესატყვისობა დაურღვევია პაოლინის და დაუწერია ასე: busi და არა buzi, nateli და არა natheli, echali და არა ekali, amaghleba და არა amagleba, davnag და არა davnac, kmeli და არა chmeli, dachereba და არა dakereba, apra და არა afra ან aphra, bakaki და არა bacaci, avichazi და არა avikazi, avisitkua და არა avisitcua, giurgeli და არა churcheli. შემდეგში ეს იტალიური ასოებით დაწერილი ქართული სიტყვები ქართული ასოებით გადაუწერია თანახმად მის მიერ მიღებული შესატყვისობისა და გამოსვლია: ბუსი, ნატელი, ეხალი, ამაგლება, დავნალ, კმელი, დახერება, აპრა, ავიხაწი, ავისიტკვა, ჯურჯელი (ნაცვლად სიტყვებისა: ბ უ ზ ი, ნ ა თ ე ლ ი, ე კ ა ლ ი, ა მ ა ლ ლ ე ბ ა, დ ა ვ ნ ა ყ, ხ მ ე ლ ი, დ ა კ ე რ ე ბ ა, ა ფ რ ა, ა ვ ი კ ა ც ი, ა ვ ი ს ი ტ ყ ვ ა, ჭ უ რ ჭ ე ლ ი).

არის შემთხვევები, როდესაც პაოლინის ქართული სიტყვები დაუწერია იტალიური ასოებით მიღებული შესატყვისობის თანახმად, მაგრამ, რადგან ერთისა და იმავე ასოთი მიღებული აქვს ზოგიერთი სხვადასხვა ქართული ბგერის გამოხატვა, ქართული ასოებით გადაწერის დროს დავიწყებია რომელ სიტყვაში რომელი ბგერის გამომხატველი იყო სხვადასხვა ქართული ბგერის გამომხატველი ერთი და იგივე იტალიური ასო და ერთმანეთში აურევია სხვადასხვა ბგერების გამომხატველი ქართული ასოები, რის შემდეგ გამოსვლია ასეთი სიტყვები: კერცო (ნაცვლად კერძო), ბეზგი (ნ. ბეწვი), წივა (ნ. ცივა), ზნობილი (ნ. ცნობილი), ბარწიმი (ნ. ბარძიმი), წიცა (ნ. ძიძა), მამაწი (ნ. მამაცი), ავიზელიცადი (ნ. ავიწელიწადი).

აქ მოხსენებული ორნაირი შეცდომა ხშირად ერთსა და იმავე სიტყვაშია მომხდარი. მაგალ., წყევლა ჩაწერილია იტალიურის ასოებით არა zcevla, არამედ zchevla, ხოლო ქართული ასოებით ზხევლა. სიტყვა აურაცხელი იტალიურად არის დაწერილი, თანახმად მიღებული ასოთა შესატყვისობისა, aurazcheli, მაგრამ ქართული ასოებით გამოუხატია თანახმად იტალიურის გამოთქმისა აურახელი.

ხშირად სიტყვაში გამოტოვებულია ასო ან ასოები, მაგალ., გლავი (ნაც. მკლავი), ერბოკვერზ (ნ. ერბოკვერცხი), ეისკაცი (ნ. ერისკაცი).

ბევრჯერ ქართული სიტყვა ისე დამახინჯებულია, რომ კაცო ვერ იცნობს, რა უნდა ყოფილიყო, თუ არ დაიხმარია იტალიური სიტყვა, მაგალ., საკველტა (ნაც. საყოველთაო), საკვირვეწო (ნ. საკვირველი), საზხინანი (ნ. საწყინარი), სამოსავატი (ნ. სამშაფათი), მაუკსუნდამა (ნ. მაქეს მადა), ვართლიცვალი (ნ. ვარდისწყალი), ღორჩესმო (ნ. ხორცისშესხმა).

არიან აგრეთვე იმისთანა სიტყვები, რომელთა გამოცნობას ვერ უშეგლის იტალიური მისი შესატყვისი სიტყვაც, მაგალ., მეტონდრონ (Secondo—მეორე), იკუნებუტი (Cittadino—მოქალაქე), ანდამარი (Calamita—შფოთი), უპუსი (Prelato—პრელატი), ულაცოს (Sfacciato—თავხედი, კადნიერი), პისარი (Piazza—მოედანი), პათიოს (Civile—სამოქალაქო).

ხშირად სიტყვების გამოცნობას აჭირებს აგრეთვე ის გარემოება, რომ ვ-ბგერა იტალიურის ტრანსკრიპციით ჩაწერილი უ-ასოთი, როგორც ეს მაშინ მიღებული იყო, ქართულადაც უ-ასოთი არის გამოხატული, მაგალ., ჯაური (ნაც. ჯავრი).

ბოლოს უნდა აენიშნოთ ერთი შესამჩნევი და მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც შეინიშნება ქართულ-იტალიურს ლექსიკონში, სახელდობრ ის, რომ ქართულ სიტყვათა შორის მოიპოვება ბევრი იმისთანა სიტყვა, რომელნიც არ არიან ქართულნი და არც არადროს ყოფილან ხმარებულნი ქართულ ენაში თუ მწერლობაში. მომეტებულს ნაწილად ეს სიტყვები ბერძნულები არიან, ზოგიერთნი კი იტალიურები. ამ სიტყვებს ლექსიკონში უჭირავთ ადგილი იმისთანა ქართული ან გაქართულებული სიტყვებისა, რომლებიც ყოფილან და დღესაც არიან ხმარებულნი როგორც მწერლობაში, ისე ცოცხალს მდაბიო ენაში.

აქ ჩამოვწერთ იტალიურ სიტყვებს ფრჩხილებში ქართულად მათი მნიშვნელობის აღნიშვნით, ხოლო მათ პირდაპირ პაოლინის ლექსიკონში დაბეჭდილს ვითომ შესატყვისის ქართულ სიტყვებს.

Huomo (მამაკაცი)	ანირი
Fortezza (სიმაგრე)	ანდრია
Giganti (ბუმბერაზები)	გილანტეს
Scolpito (გამოჭრილი)	გლიფტოს
Taverna (ღვინის ღუქანი)	გაპილა
Magazzino di vino (ღვინის ღუქანი)	კაპილა
Tavernaro (მედუქნე)	გაპილარი
Oste (მედუქნე)	კაპილარი
Secolo, Eta (საუკუნე, ხანი)	ეთი

Oglio (ზეთი)	ელეო
Empiastro (მალამო)	ემბლასტი
Barca (ბარჯაზი)	ვარკა
Re (მეფე)	ვასილია
Capitano (წინამძღოლი)	იემონ
Hipocrisia (პირმოთნეობა)	იპოკრიტი
Hipocrito (პირმოთნე)	იპოკრიტო.
Hipocrito (პირმოთნე)	ფარისეო.
Cavallo (ცხენი)	იპო
Morale (ზნეობა)	იტეკო
Porto (ნავთსადგური)	ლმიონა
Solennita, Festa (ზეიმი, დღესასწაული)	პანალირი
Spedale (საავადმყოფო)	პანდოხიონე
Conseglio (საბჭო)	სინაკსის
Timone (საჭე)	ტიმონი
Testimonio (მოწამე)	მართირი
Martire (მოწამე, წამებული)	მარტირი
Mago (მოგვი)	მალოს
Magazzino (მალაზია)	მალაცონ
Melinconia (ნაღვლიანობა)	მელაკონია
Intercessore (მეოხი, შუამდგომელი)	მეტიტის
Cometa (კუდიანი ვარსკვლავი)	პლანე
Profeta (წინასწარმეტყველი)	პროფიტი
Profezia (წინასწარმეტყველება)	პროფიტია.
Sabbato (შაბათი)	სავათონ
Scorfano Pesce (მორიელი)	სკორპიო
Soldato (ჯარისკაცი)	სტრატილატი
Estrema unzione (ზეთის კურთხევა)	ლოცვაელეონი
Christiani (ქრისტიანები)	ქრისტიანოს
Zuccaro (შაქარი)	ცახარი
Secondo (მეორედ)	ვიტა
Lebbra, Lepra (მკეთრი)	ლეპრი
Lino (სელი)	ლინარე
Buona note (კეთილი ღამე)	ვალიმპსუერი
Buondi (კეთილი დღე)	კალიდილა
Buonasera (კეთილი საღამო)	კალისერება
Buongiorno (კეთილი დღე)	კალირჯე
Tempesta di vento e pioggia (ქარაშოტი)	გათაკლისმო

ეს სიტყვები შეადგენენ ნაწილს იმ სიისას, რომელიც შეიძლება შედგეს პაოლინის ლექსიკონში ქართულ სიტყვებად გასაღებული ბერძნული სიტყვებისგან. მაგრამ სიტყვებს არ სჯერდება ლექსიკონის შემდგენელი და მთელი ბერძნული ფრაზა აქვს შეტანილი ქართულის მაგიერ. მაგალ., იტალიური ფრაზა Vicario di Cristo e il Papa (ქრისტეს ნაცვალი არის პაპი) ქართულად ნათარგმნია: ეპიტროპუს ტუ ქრისტუ პაპა.

ჩვენ ვიცით, რომ ლექსიკონი შეადგინა იტალიელმა სტეფანე პაოლინიმ, რომელმაც ქართული სულ არ იცოდა, ნიკიფორე ირბაქის დახმარებით. პაოლინი თავის თავად ქართული სიტყვების ნაცვლად არ შეიტანდა ბერძნულ სიტყვებს თავის ლექსიკონში. ცხადია, ეს ბერძნული სიტყვები და მთელი ფრაზაც კი მისთვის უკარნახია მის თანამშრომელს ნიკიფორე ირბაქს, რომელსაც შეეძლო ასე მოქცეულიყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის იქნებოდა ბერძენი, ქართულის ენის კარგად არ მცოდნე. წარმოუდგენელია, რომ ქართველს ქართულ-იტალიური ლექსიკონის შედგენის დროს ქართული სიტყვების და ფრაზის ნაცვლად ბერძნული, ქართულში არ ხმარებული, სიტყვები და ფრაზა ჩაეწერინებინოს თავის თანამშრომლისთვის მაშინაც კი, როცა იმას რამე მიზეზით არ ეცოდინებოდა კარგად ქართული. მაგრამ საბუთი არ არის ვიფიქროთ, რომ ირბაქს, თუ ქართველი იყო, ისიც დიდი გვარის შვილი, ქართული კარგად არ სცოდნოდა, მეტადრე თუ ირბაქს ჩვენ მივიჩნევთ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წინამძღვრად, ნიკიფორე ჩოლოყაშვილად, როგორც ამას ზოგიერთი ფიქრობენ. ჯვარის მონასტერში მუდამ ბლომად ცხოვრობდნენ ქართველი ბერები, ჰქონდათ მდიდარი ქართული ბიბლიოთეკა და წირვალოცვა ქართულად სრულდებოდა. ამ პირობებში ქართველი, ჯვრის მონასტერში მცხოვრები, რაც უნდა მცირე ხნისა დაბინავებულიყო იქ, ქართულს არ დაივიწყებდა. პირიქით, უცხოეთის ქართულ მონასტრებში ქართველი ბერები უფრო ვითარდებოდნენ ქართულს ენაში. სამაგიეროდ, თუ ირბაქს ბერძნად წარმოვიდგენთ, სახელდობრ, ნიკიფორე მიტროპოლიტად, მაშინ ყველაფერი ადვილად აიხსნება. ნიკიფორე ირბაქი, როდესაც რომს გაემგზავრა, ორის თუ სამის წლის ნამყოფი იქნებოდა საქართველოში. ქართული შეეძლო შეესწავლა ცოტაოდნად და არა საფუძვლიანად. რომში ლექსიკონის შედგენის დროს შესაძლებელია ავიწყდებოდა ზოგიერთი ქართული სიტყვები და სტეფანე პაოლინის დავიწყებული ქართული სიტყვების მაგიერ თავის სამშობლო ენის სიტყვებს უკარნახებდა, რომ არ გაემყლაგებინა მისთვის ქართულის უცოდინარობა და თავის არა-ქართველობა.

ეს რომ ასეა, იქითგან ჩანს, რომ ერთხელ დავიწყებული სიტყვა მეორე შემთხვევაში აგონდება და კიდევ უკარნახებს პაოლინის. მაგალ., ერთ შემთხვევაში რომ Uomo ახსნილი აქვს ბერძნული სიტყვით ანირი, მეორე შემთხვევაში ხსნის ქართული სიტყვით კატსი (ე. ი. კაცი); Fortezza ერთს შემთხვევაში ბერძნული სიტყვით ანდრია, მეორე შემთხვევაში ქართული სიტყვით ზლიერება, მესამე შემთხვევაში ქართულითვე მაკარი (ე. ი. მაგარი); Eta ერთს შემთხვევაში ბერძნული სიტყვით ეთი, მეორე შემთხვევაში ქართული სიტყვით დრო; Cavallo ერთს შემთხვევაში ბერძნული სიტყვით იპო, მეორე შემთხვევაში ქართული სიტყვით წხენი (ე. ი. ცხენი); Conseglio ერთს შემთხვევაში ბერძნული სიტყვით სინაკსის, რომელიც დაბოლოებითაც კი არ არის გაქართულებული, მეორე შემთხვევაში ქართული სიტყვით კამორჩევა (ე. ი. გამორჩევა).

ყველა ზემონათქვამის შემდეგ ჩვენ შეგვიძლიან ანნაირად გამოვარკვიოთ პიროვნება იმისი, რომელმაც ხელი შეუწყო ქართული სტამბის დაარსებას რომში და ქართულ-იტალიურის ლექსიკონის შედგენას და დაბეჭდვას ამ სტამბაში. მას რქმევია ნიკიფორე (ზედმეტად ნიკოლოზ), ყოფილა ბერი იერუსალიმის ერთერთის მონასტრისა, შეიძლება გოლგოთისა, გვარტომობით ბერძენი. იერუსალიმითგან საქართველოში მოსულა თეიმურაზ მეფის დროს 1623 ან 1624 წ. მეფეს გაუტყვნია ეს ბერი და მოსწონებია, როგორც ჭკვიანი კაცი. იგი გამხდარა მეფის სანდო და ერთგული მრჩეველი. თეიმურაზ მეფეს მისთვის მიუცია ჯვარისმამობა ე. ი. იერუსალიმის მონასტრების საქართველოში მყოფი მამულების გამგებლობა<sup>1)</sup>. როგორც სანდოსა

<sup>1)</sup> რომ ჯვარისმამას ნიშნავდა საქართველოს მეფე, ჩანს შემდეგს დოკუმენტიდან, რომელიც ინახება ყოფილ საეკლესიო ბუხერში № 553 ქვეშ.

„ესე ფიცი და პირი და საერდგულო სიტყვა გკადრეთ და მოგახსენეთ თქვენ ყოველთა მეფეთა მფლობელსა ძლიერსა და უძლეველსა სახელადმატებულსა კელმწიფესა პატრონს შაჰნაოზს და კელმწიფესა ყოვლად საქებლად სადიდებლად ენაგონება-მიუწოდებულსა ძესა თქუენსა პატრონსა არჩილსა და ყოვლისა საქართველოსა მაკურთხეველსა ბატონისშვილსა პატრონს კათოლიკოსსა დომენტის ჩუენ ჯუარის მამამან წულუკიძემ ნიკოლოზ ასრე და ამა პირსა ზედან, რომე ჯუარის მამა თქუენის ბრძანებით დადგომილა ნიადგ ქართველის ბატონისაგან და კათოლიკოზისაგან და ჩუენცა გიახელით და გთხოვეთ ჯვარისმამობა და გვიბოძეთ სრულ საქართველოსა ჯვარის მონასტრის მამულები. აწე ვიყოთ თქუენი ერდგული და თქუენის სიკეთის მომჭირნე რაც ჩემის კელითა და სიტყვით გამივიდეს და რაც საიერუსალიმო ვიშოვნო ამ ოთხს საბატონოში სრულა მონასტრისათუის შევიანხო და არც ჩემს შვილსა და ჩემს ნათესავს მივსცე უსყიდლად და თქუენ ბატონს კათოლიკოზს მოგაბარო და რაც ვიშოვო მონასტრისათუის და სანამდი ჯვარისმა-

და ერთგულის, მასთან ჭკვიანის და მოხერხებული კაცისთვის, თეიმურაზს ხშირად მიუხდებოდა მისთვის მოციქულობა სხვადასხვა ქვეყნების მეფეებთან. სხვათა შორის ის იყო გაგზავნილი პაპთან და ევროპის სხვადასხვა მეფეებთან (1626—1629 წ.). შემდეგ თეიმურაზს იერუსალიმის პატრიარქისგან მისთვის გამოუთხოვნი მიტროპოლიტობა. პატრიარქს მიუცია მისთვის ეს ხარისხი მხოლოდ წოდებულობით. ამ ხარისხით თეიმურაზ მეფემ მოციქულად გაგზავნა ორჯელ რუსეთს (1635 და 1639 წ.). როგორც ჯვარისმამას ნიკიფორეს უხდებოდა ყოფნა და ცხოვრება საქართველოს ყველა სამეფოებსა და სამთავროებში, სადაც კი იერუსალიმის მონასტრებს მამულები ჰქონდათ: ქართლში, კახეთში, იმერეთში, გურიაში და სამეგრელოში. ყველგან ერთგვარად პოულობდა მეფეების და მთავრების ნდობას და პატივისცემას. ყველანი მას მიმართავდნენ რჩევისათვის და სხვადასხვა დიპლომატიურის სამსახურისთვის. ისიც გულწრფელად თანაუგრძობდა მათ პოლიტიკურ გაჭირებას და ერთგულად ეხმარებოდა რჩევით და დიპლომატიური მინდობილობის შესრულებით. მეტად დამახასიათებელი და მის დროისთვის გასაკვირველი მისი თვისება იყო ყოველგვარის სექტანტურის ფანატიზმისაგან თავისუფლება. ის თანაბრად და ერთნაირის პატივისცემით ეკიდებოდა აღმოსავლეთის მართლმადიდებლობას და დასავლეთის კათოლიკობას. მართლმადიდებლობაში აღზრდილი და მართლმადიდებელთა წესის ბერი რომში პაპს კათოლიკედ ეცხადება და საქართველოში მფარველობს კათოლიკობას. ქვეყნის პოლიტიკურ ინტერესს ანაცვალებს ვიწრო ეკლესიურს ფანატიზმს. შეიძლება ამის ბრალიც იყვეს, რომ ის ვერ ეღიროსა მიტროპოლიტად კურთხევას არც იერუსალიმის პატრიარქისგან და არც საქართველოს კათოლიკოზისგან.

სამწუხაროდ ჩვენ არ ვიცით ნიკიფორეს სიკვდილის წელიწადი ისევე, როგორც არ ვიცით მის დაბადების წელიწადი. გვაქვს მხოლოდ ზემოდ მოყვანილი ცნობა, რომ სამოცდაათის წლისა ჯერ კიდევ ცოცხალი ყოფილა.

სხვადასხვა ცნობები ნიკიფორეს გვარიშვილობის შესახებ, რომელნიც ქართულს მწერლობაში არსებობენ, უნდა უსაფუძვლოდ ჩაითვალოს, რადგან ის არ ყოფილა არც ჩოლოყაშვილი, როგორც ამას სწერს პროფ. კ. კეკელიძე (იხ. მის ქართული ლიტერატურის ის-

მობა მქონდეს ეს ასე გაგითაოთ პატრონო. დაიწერა კელითა მალაქძის ნიკოლაოზისითა ქორონიკონს ტნიგ ფებერვალსა ს“

„მამა ჯვარისა ნიკოლოზ“

ტორია, ტ. II, გვ. 223), არც ირუბაქიძე, როგორც ამას გულისხმობს პროფ. გრ. შერეთელი (იხ. ურნ. ახალი კავკასი-

ALPHABETVM  
IBERICVM,  
SIVE GEORGIANVM,  
CVM ORATIONE DŌMINICALI  
Salutatione Angelica, Symbolo Fidei,  
Præceptis Decalogi, Ecclēsiæ Sa-  
cramentis, & Operibus  
Mifericordiæ.

Latina; & Iberica lingua compositis, & Cha-  
ractère Georgiano impressis:

*Accesserunt Litanis B. V. eisdem lingua,  
& characteribus Ibericis.*



ROMÆ, Typis Sac. Congr. de Propag. Fide, MDCXXXIX.  
SUPERIORVM FACVLTATE.

ქართული ანბანი ლოცვებით, დაბეჭდილი რომში 1629 წ.  
თავწარწევა ლათინურს ენაზე. ნამდვილი ზომა.



ონი 1925 წ. № 1-2. ნეაპოლი, რომი, ბერლინი, გვ. 34), არც ირბახია, როგორც ამას მოგვითხრობს ზაქარია ჭიჭინაძე<sup>1)</sup>.

მეორე ქართული წიგნი, რომელიც იმავე 1629 წელს დაბეჭდა რომში სარწმუნოების გამავრცელებელი საზოგადოების სტამბაში, არის ქართული ანბანი ლოცვებითურთ. ეს წიგნი ჩვენ არ შეგვხვედრია, მაგრამ მის შესახებ სარწმუნო ცნობას იძლევა პროფესორი ალ. ცაგარელი.<sup>2)</sup>

ამ წიგნს ჰქონია შემდეგი თავწარწერა ლათინურ ენაზე: Alphabetum Ibericum, sive Georgianum, cum Oratione dominicali, Salutatione Angelica etc. Romae, 1629.<sup>3)</sup>

წიგნში დაბეჭდილი ლოცვების ტექსტი, უეჭველია, კათოლიკე ბერებისთვის გადაცემული იქნება იმავე ნიკიფორე ირბაქის მიერ, რომელმაც სტეფანე პაოლინის მიაწოდა სიტყვების განმარტება ქართული-იტალიური ლექსიკონისთვის. ჩვენის აზრით, ანბანი იგივე იქნება, რაც ქართულ-იტალიურ ლექსიკონს მიუძღვის წინ, ხოლო ლოცვები იქნებიან ისინი, რომელნიც დაბეჭდილნი არიან მაჯიოს 1643 და 1670 წ. გამოცემული ქართული გრამატიკის ბოლოს. ამიტომ რაც ვსთქვით ზევით ლექსიკონში მოთავსებულის ანბანის შესახებ და რასაც ვიტყვით ქვევით მაჯიოს გრამატიკაში მოქცეული ლოცვების შესახებ, ამ წიგნსაც შეეხება.

მესამე ქართული წიგნი, რომელიც იმავე საზოგადოებამ გამოსცა რომში 1643 წ., არის ქართული ენის გრამატიკა, შედ-

<sup>1)</sup> იხ. ჭიჭინაძე ზ. ქართველთა კათოლიკეთა სასულიერო მოღვაწეანი. ტფ. 1904. გვ. 15. ამ წიგნში ზ. ჭიჭინაძე გვარწმუნებს, ვითომ ნიკიფორე ირბაქი (ირბახია) გამოჩენილი მწერალი ყოფილიყვეს და ვითომც მას დაეწეროს საეკლესიო ისტორია რვა ტომზე მეტი. ეს ცნობა სამწუხარო გაუგებრობაზეა დამყარებული. ძამპის მიერ მოხსენებული ნიკიფორე, რომელიც თავის თხზულების მერვე ტომში ლაპარაკობს ნინოზედ, ჭიჭინაძეს ნიკიფორე ირბაქად მიუღია და დავიწყებია, რომ ძამპისგან ნახსენები ნიკიფორე იყო კონსტანტინოპოლის პატრიარქი ნიკიფორე ქსანთაძე, ცნობილი საეკლესიო ისტორიის ავტორი, მეთოთხმეტე საუკუნეში მცხოვრები.

<sup>2)</sup> იხ. А. Цагарели. Сведения о памятниках грузин. письм. вып. I. СПб. 1886. გვ. XLIX.

<sup>3)</sup> ეს წიგნი ტფილისის უნივერსიტეტმა შეიძინა პარიზის ერთერთი ანტიკვარისაგან 1927 წელს, ავტორის სიკვდილის შემდეგ. წიგნის ტექსტის სიფართოვა 13x8 სანტ., შეიცავს 32 გვერდს. ანბანს უჭირავს 7 გვერდი, ლოცვებს 23 გვერდი. უნივერსიტეტის მიერ შექმნილი ცალი აკინძულია სარწმუნოების გამავრცელებელი საზოგადოების მიერ სხვა ენებზე გამოცემულ ანბანებთან. ერთად აკინძულია ანბანები: ეთიოპური, არაბული, სომხური, ბარმანული, ბრამანდიკული ანუ ინდური, სირიული, ეგვიპტური, ეტრუსკული, ბერძნული, ებრაული და ქართული.

გენილი ლათინურს ენაზე მისიონერის ფრანცისკო-მარია მაჯოს მი-  
ერ. ამ წიგნს აქვს შემდეგი ლათინური თავწარწერა: Syntagmaton  
linguarum orientalium quae in Georgiae regionibus audiuntur. Liber

# ALPHABETVM

IBERICVM,

Sive

GEORGIANVM

Vulgare.

Habet litteras Triginta sex.

Figura.	Nomen.	Potestas.	
ა	ან	An	a,
ბ	ბან	Ban	b,
გ	გან	Ghan	gh, <small>ut Ḡ, Hebr. &amp; Ital. ghe, ghi.</small>
დ	დონ	Don	d,
ე	ენ	En	e,
ვ	ვინ	Vin	u, <small>Consonans, ut β Graec. &amp; Ital. serua.</small>
ზ	ზენ	Zen	z, <small>ut Ital. Zefiro.</small>
ჩ	ჩაი	Hai	h,
ჭ	ჭაი	Hhai	hh, <small>ut ح Arab.</small>
თ	თან	Than	th, <small>ut θ, Graec.</small>
ი	ინ	In	i,

A 2 3

ქართული ანბანი ლოცვებით, რომი, 1629 წ.  
მესამე გვერდი. ნამდვილი ზომა.

primus complectens Georgianæ, seu Ibericæ vulgaris linguæ institutiones grammaticas autore D. Francisco Maria Maggio, clerico regulari, panormitano. Romæ, ex Typographia Sacræ Congregationis de Propaganda Fide. MDCXLIII. Superiorum permissu.

წიგნი დიდის ტანისაა. ტექსტის სიფართოეა 26,1×15 სანტ. დაბეჭდილია კარგს ქალღმერთად. თავწარწერიანი ფურცლის შემდეგ მოთავსებულია მაჯიოს მიმართვა პაპის ურბანოს მერვისადმი ხუთს გვერდზე. მასუკან ერთს გვერდზე მოთავსებულია ცენზურის წარწერილობანი. ბოლოს ორს გვერდზე მოთავსებულია Proemium (შესავალი).

შემდეგ ანუსხულ გვერდებზე იწყება თვით გრამატიკა 1 გვერდითგან და თავდება 136 გვერდზე. ბოლოში დართული აქვს საქრისტოანო კატეხიზმო, რომელიც შეიცავს ლოცვებს (137—143 გვ.).

გრამატიკა შეიცავს ოთხს ნაწილს: 1. მართლწერას, 2. ეტიმოლოგიას, 3. სინტაქსს და 4. პროსოდიას.

მაჯიოს გრამატიკა არის პირველი გრამატიკა ქართული ენისა, რომელიც კი დღეს ცნობილია. ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ მაში ბევრი გრამატიკული მოვლენა არ იყვეს სისწორით აღნიშნული. ასეთი შრომის აუცილებელ ნაკლს და შეცდომებს მაჯიოს შრომაში ერთვის ენის არასაკმარისი ცოდნის გამო მომხდარა შეცდომები. მაჯიო მოვიდა საქართველოში 1637 წ. და დაბინავდა გორში. ერთი წლის შემდეგ გადავიდა გურიას, სადაც დაჰყო სამი თუ ოთხი წელიწადი. ეს დრო, რასაკვირველია, არ კმაროდა, რომ ქართული ენა საფუძვლიანად შეესწავლა.

ქართული ანბანი მაჯიოს დალაგებული აქვს სწორედ, მიღებულ რიგზე. ასოების სახელებში შეცდომა არა აქვს. ორივე შრიფტი დაბეჭდილი: ხუცურიც და მხედრულიც. მხედრული შრიფტი ისევ ის არის, რაც პაოლინის ლექსიკონისა. ხუცურ ასოთაგან ზოგიერთი განსხვავებული მონაკვეთლობა აქვსთ ახლანდელგებთან შედარებით (ასომთავრულებს: **ც**, **ო**, **უ**, **ქ**, **ძ**, **ხ**, **ჰ**; ნუსხურებს: **ი** (შეცდომით **ღ** არის); **ჟ**, **უ**, **ტ**, **ფ** (შეცდომით **ვ** არის), **ყ**, **ხ**. ამას გარდა ნუსხური ასოების **შ**, **ძ** და **ვ**-ს მაგიერ ასომთავრულებია.

ქართული ასოთა შესატყვისობა ლათინურ და იტალიურ ასოებთან ხშირად შემცდარია.

აენიშნავთ მაჯიოს რავდენსამე გაუგებრობას და უცნაურობას ეტიმოლოგიაში.

ბრუნვაში მაჯიოს ექვსი საბრუნავი შეუმჩნეია: **ს ა ხ ე ლ ო ბ ი** - **თ ი**, **ნ ა თ ე ს ა ვ ო ბ ი თ ი**, **მ ი ც ე მ ი თ ი**, **შ ე მ ა ს მ ე ნ ე ლ ო ბ ი თ ი**.

წოდებითი და გამომავლობითი (ablativus). შემასმენლობითად მიაჩნია იგივე სახელობითი ი-ბგერით დაბოლოებულ სიტყვებში, სხვა ბგერით დაბოლოებულებში ისევე სახელობითი ი-ბგერის მიმატებით, მაგალ., მამა + ი, მზე + ი, ხბო + ი, კუ + ი. გამომავლობითად მიაჩნია ნათესავობითი საბრუნავი გადაბმული გან-თანდებულთან, მაგალ., მამისა + გან, მზისა + გან, ხბოსა + გან, კუსა + გან. სამაგიეროდ არა აქვს აღნიშნული მოთხრობითი, მოქმედებითი და ცვალებითი საბრუნავები.

მრავლობითი რიცხვი, მაჯიოს თქმით, წარმოებს ბი-ნაწილაკის მიმატებით სიტყვის მხოლობითი რიცხვის სახელობითი საბრუნავის ბოლოს, მაგალ., მამა + ბი, მეფე + ბი, გოგო + ბი. მხოლოდ ი-ბგერით დაბოლოებულ სიტყვებს მხოლობითის რიცხვის ოსაბოლოებელი ეცვლებათ ე-ბგერად და შემდეგ ემატება ბი-ნაწილაკი, მაგალ., შვილი — შვილე + ბი, სკამი — სკამე + ბი. ერთმარცვლოვანს სიტყვებში მხოლობითს რიცხვში ნათესავობითი და მიცემითი საბრუნავი არაფრით განსხვავდებიან, მაგალ., მთა, დრო, ნათეს. საბრ. მთასა, დროსა, მიც. საბრ. მთასა, დროსა.

რადგან ფონეტიკურ ცვლილებას ვერ არჩევს მორფოლოგიური ცვლილებისაგან, მაჯიოს ჰგონია, ვითომ ეთი-დაბოლოების მქონე სიტყვები მიცემითს საბრუნავში ლებულობენ ც-საბოლოებელს თი-დაბოლოების მოკვეცის შემდეგ, მაგალ., ქობულეთი — ქობულეც, ოზურგეთი — ოზურგეც, აკეთი — აკეც.

დასართავი სახელის შედარებითი ხარისხის საწარმოებლად, მაჯიოს თქმით, დასართავს სახელს თავში ემატება სი-მარცვალი, მაგალ., დადებ. ხარ. ლამაზი, შედარ. ხარ. სი + ლამაზი, დადებ. ხარ. წმინდა, შედარ. ხარ. სი + წმინდა, დადებ. ხარ. მძიმე, შედარ. ხარ. სი + მძიმე. ხშირად შედარებით ხარისხში დასართავი სახელი უცვლელი რჩება, როდესაც იმ საგნის სახელი, რომელთანაც შედარება ხდება, ნათესავობითის საბრუნავით ებმის გან-თანდებულს, მაგალ., მზესაგან ლამაზი, ეშმაკისაგან პილწი, ვაჟისაგან ძალიანი, ბერისაგან წმინდა.

აღმატებითი ხარისხი, მაჯიოს თქმით, წარმოებს დასართავს სახელზე დართვით სიტყვებისა: სულა, ბევრი, უფრო, წმინდა, მართალი, მაგალ., სულა ლამაზი, ბევრი ტკბილი, უფრო ნათელი, წმინდა შავი, მართალი ავი. ხარისხის აღმატებულობა ეთვისება დასართავ სახელს, როდესაც მას წინ მიუძღვის არსებითი სახელი მრავლობითს რიცხვში ნათესავობითის საბრუნავით, მაგალ., ვაჟების ძალიანი, კაცების ღარიბი, ქალების

აზნაური (ვითომც ამ მაგალითების მნიშვნელობა იყვეს: უძლიერესი ვაჟი, უღარიბესი კაცი, უკეთილშობილესი ქალი).

მაჯიო პიროვნებითი ნაცვალსახელების საბრუნავებს რევს იმავე პირის საკუთრებითი ნაცვალსახელების ნაკვთებში, მაგალ., სახ. მე, ნათ. ჩემის (ნაცვალად ჩემ ან ჩემი), მიც. ჩემსა (ნაცვალად ჩემ ან მე). ნაცვალსახელების რომელი და ვინ მრავლობითი რიცხვისთვის შემდეგ ნაკვთებს იძლევა: სახ. რომელი ვენენ, ვინ ვენენ, ნათ. რომელისა ვენენ, ვისა ვენენ, მიც. რომელსა ვენენ, ვისა ვენენ და სხვ.

ყველაზე მეტს უცოდინარობას და გაუგებრობას მაჯიო იჩენს ზმნებში. მიმოხრის მაგალითებად თავდაპირველადვე ისეთი ზმნები მოჰკავს, რომელნიც თავისებურობას წარმოადგენენ. არ უჩვენებს არავითარს საზოგადო წესს, არ იხილავს დროთა და კილოთა გვარებს, მიმოსახრელი საბოლოებლები არეული აქვს და ხშირად ერთი დროს ან კილოს ნაკვთები მეორე კილოსა და დროს ნაკვთებშია არეული. ამას დაუმატეთ საზოგადო მისი ნაკლი—ქართული ბგერების შეუთვისებლობა და ქართული სიტყვების დამახინჯებული წერა.

ასევე შეუგნებლად და შეცდომებით აქვს განმარტებული სხვა გვარი სიტყვებიც.

საქრისტიანო კატეხიზმოს, რომელიც გრამატიკას მოსდევს ბოლოში, შემდეგი სათაური აქვს ლათინურს ენაზე: *Catechesis christiana sive aliquot fidei rudimenta* (საქრისტიანო კატეხიზმო ანუ ზოგიერთნი სარწმუნოების დასაწყისნი). თვითეულ ლოცვას თავისი სათაური აქვს ლათინურს ენაზევე: *Signum sanctae crucis* (სახელითა მამისათა), *Trisagion* (წმიდაო ღმერთო), *Oratio dominicalis* (მამაო ჩვენო) და სხვ. ამ ლოცვების საზოგადო ხასიათი ის არის, რომ ტექსტი ჩვეულებრივია, როგორც საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას აქვს მიღებული, მხოლოდ ალაგ-ალაგ სიტყვები შეცვლილია და გამოტოვებულია ადგილები. ეს არ ითქმის მხოლოდ ათი მცნების ტექსტზე, რომელიც ძალიან არის შეცვლილი და გადაკეთებული, უეჭველია, სარწმუნოების გამაფრცვლებელი საზოგადოების განკარგულებით. ტექსტის დამწერს რომ ქართული კარგად არ სცოდნია და არც ნაკითხი ჰქონია ქართული საეკლესიო წიგნები, იქითგან ჩანს, რომ ხშირად ერთს სიტყვას მეორე სიტყვის ნაწილი აქვს მიწებებული. ეტყობა, მის დამწერს ზეპირად, შეუგნებლად ჰქონია დასწავლილი ლოცვების ტექსტი და ზეპირადვე დაუწერია ისე, როგორც სცოდნია.

ზევითა ვსთქვით, რომ მაჯოს გრამატიკაში დაბეჭდილი ლოცვების ტექსტი უნდა იგივე იყოს, რაც 1629 წელს რომში და-

CONIUGATIO VERBORVM. 87

ilfdeben, *fastidiant*; გაგუღოსღ, *ghaghulifdà, fastidit*, ԳԸ.

უ. Che finita .

მე. ვილაძარაჲ . *me vilaparachè, ego loquor* .

შენ . ილაძარაჲ . *scen ilaparachè, tu loqueris* .

იმან . ილაძარაჲ . *iman ilaparachà, ille loquitur* .

ჩუენ . ვილაძარაჲოთ . *ciuen vilaparachoth, nos loquimur* .

თუენ . ილაძარაჲოთ . *thcquen ilaparacherth, vos loquimini* .

იმათ . ილაძარაჲენ . *imath ilaparachen, illi loquuntur* .

შენ . ილაძარაჲ . *scen ilaparachè, tu loquere*, ԳԸ.

მე. ვდაუბაჲ . *me vdauzachè, ego voco* .

შენ . დაუბაჲ . *scen dauzachè, tu vocas* .

იმან . დაუბაჲ . *iman dauzachà, ille vocat* .

ჩუენ . ვდაუბაჲოთ . *ciuen vdauzachoth, nos vocamus* .

თუენ . დაუბაჲოთ . *thcquen dauzacherth, vos vocatis* .

იმათ . დაუბაჲენ . *imath dauzachen, illi vocant* .

შენ . დაუბაჲ . *scen dauzachè, tu voca*, ԳԸ.

Finita syllaba მე. me.

მე. ვჩამე . *me vciamè, ego comedo* .

შენ . ჩამე . *scen ciame, tu comedis* .

იმან . ჩამს . *iman ciamè, ille comedit* .

ჩუენ . ჩამოთ . *ciuen ciamoth, nos comedimus* .

თუენ . ჩამეთ . *thcquen ciameth, vos comeditis* .

იმათ . ჩამენ . *imath ciamen, illi comedunt* .

მაჯო. ქართული ენის გრამატიკა. რომი, 1670 წ.

87 გვერდი, ზნის მიმოხრა. დაპატარავებულია 2/6-ით.

ბეჭდილის ლოცვებისა ანბანთან ერთად. ამას გვაფიქრებინებს შემდეგი მოსაზრება: ფრიად შესაძლებელია, ნიკიფორე ირბაქს და მის მხლებელთ არ ჰქონებოდეთ წალებული რომში ქართული ლოცვანი ან, თუ ჰქონდათ წალებული, გზაში დაჰკარგოდეთ და ამიტომ დასაბეჭდად ირბაქს გადაეცეს ზეპირად დაწერილი. რადგან ირბაქს ქართული კარგად არ სცოდნია, წერაში ტექსტი დაუმახინჯებია ერთის სიტყვის ნაწილის მეორე სიტყვაზე მიწებებით. თავის გრამატიკისთვის მაჯიოს თითონვე რომ გადაეწეროს ქართულის ხელთნაწერი თვან ლოცვების ტექსტი, ის მას ისე არ დაამახინჯებდა. ის ნდობია ნიკიფორე ირბაქის მიერ შედგენილი ლოცვანის ტექსტს და გადმოუბეჭდია უცვლელად თავის გრამატიკაში.

ერთი გარემოება კიდევ საბოლოოდ უეჭვოდ ხდის ამ ჩვენს მოსაზრებას. საქმე ის არის, რომ ლოცვების ტექსტში ისევე, როგორც პაოლინისა და ირბაქის მიერ შედგენილ ლექსიკონში, ისეთი ბერძნული სიტყვები და ფრაზებია ნახმარი ქართული სიტყვების და ფრაზების მაგიერ, რომ შეუძლებელია მათი ხმარება და ტექსტში შეტანა ქართველ ან ქართულის კარგად მცოდნე კაცს მივაწეროთ. ამას იქმონდა მხოლოდ ისეთი ბერძენი, რომელმაც ქართული საკმაოდ კარგად არ იცოდა და რომელიც, ტექსტის ქართული სიტყვა რომ დაავიწყდებოდა, მის ნაცვლად თავის სამშობლო ენითვან აღებულ სიტყვას იხმარებდა. მაგალითად, მა მ ა ო ჩ ვ ე ნ ო შ ი ნ ა ც ვ ლ ა დ ქ ა რ თ უ ლ ი ს ი ტ ყ ვ ი ს ა ვ ი თ ა რ ც ა ნ ა ხ მ ა რ ი ა ი მ ა ვ ე მ ნ ი შ ე ნ ე ლ ო ბ ი ს ბ ე რ ძ ნ უ ლ ი ს ი ტ ყ ვ ა ო ს , ხ ო ლ ო ნ ა ც ვ ლ ა დ ს ი ტ ყ ვ ი ს ა ა რ ა მ ე დ ი მ ა ვ ე მ ნ ი შ ე ნ ე ლ ო ბ ი ს ბ ე რ ძ ნ უ ლ ი ს ი ტ ყ ვ ა ა ლ ა . მ რ წ ა მ ს შ ი ნ ა ც ვ ლ ა დ ს ი ტ ყ ვ ი ს ა ჭ ე შ მ ა რ ი ტ ი ნ ა ხ მ ა რ ი ა ბ ე რ ძ ნ უ ლ ი ს ი ტ ყ ვ ა ა ლ ი თ ი ნ ი , ნ ა ც ვ ლ ა დ ს ი ტ ყ ვ ი ს ა წ ი ნ ა ს წ ა რ მ ე ტ ყ ვ ე ლ ი ბ ე რ ძ ნ უ ლ ი ს ი ტ ყ ვ ა პ რ ო ფ ი ტ ი . ა თ ს მ ც ნ ე ბ ა შ ი ნ ა ც ვ ლ ა დ ს ი ტ ყ ვ ი ს ა შ ა ფ ა თ ი ნ ა ხ მ ა რ ი ა ბ ე რ ძ ნ უ ლ ი ს ი ტ ყ ვ ა ს ა ვ ა ტ ო ნ (შ ე ც დ ო მ ი თ ს ა ვ ა ტ ო ნ) . ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს ლ ი ტ ა ნ ი ა შ ი ნ ა ც ვ ლ ა დ . თ ქ მ ი ს ა : დ ე დ ო ფ ა ლ ო ა ნ გ ე ლ ო ზ თ ა ო , პ ა ტ რ ი ა რ ქ თ ა ო , წ ი ნ ა ს წ ა რ მ ე ტ ყ ვ ე ლ თ ა ო , მ ო ც ი ქ უ ლ თ ა ო , მ ო წ ა მ ე თ ა ო , ნ ა თ ქ ვ ა მ ი ა : დ ე დ ო ფ ა ლ ო ტ ო ნ ა ნ გ ე ლ ო ნ , ტ ო ნ პ ა ტ რ ი ა რ ხ ო ნ , ტ ო ნ პ რ ო ფ ი ტ ო ნ , ტ ო ნ ა პ ო ს ტ ო ლ ო ნ , ტ ო ნ მ ა რ თ ი რ ო ნ . ნ ა ც ვ ლ ა დ ს ი ტ ყ ვ ე ბ ი ს ა წ მ ი დ ა ო ქ ა ლ წ უ ლ ო ნ ა ხ მ ა რ ი ა ბ ე რ ძ ნ უ ლ ი ს ი ტ ყ ვ ე ბ ი ა ი ე პ ა რ თ ე ნ ი . არის შემთხვევები როცა ქართული სიტყვა ბერძნული დაბოლოებით და მდევართ არის ხმარებული, მაგალ., დედოფალო ტონ აღმსარებელონ, დედოფალო ტონ ქალწულებათაონ, დედოფალო ყოველთა ცმიდათაონ, სიმრთელეო სნეულთაონ, სალტოლველო ცოდვილ-

თაონ, ნუგეშინისმცემლო გლოვართაონ, შემცე (ე. ი: შემწე) ქრისტიანეთაონ. ერთს შემთხვევაში ნახმარია სიტყვები ქალწულო პანსავედრებელო, ნაცვლად სიტყვებისა ქალწულო ყოველთა შესავედრებელო, მეორე შემთხვევაში ნაცვლად შორისდებულისა ჰოი ნახმარია შესატყვისი ბერძნული სიტყვა *α*; მაგალ., *ο αβημηλο* ცოდვათა სოფლისათაო. ასეთი ხშირი და უცნაური ხმარება ბერძნული სიტყვებისა და მთელის გამონათქვამებისა ქართული ლოცვების ტექსტში მოსალოდნელია მხოლოდ ნიკიფორე ირბაქისაგან, რომელიც, როგორც ზევეთა ვნახეთ, სწორედ ასე მოიქცა ქართულ-იტალიური ლექსიკონის შედგენის დროს, როდესაც შედგენილია ლოცვანიც. მაჯიოს რომ თვითონ გადმოეწეროს თავის გრამატიკაში დასაბეჭდად ლოცვების ტექსტი, მას არავითარი მწვევი არ ექნებოდა ქართული სიტყვები და სიტყვის ფორმები ბერძნული სიტყვებით და ფორმებით შეეცვალა. ცხადია მას ეს ტექსტი გადმოუღია 1629 წელს გამოცემულის ნიკიფორე ირბაქის დახმარებით შედგენილის ანბანითგან ლოცვებითურთ.

მაჯიოს გრამატიკა ხელმეორედ დაბეჭდილ იქნა 1670 წ.

მეოთხე ქართული წიგნი დაიბეჭდა რომში 1681 წ. ეს წიგნი ჩვენ თითონ არ გვინახავს. მას იხსენიებს მიხეილ თამარაშვილი (იხ. კათოლიკობის ისტორია საქართველოში, გვ. 255) ამ სახელით: საქრისტიანო მოძღვრება სიმვოლებით დარიგებულ კარდინალ ბელარმინოსაგან და გადმოთარგმნილი პატრი ბერნარდო მარიამისაგან ნეაპოლელისა, კაპუჩინი და მქადაგებელი და მღვთისმეტყველი, იტალიანურის ენისაგან მხედრული ქართული ენითა.

მეჩვიდმეტე საუკუნეში კათოლიკე მისიონერები ბევრი მოდიოდნენ საქართველოში. ქართლში (ტფილისსა და გორში), იმერეთში (ქუთაისში), გურიაში და სამეგრელოში იყვნენ დაბინავებულნი და ცდილობდნენ ხალხი მოექციათ კათოლიკობაზე ქადაგებით და ქველმოქმედებით, უმთავრესად წიგნის სწავლებით და მკურნალობით. სიტყვიერად რომ არ სჯერდებოდნენ ქადაგებას, საჭიროდ დაინახეს წიგნების ბეჭდვა და გავრცელება. ამიტომ შეუდგნენ დასაბეჭდი წიგნების თარგმნას და შედგენას. მაგრამ ვიდრე თარგმნას და შედგენას შეუდგებოდნენ, საჭირო იყო ქართული ენის კარგად შესწავლა. ბევრმა მისიონერმა მართლაც კარგად შეისწავლა ქართული და შეიძლო თარგმნა და წერა წიგნებისა. ერთი ასეთთაგანი ყოფილა დასახელებული წიგნის მთარგმნელი პატრი ბერნარდო მარიამი ნეაპოლელი.



პროფ. ჰუგო შუხარტს ტორრე-დელ-გრეკოში (იტალიაში), კაპუცინთა ძველს ეკლესიაში, რომელიც ეხლა გადაქცეულია ობლების თავშესაფარად, უნახავს 14 ქართული ხელთნაწერი, გადაწერილნი ბერნარდო ნეაპოლელის ხელით, ზოგი თვით მისი თხზულება ან თარგმანი, ზოგი სხვათა თხზულება. პირველთა შორის შუხარტი ასახელებს ორს ლექსიკონს (ქართულ-იტალიურს და იტალიურ-ქართულს) და თეოლოგიურ თხზულებებს, მეორეთა შორის ქართველ მეფე-დიდებულთა წერილებს პაპის მიმართ, მოთხოვნებს, რომელნიც შუხარტის აზრით უნდა ეკუთვნოდნენ სულხან-საბა ორბელიანს, ერთი პოემის ნაწყვეტს, ისტორიული წიგნის ნაწყვეტს, პოემას ბეჟანიანს და ძალიან გრძელ რომანს მეფის ბაამანიას. შუხარტი შენიშნავს: „მამა ბერნარდო დე ნაპოლს, როგორც ჩანს ლექსიკონები თვით, უფრო ღრმად სცოდნია ქართული ენა, ვინემ მის წინამორბედს მაჯიოს“<sup>1)</sup>.

იმ აზრით, რომ ერთის მხრით მიეცა საშუალება სამისიონეროდ გამზადებულთათვის უცხო ენები შეესწავლათ, მეორე მხრით უცხო ქვეყნის შეილები გამოზრდილიყვნენ და მომზადებულიყვნენ სამშობლოში კათოლიკობის საქადაგებლად და გასავრცელებლად, პაპმა ურბანოს მერვემ დააარსა რომში უცხოთა კოლეგია, სადაც დაწესებულ იქნა სამუდამოდ ორი ადგილი ქართველი მოსწავლეებისთვის. კოლეგიაში მალე გაჩნდნენ ქართველ მოწაფეები, რომელნიც სწავლის დასრულების შემდეგ შეიქნენ პაპის მიზნების გამახორციელებლები. ერთი ამათგანი იყო გორელი დავით ტლუკაშვილი, რომელიც შევიდა ხსენებულ სასწავლებელში დაახლოვებით 1723 წელს. ტლუკაშვილმა დაასრულა სასწავლებლის კურსი, ღვდლად ეკურთხა და რომში დარჩა. 1733 წ. გადმოთარგმნა საქრისტიანო მოძღვრების წიგნი და წარადგინა დასაბეჭდად. ვიდრე წიგნი დაიბეჭდებოდა, ხელთნაწერი უკვე საქართველოში გაჩენილა და მისიონერებს კიდევ გამოუყენებიათ საქმეში. ეს წიგნი დაბეჭდა სარწმუნოების გამავრცელებელმა საზოგადოებამ 1741 წ.

წიგნს აქვს შემდეგი თავწარწერა იტალიურს ენაზე: *Dottrina cristiana per uso delle Missioni della Giorgia dedicata all' Immacolata Concezione della Madre di Dio Maria sempre vergine. Tradotta della lingua italiana in lingua civile giorgiana da David Tlukaanti Giorgiano alunno dell' venerabile Collegio Urbano de Propaganda Fide. Per il commune e spirituale profitto dei Cattolici della medesima Nazione. In Roma, MDCCXLI. Nella Stamperia della Sagra Congregazione de Propaganda Fide. Con licenza de' Superiori.*

<sup>1)</sup> იხ. ვახ. „ივერია“ 1896 წ. № 90.

მეორე გვერდზე გამოხატულია მოციქულები, რომელთაც ქრისტე ეუბნება: *Euntes in universum mundum praedicate evangelium omni creaturae.*

მესამე და მეოთხე გვერდზე არის მოთავსებული ორი საცენზურო რეცენზია, რომელთაგან ერთს აწერს ხელს *Claudius a Regio Capucinus*, მეორეს *Ioannes Gigananti a Tiflis Georgianus* (გიგანანთ იოანე ტფილისიდან ქართველი) და დაბეჭდვის დასტური-ყველაფერი ეს ლათინურს ენაზე.


მესხეთე გვერდზე დაბეჭდილია შემდეგი თავწარწერა ქართულს ენაზე: საქრისტიანო მოძღუარება, გინა წურთნა შვიდთა საიდუმლოთა ზედა. გადმოთარგმანებული იტალიანის ენისაგან ქართველს მკედრულს ენასა ზედა. საქართველოს გორელი ტლუკაანთ დავითისაგან მთავრობასა კლემენტოზ მეთორმეტე ჰრომის პაპისასა. სასწავლოსა შინა უცხოთასა, რომელსა ეწოდებრს ფროფაგანდა ვიდე. სადიდებელად დედა ღთისის მარიამ ქალწულის უმანკო ჩასახვისათუის. და სასარგებლოდ ძმათა, და დათა სულიერთა სულთათვის. ქორონიკონი ქრისტესი ჩღღ. ესე იგი არს, ათას შვიდას ოცდაცამეტი. ბრძანებითა უფროსთა.

მეექვსე და მეშვიდე გვერდზე მოთავსებულია შეწირვა უმანკო ქალწული დედა ღვთისა მარიამისა მიმართ, რასაც ხელს აწერს უღირსი მღრღელი ტლუკაანთ დავით. მერვე, მეცხრე და მეათე გვერდზე მოთავსებულია წურთნა წამკითხველთათვის, სადაც ნათქვამია: „აწე ესრედ უწყოდეთ, რომე ეს საქრისტიანო მოძღუარება ფრიად მსოფლიერს ენასა ზედა აღვწერე; ამისთვის რამეთუ ენა ქართველის ხუცური თავად არვიცოდი, და თურამე ცოტა ვიცოდი, ისიცა და მკედრული ენაც დამავიწყდა. ქეშმარიტად, ასერ თითქმის ათი წელიწადი არის, რომ ქართველის ენისა და წიგნის მონატრე შევიქენ. ხოლო მისთვის ურიცხუთა ადგილთა სიტყუანი უშვენიერნი ჩაურთევ კარის წილად ხანი და სხვაცა ამისაებრ მრავალნი ლულარქნილნი“.

მეთერთმეტე და მეორმეტე გვერდზე მოქცეულია ლოცვები საქრისტიანო მოძღუარების სწავლების პირველ სათქმელი და უკან სათქმელი.

მეცამეტე გვერდიდან იწყება ვრცელი საქრისტიანო მოძღუარება, ხოლო ბოლოში 360 გვერდიდან ანბანის რიგზე დალაგებული ზანდუკი ანუ სარჩევი, რომელიც თავდება 368 გვერდზე.

წიგნის ტექსტის სიფართოეა 14 5X8,8 სანტ. შრიფტი იგივეა რაც პაოლინის ლექსიკონისა. მხოლოდ სამი ასო (ც, ჰ და ყ) შეცვლილია



minium Sacris Dogmatibus & Catholicis moribus non  
 consonum, sed abundare potius, quocumque in  
 modum condicere potest ad Fidem Catholicam ac Chri-  
 stianam pietatem. Ideoque si ita Rfno D. Sac. Palatii  
 Magistro, & aliis quibuslibet, videbitur, non tantum  
 accessituro puto, sed & obnixè precor, ut mandent, &  
 eurent dictum librum typis mandari, magnam remine-  
 rationem ab Illo obtenturi qui dixit: *Evangelium omni Creaturæ*  
*in quorum fidei præsentem paginam meæ testatio-*  
*nis, & obtestationis propria manu firmatam, ac sigillo,*  
*quo utor, munitam do. Romæ. in Conventu Capuci-*  
*torum 27. Aprilis. anno Dñi. 1740.*  
*Fr. Clausius. a Regio Capucinus qui supra Sc.*

APPROBATIO.

**E**go infrascriptus Ven. Collegii Urb. de Propagandæ  
 Fidei Alumnus, fidem facio ac testor, me tumen-  
 animi voluntate perlegisse librum, cui titulus: *Dotiri-*  
*na Crisiana per nro dellic. Missioni della Georgia: declu-*  
*ptum 2 compositum, & egregiè traditum per admo-*  
*ndum Rev. D. David Thrasanti à Goride Georgianum*  
*ejusdem Ven. Collegii Alumnum: & fateor procul ab*  
*eo esse vel quid minimum Catholicæ Fidei, bonitæ mo-*  
*ribus non consonum. Quæ de re non censurâ, sed pro-*  
*pter extremam illarum Gentium spirituales indigen-*  
*tiarumque humanitatis libris suo rationate expresse pro-*  
*fusa sunt destituta, in lucem exire quare iustissimum arbi-*  
*tror. Romæ. ex eodem Coll. die 19. Martii A. D. 1745.*  
*Joannes Giguanasi à Tiflis Georgianus.*

**I. M. P. R. I. M. A. T. U. R.,**  
 P. Fr. Aloysius Nicolaus Ridolfi, Mag. Sac.  
 Palatii Apostolici.

საქრისტოანო-მოძღვრებებს

უხან წყობის

შეიღო სწავლებლობათ ზედ.

განდომ-თარგმანებულთი

იგნატიანის ეპისკოპოს

ქართველთა მკურნალობის ეპისკოპოს

საქრისტოანო-მოძღვრებებს

მთავრობის კლერგი-მეთაურთა

ქრომის პრინციპსს.

სსწავლობის უხან წყობის,

რ-მელს ქართველთა ფრ-განგანდ ზიდ

სწავლებლობა

დედ ღობის მართმ ქალწულს

ფიზიკო-ხისახეობათის.

ქსანტოპოლო-დ

მმან, რ დბათ სწავლობათ სწავლობათს.

ქრონიკო-ნი ქრონიკო-ნი

ქე იგი ბრს, ბათს შეიღან თ-ცდასტეფი.

ბრბებობათ ფიზიკო-ნი

A 3

და ნომატებულია ასო ვ. ქალაქი კარგია. კორექტურული შეცდო-  
მები ცოტაა. ენა მსუბუქია. წიგნის მართლწერის დამახასიათებელია

საქრისტოანო-მოძღვრებებს, იტალიურითგან თარგმნილი ტლუკაანთ დაეითის მიერ.  
რომი, 1741 წ. მეოთხე და მეხუთე გვერდი. დაატარაგებულოა 3/6-ით.

ის, რომ უ-ასო ხშირად ვ-ბგერის გამოსახატავად იხმარება, ხოლო ვ-ასო ზ-ბგერის გამოსახატავად.

ამავე 1741 წ. დაიბეჭდა ერთი პატარა წიგნი, რომლის თავ-წარწერა არის: საქრისტიანო მოძღუარება, მოკლედ და-რიგებული მარტულთათვის ზეპიოდ დასასწავლებ-ლად. დაისტამბა წმიდა ჰრომის ქალაქს სასწავლოსა შინა, რომელსა ფრანგულად ჰქვიან ფროფაგანდა ვი-დე. მთავრობასა ბენედიქტე მეთოთხმეტე ჰრომის პა-პისასა. ქორონიკონი ქრისტესი 1741, ესე იგი არს ჩლმა. ბრძანებითა უფროსთა. წიგნის ტექსტის სიფართეა 12×7,5 სანტ. შრიფტი ისეთია, როგორც ამავე წელს გამოცემულის ზემოდ აწერილის წიგნისა.

არა ჩანს არც ავტორი, არც მთარგმნელი, თუ წიგნი ნათარგმ-ნია. ენის მიხედვით კი საფიქრებელია, რომ ის უნდა იყვეს დავით ტლუკაშვილის შედგენილი ან ნათარგმნი.

წიგნი დაწერილია მოძღვრისა და მოწაფის კითხვა-პასუხის ფორ-მით. თავწარწერიანი ფურცლის მეორე მხარეზე მოთავსებულია ლოც-ვა საქრისტიანო მოძღვრების სწავლების პირველ სათქმელი. შემდეგ პირველი ანუსხული გვერდიდან იწყება თვით საქრისტიანო მოძღუარება და თავდება 78 გვერდზე. 79 გვერდიდან 92 გვერ-დამდე მოთავსებულია სხვადასხვა ლოცვები.

1797 წ. დაიბეჭდა მეორე გამოცემად დავით ტლუკაშვილის ნა-თარგმნი საქრისტიანო მოძღვარება მღვდლის გრიგოლ ბალი-ნაშვილის რედაქციით. წიგნის იტალიური თავწარწერა ისეთივეა რო-გორც პირველს (1741 წლის) გამოცემაში, მხოლოდ დამატებული აქვს სიტყვები *seconda edizione* და დაბეჭდვის წელიწადად აღნიშ-ნულია MDCCXCVII. საცენზურო რეცენზიები ისევ პირველი გამო-ცემისაა დატოვებული, მხოლოდ დაბეჭდვის ორს დასტურს ხელს აწე-რენ სხვა პირები. აგრეთვე უცვლელად არის დატოვებული 1741 წლის გამოცემის ქართული თავწარწერა, მხოლოდ მთარგმნელის სახელის წინ ჩამატებულია სიტყვა *სომეხი* და წიგნის შედგენის წე-ლიწადის შემდეგ დამატებულია ფრაზა და დაიბეჭდა ქორო-ნიკონს ჩლუხ. ამას შენდევ მისდევს ყველაფერი ისე, როგორც პირველ გამოცემაში, რედაქტორის მიერ შეტანილი ცვლილებებით და დამატებებით. ბოლოში არის დართული თვით რედაქტორის მღ. ბა-ლინაშვილის უწყება და შეცდომების გასწორება, რაიცა თავდება 416 გვერდზე.

უწყებაში რედაქტორი სწერს:

„კეთილად აღმომკითხველო, ვეუწყებოდეს პირველად, რომ რაღაც პირველს დაბეჭდულსა შინა მეჩვენებოდა ან თარგმობისა ან სიტყვის ფიქრისა ნაკლებულობა, ამასა შინა შევასრულე.

„მეორედ რომ შენდობასა ზედა მისივე რაჟობისა შესატყობად სწავლებამა განვაკრძალე და ზოგნი შენდობანი ლათინურიდგან ქართულად გადმოღებით მოუმატე.

„მესამედ რომ თუგინდ დიად უფროთხი მეტნაკლებობასა და შეცუვლსა ასოებისა, მაგრამ რადგან მე თვალთ მაკლდა და დამწყობს ასოებისა ჩვენი არც ენა, არც წიგნი იცოდა, მრავალნი ვპოვე ამრიგი შეცილებანი, რომელთ უძნელესნი ამას ქუცმოდ ვასწორებ და უადვილესნი, გეხვეწები შენ გაასწორო, მე შემინდო და ჩემთვის ილოცო, რომელი ვარ შენი პატიოსნობისა უმცირესი მონა გრიგოლ ბალინანთი ახალციხელი სომეხი მღვდელი, წმიდისა პაპისა მოთარგმნე და კრებისა ფროფაგანდისა სასწავლოსა შინა მსწავლებელი სომეხურს და ქართულს ენათა, და სომეხთ მონასტრისა წმიდისა მარიამის ეგვიპტელის უფროსი, წმიდას დედა ქალაქსა რომისა, ოცს გასულს ოქტემბრის წლის უფლის ჩყ 1800“.

როგორც ჩანს, წიგნის ბეჭდვა დაწყებულია 1797 წ., როგორც წიგნის თავწარწერაშია აღნიშნული, მაგრამ ბეჭდვა რასღაც შეუფერხებია და გათავებულია 1800 წ., როგორც ეს აღნიშნულია ბალინანთის უწყებაში. ამის გამო წიგნის ზოგიერთს ცალებში ჩვენ გვხვდება პირვანდელი იტალიური თავწარწერა ამოკრილი და მის მაგიერ ჩაწებებული ახლად დაბეჭდილი თავწარწერა, რომელშიც დაბეჭდვის წელიწადად აღნიშნულია MDCCC (1800).

წიგნის ტექსტის სიფართო და შრიფტი ისეთივეა, როგორც პირველის გამოცემისა. მხოლოდ რამდენიმე ასო შეცვლილია, სახელდობრ პ, შ, ვ.

მღ. გრიგოლ ბალინანთი რა მცოდნეც ყოფილა ქართული ენისა, ჩანს მის უწყებითგან, რომელშიც ბლომად მოიპოვება შეუწყნარებელი შეცდომები. მისგან წიგნში შეტანილ ცვლილებათაგან ენის გაფუჭების გარდა საინტერესოა ერთი პატარა ცვლილება. ტლუკაშვილი პირველი გამოცემის თავწარწერაში თავის ვინაობას ასე გვაცნობს: საქართველოს გორელი ტლუკაანთ დავით. ხოლო იტალიურს თავწარწერაში: David Tlukaanti Giorgiano, რაიცა ნიშნავს ტლუკაანთ დავითი ქართველი. ბალინანთ გრიგოლმა კი წიგნის მეორე გამოცემაში, ნახევარ-საუკუნის შემდეგ, მისი ვინაობა ასე გადააკეთა: საქართველოს გორელი ტლუკაანთ სომეხი დავით. იტალიურს თავწარწერაში ასეთი ცვლილება არ შეუტანია. ტლუკაანთ დავითი ისევ ქართველად (Giorgiano) არის მოხსენებული.

## II

## რუსეთში დაბეჭდილი წიგნები

რომში ქართული საბეჭდავის გამართვის და ქართული წიგნების დაბეჭდვის შემდეგ, უეჭველია, ქართველებში უნდა დაბადებულყო აზრი თვით საქართველოშიაც გაეშართათ სტამბა და ებეჭდათ წიგნები. მაგრამ პოლიტიკურმა პირობებმა ხელი არ შეუწყეს ამ ფრიად მნიშვნელოვანის საქმის განხორციელებას, თუმცა ყოფილა ცდა წიგნების ბეჭდვისა და კიდევ უბეჭდიათ პატარ-პატარა წიგნაკები თუ ფურცლები სულ უბრალო საბეჭდავებზე. ამას გვაფიქრებინებს არჩილ მეფის 1703 წ. მინაწერი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს გოლოვინთან, სადაც, პლოენის მოწმობით, ნათქვამია, რომ საქართველოში წიგნების ბეჭდვა ძალიან ნაკლებია ასოების დამკოდნე კაცების ნაკლებობის გამოვო <sup>1)</sup>.

რომში დაბეჭდილს წიგნებს მიემატა რუმინეთში (ვლახეთში) დაბეჭდილი წიგნი, რომლის შესახები ცნობა ალ. ხახანაშვილს ამოუღია ვენის გერმანული ჟურნალითგან: Zeitschrift für die Kunde des Morgenlands, B. XI, Heft. 4. M. Gaster's წერილი, გვ. 383). აი ეს ცნობა, დაბეჭდილი ხახანაშვილის მიერ 1898 წლის „ივერიის“ № 63-ში:

„მეჩვიდმეტე საუკუნეში ვალახიაში (ვლახეთში) სცხოვრობდა ფრიად ცნობილი ქართველი სასულიერო წოდების კაცი ანთიმო, რომელსაც ადგილობრივ მწერლობაში უწოდებდნენ Antim Ivireanel, ე. ი. ანთიმოზ ივერიელი. 1705 წ. იგი ეკურთხა რამნიკის მღვდელმთავრად და 1709 წ. დაინიშნა თავადის კონსტანტინე ბასსარაბ ბრანკოვანის მიერ ვლახეთის ეპისკოპოზად. გარდაიცვალა იგი მოულოდნელად: დაირჩო თუ დაარჩეს მდინარე მორიციში <sup>2)</sup>, როდესაც იგი ამ მდინარეს გადიოდა თვისის სინაიის მთაზედ განდევნის შემდეგ. ამ ანთიმს საფუძვლიანად სცოდნია რუმინული, ბერძნული, სლავიანური, არაბული და, რა თქმა უნდა, ქართული ენა. იმან დააარსა სტამბა რამნიკში, შემდეგ ტარგოვისტში და სვეაგოვში ბუხარესტის ახლოს. ამ სტამბებში აღბეჭდა მან მრავალი წიგნი ზემოხსენებულ

<sup>1)</sup> აი პლოენის სიტყვები: В другом письме, Арчил просил Головина о исходатайствовании у Государя повеления напечатать в типографии несколько церковных книг на грузинском языке для всеобщего употребления в его отечестве. В Грузии же печатание ограничено по недостатку литер и людей (об. Переписка груз. царей с росс. государями, стр. LXXV).

<sup>2)</sup> აღბად იალომიცაში.

ენებზე. თვით საუცხოვო მხატვარი ყოფილა: თავისის ხელით გამოუჭრია ახალი ასოები, ინიციალები და ორნამენტები. მისი სახელი და მოღვაწეობა იმდენად განითქვა, რომ ბუხარესტი გახდა აღმოსავლეთისთვის დედა-ბოძად. ათანასე ანტიოქიის პატრიარქის სურვილით მან აღბეჭდა 1701 წ. სნეაგოვში ბერძნულ-არაბულად საეკლესიო კონდაკი. ამ წიგნის სათაურში თავის თავს იხსენიებს ქართველად. ანთიმის მიერ ჩამოსხმული ასოები თავადმა ბრანკოვანმა გაუგზავნა პატრიარქს ალექპოში და ეს ასოები გახდა საფუძვლად საქრისტიანო სტამბისა აღმოსავლეთის მხარეს. ამ ანთიმმა ამოსჭრა და ჩამოასხა ქართული საეკლესიო ასოები, რომლითაც აღბეჭდა ქართული კონდაკი და გაჰგზავნა სამშობლოში“.

თქმა არ უნდა, ვლახეთში დაბეჭდილი ქართული წიგნის ნახვა ქართველებს უფრო მეტად აუძრავდა სტანბის დაარსების სურვილს. სამწუხაროა, რომ ეს წიგნი დღეს არსად მოიპოვება და არც მის აღწერილობა დაუტოვებია ვისმე.

არჩილ, იმერეთის მეფე, პოეტი და მწიგნობრობის დიდი მოტრფეალე, იყო ერთი იმ პირთაგანი, რომელნიც მონდომებულნი იყვნენ ქართული სტამბის გამართვას. მაგრამ მისმა წამდაუწუმ სამეფო ტახტზე ასვლამ და წამდაუწუმვე ტახტიდან ჩაპოვებამ ხელი არ შეუწყო მას თავის გულითადი სურვილი გაეხორციელებინა. მხოლოდ როდესაც სრულებით თავი დაანება სამეფო ტახტს და საქართველო-თან რუსეთს გადასახლდა (1700 წ.), პოლიტიკურს დავიდარაბას მოშორებული, შეუდგა თავის დიდის ხნის სურვილის განხორციელებას მოსკოვში. აქ მან გააკეთებინა ხუცური ასოები, გამოითხოვა რუსეთის მთავრობისაგან ნებართვა და 1705 წელს სახელმწიფო სტამბაში დააბეჭდვინა დავითნი.

ამ წიგნის ერთი ცალი, სამწუხაროდ, ნაკულოვანი, მოიპოვება ყოფ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავში. თავში აკლია თორმეტი ფურცელი, ბოლოში კი 184 ფურცლის მიმყოლი ფურცლები. სიფართით წიგნის ტექსტი არის 13,8×8 სანტ. ანუსხულია ფურცლობით სლავურის ასოებით და ოვეულობით ჯერ მარტო ხუცური ასოებით. მეოთხე ფურცლითგან კი სლავურის და ხუცურის ასოებით. შრიფტი საშუალო ზომის ნუსხა ხუცურია. ნახმარია შავი და წითელი საღებავი. ასოები უშნოებია საზოგადოდ. ზოგიერთი ასოები თავის ფორმით შესამჩნევად განსხვავდებიან შემდეგ მოსკოვში და ტფილისში დამყარებულის ასოებისგან. მაგალ., ლ წარმოადგენს ოთხს ზევითგან ერთის ხაზით ვად-ბმულს დაშვებულს პატარა ხაზს, რომელთაგან ორი უკანასკნელი ქვეითგა-

21  
 22  
 23  
 24  
 25  
 26  
 27  
 28  
 29  
 30  
 31  
 32  
 33  
 34  
 35  
 36  
 37  
 38  
 39  
 40  
 41  
 42  
 43  
 44  
 45  
 46  
 47  
 48  
 49  
 50  
 51  
 52  
 53  
 54  
 55  
 56  
 57  
 58  
 59  
 60  
 61  
 62  
 63  
 64  
 65  
 66  
 67  
 68  
 69  
 70  
 71  
 72  
 73  
 74  
 75  
 76  
 77  
 78  
 79  
 80  
 81  
 82  
 83  
 84  
 85  
 86  
 87  
 88  
 89  
 90  
 91  
 92  
 93  
 94  
 95  
 96  
 97  
 98  
 99  
 100

დავითნი აზიოლ მეფის განთცემა, მოსკოვი, 1705 წ. დაბატონებულთა 1/5-ით.



ნაც არის გადაბმული ხაზით; ვ-ს აქვს ორი თანაბარი კბილი ნაცვლად ერთისა; უ ორკბილიანია და არა სამკბილიანი; ჳ-ს ნახევრად წამოწოლილი მდგომარეობა. აქვს; ჴ-ს წინითგან ორი კბილი აქვს ერთის ნაცვლად.

ამ წიგნის მეორე ცალი, უფრო კარგად შენახული, დაცულია მოსკოვში სინოდის სტამბის ბიბლიოთეკაში. ხახანაშვილის თქმით <sup>1)</sup>, წიგნს პირველს გვერდზე ჰქონია თავწარწერა რუსულს ენაზედ, ხოლო მეორე გვერდზე ქართულს ენაზედ. რუსულად: Во славу святыя троицы, повелением благочестивейшаго великаго государя нашего царя и великаго князя Петра Алексеевича всея Великия и Малыя и Белыя России самодержца, и благороднейшем государе нашем царевиче и великом князе Алексии Петровиче, благословением же преосвященных архиереев между патриаршеством напечатана сия боговдохновенная книга псалтырь имеретинским диалектом и письмены въ царственной московской типографии, в лето от сотворения мира ЗСГІ от рождества же по шмоти Бога Слова ж҃ѣ (=1705) индикта ПІ месяца марта“. ქართულად: „სადიდებელად წმიდისა და ერთარსისა, ცხოველსმყოფელისა და განუყოფელისა სამებისა.... შეფობასა დიდისა ბატონისა მეფისა და დიდისა მთავრისა ყოვლისა დიდისა, ცოტასი და თეთრისა რუსეთისა თვითმპყრობელისა და კეთილშობილის პეტრე ალექსის შვილისა და მეფის შვილისა დიდის მთავრის ალექსი პეტრეს შვილისა ჩემ მიერ მეფისა არჩილისა და ძისა ჩემისა ალექსანდრისა დაიბეჭდა წიგნი ესე დავითი სამეფოს ქალაქსა მოსკოვს, წელთა დასაბამიდან შვიდიათას ორას იგ და განხორციელებიდან ღვთის სიტყვის ათას შვიდას ე (=1705 წ.), ინდიკტიონს იგ თთვესა მარტსა ით“.

ცხადია, რუსულს ენაზედ თავწარწერა გაუკეთებია რუსს, რომელიც წიგნის ენას უწოდებს იმერულს. რაკი სკოდნია, რომ წიგნი დაწერილი იყო მის გამომცემელის იმერეთის მეფის არჩილის ენაზე, მასაც უფიქრია, რომ ეს ენაც იმერული ენა იქნებოდა.

არჩილს განძრახვა ჰქონდა მთელი დაბადება დაებეჭდა და ამიტომ შეუდგა ამ წიგნის დამზადებას გამოსაცემად. სამუშაო ძალიან დიდი იყო. მას დასჭირდა ჯერ ერთი ქართული ტექსტის სლავურს ტექსტთან შედარება და მის მიხედვით მისი გასწორება. მეორეც,

<sup>1)</sup> იხ. „მოამბე“ 1900 წ. № 3. აღ. ხახანაშვილი. ძველად აღბეჭდილნი წიგნნი სინოდალურს სტამბაში, გვ. 20 და 21; А. Хаханов. Очерки по ист. груз. слов. в. III, стр. 367.

მან ვერ იშოვა ქართული დაბადების ზოგიერთი ნაწილი და ამიტომ ეს ნაწილები სლავურის ენითგან გადმოთარგმნა. ამასთან ამხადებდა სტამბას და უფრო შნოიანს შრიფტს. ამასობაში დრო გადიოდა. მალე ტფილისში ვახტანგმაც დააარსა სტამბა და დაიწყო წიგნების ბეჭდვა, რამაც, შექველია, ცოტაოდნად შეანელა მისი გულმხურვალება. ბოლოს სიკვდილმაც მოუსწრო და ისე გადაიცვალა (1713 წ.), რომ თავის სურვილის განხორციელებას ვერ მოესწრო.

არჩილის ხელთნაწერები, შრიფტი და სტამბის იარაღი დარჩა მის ქალს დარეჯანს, რომელიც მოსკოვში ცხოვრობდა. მეოცდაათე წლებამდე არჩილის დატოვებული სტამბის მოწყობილობა ხელუხლებელი დარჩა, ვიდრე არ გაჩნდნენ მოსკოვში საქართველოთგან გადმოხვეწილი სტამბის საქმის მცოდნე პირები, როგორც, მაგალითად, მღვდელ-მონაზონი ქრისტეფორე გურამიშვილი და არქიმანდრიტი გერმანე. ესენი დაუახლოვდნენ დარეჯანს და ჩააგონეს, რომ მის მამის დანატოვარს სტამბაში წიგნები დაებეჭდვინებინა.


ამ სტამბაში დაბეჭდილი ერთი წიგნი მოიპოვება ყოფ. წერაკითხვის საზოგადოების წიგნთსაცავში, სახელად პირველი სასწავლო ყრმათათვის, რომელსაც თავში აკლია ერთი ანუსხული ფურცელი და, შეიძლება, აუნუსხავი ფურცლებიც აკლდეს. სწორედ ამ დაკლებულს ფურცელზედ თუ ფურცლებზედ იქნებოდა წიგნის სათაური და დრო მის დაბეჭდვისა. სამაგიეროდ შენახულია წიგნის ბოლო, სადაც დაბეჭდილია შემდეგი უწყება:

„პირველი ესე სასწავლო ყრმათათვის რუსულისაგან. ქართულად გადმოითარგმნა ბატონიშვილის დარეჯანას მოლარეთხუცის ჩხეიძის გაბრიელისაგან და ქართულს ენაზე გასწორდა არქიმანდრიტის გერმანესაგან და დაიბეჭდა სამეუფოსა ქალაქსა მოსკოვს მის დიდებულის ბატონიშვილის დარეჯანას სასახლეში მის და მის პალატის ყრმათა შეწევნითა და კელისმომართვითა.

„სტამბისა და ბეჭდვის ზედამდგომი მდაბალი თქვენი მოსამსახურე მღვდელ-მონაზონი ქრისტეფორე ყოველთა გვევღრები, კეთილად მკითხველნო და მხრეკელნო, თუ რაჲმე ჩემი დაშავებული რაჲმე ჰპოოთ ამ წიგნში, შეცოდებისთვის შენდობს ვითხოვ. რომელი ძალმედვა, სიმართლეს ვცდილობდი“.

წიგნის სიფართე არის  $11,2 \times 7$  სანტ. შეიცავს 84 ფურცელს. შრიფტი საშუალო ნუსხა ხუცურია, სრულებით მსგავსი დამყარებულის შრიფტისა. ანუსხულია ფურცლობით ქართული ასოებით და რვეულობით არაბულის ციფრებით.

არა ჩანს როდის არის დაბეჭდილი, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ 1732 წელზე ადრე და 1737 წელზე გვიან არ უნდა იყვეს და-



წ ა გ ლ ა ყ რ მ თ ა თ გ ი ს , მ ო ს კ ო ე , 1732—1737 წ . და ბ ა ტ ო რ ა ე ბ ე უ ლ ი ა 2/1-ი თ .

ბექდილი. ეს იმიტომ რომ ქრისტეფორე გურამიშვილი, რომელიც იყო სტამბისა და ბექდვის ზედამდგომი, მივიდა მოსკოვს 1732 წელს, ხოლო 1737 წელს მან მუშაობა დაიწყო იოსებ სამებელის მიერ გამართულს სტამბაში.

დარეჯანის სტამბაში დაბექდილი სხვა წიგნი ჩვენ არ შეგვხვედრია. შესაძლებელია, ანბანი, შედგენილი იოსებ სამებლისაგან, რომლის მესამე გამოცემას ტფილისში დაბექდილად იხსენიებს გ. შანშიევი, 1736 წელს, იყვეს დაბექდილი ტფილისში კი არა, არამედ მოსკოვში დარეჯანის სტამბაში, რადგან ტფილისში მაშინ სტამბა არ მუშაობდა.

როგორცა ვსთქვით, 1737 წელს მოსკოვში დაარსდა ახალი სტამბა, სადაც გაჩაღდა წიგნების ბექდვა. ამ სტამბის დამაარსებელი იყო მთავარეპისკოპოზი იოსებ სამებელი <sup>1)</sup>.

იოსებ სამებელი იყო კახეთის მეფის მდივან-მწიგნობრის თამაზ ქობულიშვილის შვილი. მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლოს ბერად შემდგარმა მიაწია მთავარეპისკოპოზის ხარისხამდე. ჯუკანასკნელად ის იყო წილკნის მთავარეპისკოპოზად <sup>2)</sup>. როდესაც მტერმა ააოხრა

<sup>1)</sup> იოსებ სამებელის შესახებ მონოგრაფია აქვს დაწერილი თედო ჟორდანიას, სახელად: მთავარ-ეპისკოპოზი იოსებ სამებელი და ქართულის სტამბის საქმე მე-XVIII საუკუნეში. ამ შრომითგან მოგვეყვას იოსებ სამებელის შესახებ ბიოგრაფიული ცნობები (იხ. „ივერია“ 1884 წ. № № 2 და 3).

<sup>2)</sup> თ. ჟორდანია სწერს: „იოსები ეკურთხა სამებელის კათედრაზე საქართველოში, მაგრამ თვით იოსების კურთხევის დროის შესახებ წინაუქმო ცნობები გვაქვს. მეფე ვახტანგ თავის წერილ ჩვენებაში, რომელიც მან მისცა სინოდს 21 დეკემბერს 1732 წ., ამბობს, რომ იოსებ ეკურთხა საქართველოში ოცის წლის წინათაო, ე. ი. 1712 წ. ე. ი. მაშინ როდესაც იგი მეფობდა საქართველოში. მაგრამ მეორე შემდეგ ჩვენებაში (აპრილს 1733 წ.) იგივე ვახტანგ აცნობებს სინოდს, რომ იოსებ ეკურთხა 1705 წ. პატრიარქის დომენტის მიერ. მესამე ცნობით იოსებ იქმნა მთავარ ეპისკოპოზად სამებელისა 1709 წ. იმავე დომენტის მიერ. ჩვენის აზრით ეს ცნობები ისე ურთიერთის წინააღმდეგნი არ არიან, როგორც პირველ შეხედვით კაცს ეგონება. იოსები ალბად ეკურთხა ეპისკოპოზად დომენტისაგან 1705 წ. და 1709 წ. მიიღო სამებელის ეპარქია. პირველი ჩვენება ვახტანგისა დამყარებული მხოლოდ მის მენსიერებაზე, არ არის ისე დასაჯერებელი“ („ივერია“ 1884 წ. № 2, 33-34 გვ.).

რომ ვახტანგის ჩვენებაში იოსებ ქობულიშვილის კურთხევის და სამებელად გამწესების წლების შესახებ არამც თუ წინააღმდეგობაა, არამედ ქრონოლოგიური შეცდომაა, ჩანს შემდეგიოთგან: უნივ. სიძველეთა საცავის ერთს ხელთნაწერს (№ 218) 63 ფურცელზე აქვს ასეთი მინაწერი: „თა ივლისა დღესა პარასკევსა მიცვალა ყველის კეთილით შემკული გარგი ძე კაჩი მდივნისა, ძმა სამებლისა. ქანი იყო

მისი ეპარქია, მან განიზრახა რუსეთს წასვლა და კიდევ გაემგზავრა 1731 წელს. გზაში მთიელებმა შეიპყრეს როგორც ის, ისე მისი თანამგზავრები და ტყვედ დაიჭირეს. რუსეთში მყოფი ქართველების თხოვნით რუსის მთავრობამ იხმარა შესაფერი ზომები და გაათავისუფლებინა ტყვეობითგან იოსებ სამებელი და მისი თანამგზავრები, რომლებიც მივიდნენ მოსკოვს 1732 წელს. რუსის მთავრობამ იოსებ სამებელს დაუნიშნა ჯამაგირი, როგორსაც იგი უნიშნავდა ხოლმე საზოგადოდ საქართველოთგან გადასულს სასულიერო პირებს, ხოლო 1733 წ. გაიწვია პეტერბურგს და გააწესა ნევის ლავრაში. 1734 წელს კი დანიშნა ნოვგოროდის მიტროპოლიტის თანაშემწედ, ხოლო საცხოვრებლად მიუჩინეს წმ. გიორგის (იურის) მონასტერი, რომლის წინამძღვრადაც აგრეთვე ის იყო დანიშნული.

იოსებ სამებელი დიდად მონდომებული იყო ქართული წიგნების ბეჭდვა მოეწყო მოსკოვში, მით უფრო რომ ვახტანგის შემდეგ ტფილისში სტამბის მუშაობა შეწყდა. ასეთივე სურვილი ჰქონდა ბაქარ მეფესაც, მაგრამ, ეტყობა, სტამბის დაარსებას და წიგნების ბეჭდვას თანხის უქონლობა აბრკოლებდა. დარეჯანის სტამბა პატარა იყო და სრულებით არ კმაროდა მათ სურვილის განხორციელებისათვის. იოსებ სამებელმა სამი-ოთხი წლის გამავლობაში სამსახურში ყოფნის დროს მოაგროვა საკმაო თანხა და გადაწყვიტა სტამბის დაარსება და წიგნების ბეჭდვის დაწყება მოსკოვში. ამ საქმის შესრულება მიანდო თავის კარგს ნაცნობს და სანდო პირს მღვდელ-მონაზონს ქრისტეფორე გურამიშვილს. ამანაც იოსებ სამებელის ხარჯით შეიძინა დარეჯანის სტამბა, შეავსო იგი მით, რაც აკლდა და 1737 წელს გამართა კარგად მოწყობილი სტამბა. სტამბის ზედამდე-

ტბდ“. კახთ მდიენად ამ დროს იყო თამაზ ქობულიშვილი, მამა იოსებ სამებელისა. წარწერაში მოხსენებული სამებელი ცხადია არის იოსებ სამებელი, რომელიც ძმის გურგის სიკედილის წელს, სახელდობრ 1696 წელს (ქკს ტბდ), ყოფილა სამებლად ვახტანგისგან ნაჩვენებს წლებზე ადრე.

ქარაგმის ქვეშ მყოფი სამებლის ძმის სახელი გურგი, შესაძლებელი იყო წაგვეკითხა როგორც გიორგი, თუმცა ჩვეულებრივ ეს სახელი იწერება ქარაგმით გი, მაგრამ, რადგან სანებლის ერთს ძმას, როგორც ვიცით (იხ. თ. ჟორდანიას). მთავარ-ეპისკოპოზი იოსებ სამებელი და სხვა), გურგენი რქმევია, შეიძლება აქ ქარაგმის ქვეშ იგულისხმებოდეს გურგენი.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ განსვ. თ. ჟორდანიას ჩვენგან მოყვანილი ხელთნაწერის წარწერა წაკითხული და დაბეჭდილი აქვს შეცდომით ანაირად: „თვესა ივლისსა სამსა დღესა პარასკევსა მიიცვალა ყელის ტკივილით შეკრული გურგი ძე კაც მდიენისა, ძმა სამებელისა. ქკნი იყო ტბდ“ (იხ. Описание рукописей Тифл. Церк. музея, составл. Θ. Д. Жордания. Кн. I. Тифлис, 1903. Стр. 239).

გად თვით ქრისტეფორე გურამიშვილი იქნა დანიშნული. იოსებ სამებელს უნდოდა მოსკოვს გადმოსვლა, რომ ხელმძღვანელობა გაეწია წიგნების ბეჭდვისათვის, მაგრამ სინოდმა არ გაათავისუფლა იმ მიზეზით, რომ ნოვეგოროდის კათედრაზე თეოფანე პროკოპოვიჩის სიკვდილის შემდეგ მიტროპოლიტად ჯერ არავინ იყო დანიშნული და მის თანამდებობას ის ასრულებდა.

იოსებ სამებელის სტამბაში დაიბეჭდა შემდეგი წიგნები:

1737 წ. დ ა ვ ი თ ნ ი. ეს წიგნი ჩვენ არ გვინახავს და არც ცნობა გვაქვს, თუ სადმე მოიპოვება, მაგრამ არის უტყუარი მოწმობა მის დაბეჭდვისა. 1741 წელს დაბეჭდილის მ ა რ ხ ვ ე ნ ი ს ბოლოში დართულს უწყებაში ქრისტეფორე გურამიშვილი მოგვითხრობს, რომ სამებელის მიერ გამართულს სტამბაში დაიბეჭდა დ ა ვ ი თ ნ ი, ზ ა დ ი კ ი და ს ა ხ ა რ ე ბ ა ო. ჩვენ ვიცით, რომ ს ა ხ ა რ ე ბ ა დაიბეჭდა 1739 წ., ზ ა დ ი კ ი 1738 წ., ამიტომ ვფიქრობთ, რომ დ ა ვ ი თ ნ ი უნდა დაბეჭდილიყო 1737 წ.

1738 წ. ზ ა დ ი კ ი. ტექსტის სიფართე არის  $15,4 \times 10,3$  სანტ. შეიცავს 2 აუნ. + 857 (შეცდ. 876) ან. გვერდს. შრიფტი საშუალო ზომის ნუსხა ხუცურია. ანუსხულია გვერდობით და რვეულობით არაბულის ციფრებით. რვეულში 8 გვერდია. ნახმარია შავი და წითელი საღებავი.

1739 წ. ს ა ხ ა რ ე ბ ა. ტექსტის სიფართე არის  $13,9 \times 11,5$  სანტ. შეიცავს 4 აუნ. + 648 (შეცდ. 646) ან. გვერდს. შრიფტი საშუალო ზომის ნუსხა ხუცურია. ანუსხულია გვერდობით ქართული ასოებით და რვეულობით ქართული ასოებით (რვეულის პირველ გვერდზე) და არაბული ციფრებით (რვეულის უკანასკნელ გვერდზე). რვეულში 8 გვერდია. ნახმარია შავი და წითელი საღებავი.

ამავე 1739 წ. ტ ე ს ტ ა მ ე ნ ტ ი ვასილი ბერძენთა მეფისა, რუსულისაგან ქართულად თარგმნილი მეფის ძის ალექსანდრესაგან<sup>1)</sup>. ტექსტის სიფართე არის  $11,5 \times 6,8$  სანტ. შეიცავს 4 აუნ. + 48 ან. + 5 აუნ. ფურცელს. ბოლოში ჩვენ ხელთ მყოფ ცალს აკლია. შრიფტი

1) პროფ. კორნ. კეკელიძეს თავის „ქართული ლიტერატურის ისტორიაში“ ამ გამოცემის წინასიტყვაობითგან მოჰყავს სხვათა შორის შემდეგი ადგილი: „გაკეთდა საბეჭდავი ესე და დაიბეჭდა წიგნი ესე ტესტამენტი, რუსულისაგან ქართულად თარგმნილი მისი სიმაღლის კეთილ-მორწმუნის მეფის ბაქარის ძის ალექსანდრესაგან, კულთხეულმცა არს ხსენება მისი უკუნითი უკუნისამდე. დასაბამითგან ვიდრე აქამომდე კ ს მ ზ, ქრისტეს აქეთ ჩ ღ ლ თ, ქორონიკონსა უკვ თვესა დეკენბერსა ი ზ“. ამ ამონაწერის შემდეგ პროფ. კეკელიძე ამბობს: „მაშასადამე ირკვევა, რომ ტესტამენტი უთარგმნია ალექსანდრე ბაქარის ძეს და დაუბეჭდია იოსებ სამებელს



1741 წ. ტრიოდის ანუ მარხვანი. ტექსტის სიფართოე (ორ-ორი სვეტისა გვერდზე) არის  $26,1 \times 14,5$  სანტ. შეიცავს 1 აუნ. +388 (შეცდ. 372) ფურც. შრიფტი საშუალო ნუსხა ხუცურია. ანუსხულია ფურცლობით ქართული ასოებით და თაბახობით არაბული ციფრებით. თითო თაბახი შედგება ორი ფურცლისაგან. ერთ თაბახში მეორე თაბახია ჩადებული და ციფრები აზის თვითეული თაბახის პირველ ფურცელს. ნახმარია შავი და წითელი საღებავი.

1743 წ. დაბადება ანუ ბიბლია. ტექსტის სიფართოე არის  $33 \times 23$  სანტ. შეიცავს 16 აუნ. +1088 (შეცდ. 1093) ან. + 8 აუნ. გვერდს. შრიფტი საშუალო ნუსხა ხუცურია. ანუსხულია გვერდობით ქართული ასოებით და თაბახობით ქართული ასოებით და არაბული ციფრებით. თაბახს აქვს ორი ფურცელი. ერთი თაბახი მეორე თა-

მენტში, რომ ეს წიგნი თარგმნილია ალექსანდრე ბაქარის ძის მიერ. იგი ამტკიცებს, რომ შეუძლებელია ალექსანდრე ბაქარის ძე ყოფილიყვეს წიგნის მთარგმნელი, რადგან ჯერ ერთი ალექსანდრე ბაქარის ძე 1739 წ. ისე პატარა იყო, რომ არ შეეძლო წიგნის თარგმნაო, მეორეც ის, რომ წიგნში ალექსანდრე ბაქარის ძე ისეა მოხსენებული თითქო ის მკვდარი ყოფილიყვესო. ამ საბუთების ძალით პროფ. კეკელიძე აკეთებს შემდეგს დასკვნას: „უნდა ვიფიქროთ, რომ დაბეჭდილს გამოცემაში თხზულების მთარგმნელად შეცდომით აღნიშნულია ალექსანდრე ბაქარის ძე ალექსანდრე არჩილის ძის მაგიერ“ (იქვე გვ. 299-300).

როგორც კრიტიკა ისე დასკვნა ამ შემთხვევაში სწორია. მაგრამ საქმე ის არის, რომ დაბეჭდილ წიგნში სრულებითაც არ არის ნათქვამი, ვითომ წიგნი ეთარგმნოს ბატონიშვილს ალექსანდრე ბაქარის ძეს. ამონაწერში თვითონ პროფ. კეკელიძეს როგორღაც ჩაუმატებია სიტყვა ბაქარის. აი წიგნში როგორ სწერია: „გაკეთდა საბეჭდავი ესე და დაიბეჭდა წიგნი ესე ტესტამენტი, რუსულისაგან ქართულად თარგმნილი მისი სიმაღლის კეთილმორწმუნის მეფის ძის ალექსანდრესგან. კურთხეულმცა არს ხსენება მისი უკუნისამდე.“ როგორც ხედავთ, აქ არ არის ნახსენები სიტყვა ბაქარის.

ასეთივე შეცდომა ჩვენც მოგვივიდა წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების წიკნთსაცავის კატალოგში, სადაც ბასილიოს ბერძენთა მეფის ტესტამენტის მთარგმნელად მოხსენებული გვყავს სრულიად უსაბუთოთ ალექსანდრე ბაქარმეფის ძე. საკმარისი იყო ყურადღების მიქცევა სიტყვებისთვის: „კურთხეულმცა არს ხსენება მისი უკუნისამდე“, იმის მისახვედრად თუ რომელი ალექსანდრე იგულისხმება მთარგმნელად: ალექსანდრე არჩილის ძე, უკვე მკვდარი წიგნის დაბეჭდვის წელს, თუ ალექსანდრე ბაქარის ძე, ამ წელს ცოცხალი და ჯერ კიდევ ნორჩი ყმაწვილი.

ჩვენგან მოყვანილს პროფ. კეკელიძის სიტყვებში არის კიდევ ერთი შეცდომა, ვითომ ტესტამენტი იოსებ სამებელს ნოვგოროდში დაებეჭდოს. იოსებ სამებელმა დააარსა სტამბა მხოლოდ მოსკოვში, ნოვგოროდში კი არც. მას და არც სხვას ვისმე ქართული სტამბა არ დაუარსებია.



ბახშია ჩადებული და მათი ამნუსხავი ასოები და ციფრები აღნიშნულნი არიან თაბახის პირველს ფურცელზე.

მართალია, დაბადება დაიბეჭდა იოსებ სამებელის სტამბაში, მაგრამ ეს სტამბა მის დასაბეჭდად დროებით გადატანილ იქნა ბაქარის ბინაზე დაბა ვსესვიატსკში ანუ, როგორც თვით წიგნშია მოხსენებული, დაბასა სესვენწკისასა, მოსკოვის ახლოს. ექვს გარეშეა, რომ წიგნის ბეჭდვა დაწყებულია 1742 წ. მაინც, თუ უფრო ადრე არა, რადგან იმსიდიდე წიგნის დაბეჭდვა მაშინდელს პირობებში ერთს წელიწადს ვერ მოხერხდებოდა (წიგნის ბეჭდვა გათავებულა 1 მაისს 1743 წ.). ვსესვიატსკში გადატანილ იქნა დაბადების ბეჭდვა, რადგან მის გამოცემაში მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ ბაქარ მეფე და ვახუშტი ბატონიშვილი, რომლებიც ამ დაბაში ცხოვრობდნენ. აგრეთვე დიდს მონაწილეობას ღებულობდა ამ საქმეში იოსებ სამებელი, რომელმაც 1740 წ. ითხოვა სინოდისაგან გაეთავისუფლებინათ სამსახურისგან ნოვგოროდში და გადაეყვანათ მოსკოვს. სინოდმა შეიწყნარა მისი თხოვნა, რომელსაც ბაქარიც მხარს უჭერდა თავის შუამდგომლობით, და გადმოყვანილ იქნა მოსკოვს ზნამენსკის მონასტრის წინამძღვრად. გამოცემის ხარჯი მთლად ბაქარ მეფეს ჰქონდა ნაკისრი. მისი კარის მდივანმწიგნობარი მელქისედეკ კავკასიძე სტამბის ზედამხედველობას და მეურნეობას ეწეოდა. ამწყობებდად იყვნენ უცნობი პირნი, ხოლო ანაწყობის გამმართველებად მღვდელმონაზონი ქრისტეფორე გურამიშვილი და მისი თანამემწენი ბაქარის კარის მღვდლები ფილიპე და დავითი.

თავში, 1 აუნ. გვერდზე, ბაქარი მოგვითხრობს წიგნის გამოცემის ისტორიას. ბოლოში კი ვახუშტი, რომელსაც მინდობილი ჰქონდა დაბადების ქართული ტექსტის შემოწმება ბერძნულ და სლავურ ტექსტთან და საზოგადოდ რედაქტორობა, მოგვითხრობს ტექსტის შემოწმების და შესწორების ისტორიას.

დაბადების დაბეჭდვის შემდეგ სტამბა ვსესვიატსკითგან ისევ მოსკოვს იქნა გადატანილი.

1744 წ. გარდმოცემა უცილობელი მართლმადიდებელისა სარწმუნოებისა — თხზულება იოანე დამასკელისა. ტექსტის სიფართე არის 15×18,8 სანტ. შეიცავს 10 აუნ. + 399 (შეცდ. 421) ანუსხ. გვერდს. შრიფტი საშუალო ზომის ნუსხა ხუცური. ანუსხულია გვერდობით ქართული ასოებით და რვეულობით ქართული ასოებით და არაბული ციფრებით. რვეულში 8 გვერდია. თავში 3—10 აუნ. გვერდისგან შემდგარი რვეული აღნიშნულია



ანუ ღვთისმშობლისა და მისი ძეგლისა და მისი სულიერისა და მისი  
 სხეულისა და მისი სულიერისა და მისი სხეულისა და მისი სულიერისა და მისი  
 სხეულისა და მისი სულიერისა და მისი სხეულისა და მისი სულიერისა და მისი

ეს ღვთისმშობლისა და მისი ძეგლისა და მისი სულიერისა და მისი  
 სხეულისა და მისი სულიერისა და მისი სხეულისა და მისი სულიერისა და მისი

ამისთვისაა : და ამისთვისაა : და ამისთვისაა : და ამისთვისაა : და ამისთვისაა :

ამისთვისაა : და ამისთვისაა : და ამისთვისაა : და ამისთვისაა : და ამისთვისაა :

ამისთვისაა : და ამისთვისაა : და ამისთვისაა : და ამისთვისაა : და ამისთვისაა :

ამისთვისაა : და ამისთვისაა : და ამისთვისაა : და ამისთვისაა : და ამისთვისაა :

ამისთვისაა : და ამისთვისაა : და ამისთვისაა : და ამისთვისაა : და ამისთვისაა :

ამისთვისაა : და ამისთვისაა : და ამისთვისაა : და ამისთვისაა : და ამისთვისაა :

ამისთვისაა : და ამისთვისაა : და ამისთვისაა : და ამისთვისაა : და ამისთვისაა :



ბიბლია ანუ დაბადება, მოსკოვი, 1743 წ. მეორე აუნუსხავი გვერ-  
დაპატარავებულია 1/2-ად.

50-ით, ცხადია, შეცდომით, რადგან მე-50 რვეული სულ ბოლოშია. წითელი საღებავი ხმარებულია მხოლოდ პირველს რვეულში.

იოსებ სამებელის სტამბაში დაბეჭდილი სხვა რომელიმე წიგნს ჩვენ არ გვინახავს. თ. ჟორდანია იხსენიებს იმაში დაბეჭდილად კიდევ ლოცვანს სრულის ქორონიკონით, ზედნადებით, კვინკლოსით და თორმეტი თვის კალენდრით (1743 წ.), კონდაკს და სამღვდელმთავრო ჟამნს, მაგრამ რაოდენად მართალია ეს, არ შეგვიძლია ვსთქვათ. ამას უნდა დაემატოთ კიდევ ერთი წიგნი—საარქიერო კონდაკი, რომელიც, ჟორდანიასავე სიტყვით, იოსებ სამებელს გამოუცია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საარქიერო კონდაკი და კონდაკი ერთი და იგივე წიგნი უნდა იყოს. აგრეთვე სამღვდელმთავრო ჟამნი იგივე საარქიერო კონდაკი უნდა იყოს, ასე რომ სამის წიგნის მაგიერ ერთი წიგნი უნდა ვიგულისხმოთ.

როგორც თ. ჟორდანია მოგვითხრობს, იოსებ სამებელს უცხოვრია მოსკოვში 1750 წლამდე. ამ წელს იგი წასულა მოსკოვითგან თავის მეგობარ იოანე მანგლელთან, რომელიც ყიზლარში ცხოვრობდა, და თან წაუღია თავისი სტამბა (ასოები და დაზგები). გზაში ავად გამხდარა ქ. სარატოვში და მომკვდარა 1 ენკენისთვის, დაუმარხავთ ქ. ასტრახანში. ანდერძით იოსებ სამებელს სტამბა იოანე ნათლისმცემლის მონასტრისთვის (გარეჯის უდაბნოში) დაუტოვებია.

1745—1762 წლებში მოსკოვში დაბეჭდილი წიგნი არა ჩანს<sup>1)</sup>. მხოლოდ მესამოცე წლებში ახლდება წიგნების ბეჭდვა ტფილისის მიტროპოლიტის ათანასი ამილახვარის მეცადინეობით.

პლატონ იოსელიანი ამ პირის შესახებ მოგვითხრობს შემდეგ: ათანასე ამილახვარი ვახტანგ მეფეს გაჰყვა რუსეთს. იქ ეკურთხა არქიმანდრიტად. შემდეგ დაბრუნდა საქართველოს და მიიღო მრევლობა 1733 წ. ბოლოს შეიქნა ტფილელ მიტროპოლიტად. თეიმურაზ და ერეკლე მეფეები ძალიან ენდობოდნენ და დიპლომატიურ მინდობილობას აკისრებდნენ ხოლმე. 1752 წ. გაგზავნილ იქნა რუსეთს დახმარების სათხოვნელად. ათანასემ რუსის მთავრობის პასუხი სვიმონ მაყაშვილის ხელით გაუგზავნა მეფეებს, თითონ კი დარჩა რუსეთში და 1754 წ. სთხოვა რუსის მთავრობას, რომ ერთის მხრით საქართველოს არეგ-დარეულობის, მეორე მხრით მის სიბერის

1) ალ. ცაგარლის წიგნში (Свед. о памятн. груз. письм. в. III გვ. 210) დაბეჭდილს იოანე გრუზინსკის ბიბლიოთეკის კატალოგში მოხსენებულია 1759 წ. დაბეჭდილად ანბანი მოსწავლეთათვის, მაგრამ რაკი ამ წელს არა ჩანს მოსკოვში ქართული სტამბა, ამიტომ თარიღი უნდა შემცდარი იყოს. შეიძლება 1769 წ. იყოს ნამდვილი.

გამო დაეტოვებინათ რუსეთში და დაენიშნათ მისთვის სარჩო. მეფეებს არ მოეწონათ მისი საქციელი და 1755 წ. მოსტხოვეს რუსის მთავრობას, რომ ათანასე უკანვე დაებრუნებინათ ათანასემ ხელმოკრედ სთხოვა რუსის მთავრობას, რომ დაეტოვებინათ. რუსეთში და მიეღოთ კვეშევრდომად. მთავრობამ შეასრულა მისი თხოვნა და მოსკოვში დასტოვა. საცხოვრებლად მიუჩინა ჯვართამაღლების მონასტერი. 1761 წ. 21 დეკემბერს ათანასემ სინოდს სთხოვა ნებართვა რომ გაეხსნა ქართული სტამბა. სინოდმაც ასეთი ნებართვა მისცა <sup>1)</sup>.

ავტორი წიგნისა Историческое изображение Грузии (СПб. 1802 г.) <sup>2)</sup> სწერს, ვითომ ვსესვიატსკში მყოფი ბაქარის სტამბა გადატანილ იქნა მოსკოვს ათანასე ამილახვართან, რომელიც ჯვართამაღლების მონასტერში ცხოვრობდა <sup>3)</sup>. აქ, უეჭველია, იგულისხმება სტამბის ის ნაწილი, რაც ბაქარმა შეიძინა იოსებ სამებელის სტამბის გასადიდებლად და შესავსებლად, როდესაც დაბადებას ბეჭდავდა. ეტყობა ათანასეს ბაქარის სტამბის ნაწილი თავის მხრით შეუესია და გაუშართია ახალი სტამბა.

ათანასე ამილახვის სტამბაში დაიბეჭდა შემდეგი წიგნები:

1763 წ. ღვთისმშობლის დაუჯდომელი. ეს წიგნი ჩვენ არ გვინახავს და არც ცნობა გვაქვს, თუ სადმე მოიპოვება დაცული, მაგრამ არის უტყუარი მოწმობა მის დაბეჭდვისა. 1764 წ., დაბეჭდილს დავითნში უკანასკნელს გვერდზე არის ასეთი შენიშვნა: „ამ სტამბის გამოსაცდელად პირველ დაბეჭდილს ღვთისმშობლის დაუჯდომელში... შეცდომით უსწორო სიტყვა მოვიდა“... რადგან დავითნის ბეჭდვა გათავებულა 15 თებ. 1764 წ. ხოლო მის ბეჭდვას თვენახევარი მაინც მოუნდებოდა, ამიტომ დაუჯდომელის დაბეჭდვის წლად ჩვენ მივიღეთ 1763 წ.

1764 წ. დავითნი. ტექსტის სიფართოე არის 13,7×7,5 სანტ. შეიცავს 12 აუნ.+36 (შეცდ. 46) ან.+4 აუნ.+488 (შეცდ. 448) ან. გვერდს. შრიფტი საშუალო ზომის ნუსხა ხუცურია. ანუსხულია გვერდობით ქართული ასოებით და რვეულობით სლაფურის ასოებით და არაბული ციფრებით. დაბეჭდილია 720 ც. <sup>4)</sup>.

<sup>1)</sup> იხ. П. Юселиани. Описание древностей города Тифлиса, Тифлис. 1866. Стр. 186, 187.

<sup>2)</sup> ამ წიგნის ავტორი არის არქიმანდრიტი ევგენი. მისი წიგნი გერმანულად და დაიბეჭდა სახელწოდებით: Georgien oder historische Gemälde von Grusien in polit., kirchl. und gelehrter Hinsicht: Archim. Eugenius. Riga und Leipzig. 1804.

<sup>3)</sup> იხ. ხსენებული წიგნი, გვ. 63.

<sup>4)</sup> ცნობა დაბეჭდილი ცალების რიცხვის შესახებ მოთავსებულია 1766 წ. დაბეჭდილს სახარებაში და 1768 წ. დაბეჭდილს დავითნში.

1765 წ. სამოციქულო. ტექსტის სიფართე არის  $23 \times 15,8$  სანტ. შეიცავს 471 (შეცდ. 481) გვერდს. შრიფტი საშუალო ნუსხა ხუცურია. ანუსხულია გვერდობით ქართული ასოებით და რვეულობით ქართული და სლავური ასოებით. რვეულში 8 გვერდია. ნახმარია შავი და წითელი საღებავი. დაბეჭდილია 846 ცალი<sup>1)</sup>.

1766 წ. სახარება საკითხავად წმიდასა და დიდსა ხუთშაბათსა. ტექსტის სიფართე არის  $18,8 \times 14,2$  სანტ. შეიცავს 48 გვერდს. შრიფტი საშუალო ზომის ნუსხა ხუცურია. ანუსხულია გვერდობით ქართული ასოებით და რვეულობით ქართული და სლავური ასოებით. დაბეჭდილია 600 ცალი.

1767 წ. პარაკლისი. ტექსტის სიფართე არის  $12 \times 6,7$  სანტ. შეიცავს 109 გვერდს. შრიფტი წვრილი ნუსხა ხუცურია. ანუსხულია გვერდობით ქართული ასოებით და რვეულობით ქართული და სლავური ასოებით. ნახმარია შავი და წითელი საღებავი. დაბეჭდილია 240 ც.

1768 წ. დავითნი. მეორე გამოცემა. ტექსტის სიფართე არის  $13 \times 8$  სანტ. შეიცავს 366 გვერდს. შრიფტი წვრილი ნუსხა ხუცურია. ანუსხულია გვერდობით ქართული ასოებით და რვეულობით ქართული და სლავური ასოებით. დაბეჭდილია 2010 ც.

ამავე 1768 წ. ჟამნი. ტექსტის სიფართე არის  $14 \times 7,5$  სანტ. შეიცავს 2 აუნ. + 828 ან. გვერდს. შრიფტი წვრილი ნუსხა ხუცურია. ანუსხულია გვერდობით ქართული ასოებით და რვეულობით ქართული და სლავური ასოებით. ნახმარია შავი და წითელი საღებავი. დაბეჭდილია 1200 ც.

ამავე 1768 წ. ლოცვანი. ტექსტის სიფართე არის  $13,5 \times 7,1$  სანტ. შეიცავს 2 აუნ. + 388 ან. გვერდს. შრიფტი წვრილი ნუსხა ხუცურია. ანუსხულია გვერდობით ქართული ასოებით და რვეულობით ქართული და სლავური ასოებით. დაბეჭდილია 800 ც.

1768 წლის შემდეგ მოსკოვში დაბეჭდილი წიგნი არ გვინახავს. მხოლოდ ავტორი წიგნისა Историческое изображение Грузии გამოცემს, ვითომ ზემოდ მოხსენებულის წიგნების გარდა ათანასი ამილახვრის სტამბაში დაბეჭდილიყვნენ 1770 წლამდე შემდეგი წიგნები: 1. საგალობელნი, 2. სადღესასწაულო, 3. მარხვანი, 4. ანბანი და სხვ.

ზ. ჭიჭინაძე ამბობს, ვითომ ათანასი ამილახვრის სტამბაში დაბეჭდილიყვნენ რავედენიმე საერო ლექსი და იამბი-

1) იხ. სახარება, დაბეჭდილი 1766 წ.

კოეზი ბატონიშვილის ბაქარისა. იმისავე სიტყვით მოსკოვში ქართული სტამბა კარგა ხანს არსებულა ათანასის სიკვდილის (1774 წ.) შემდეგ და იქ სხვადასხვა სასულიერო წიგნები დაბეჭდილან.<sup>1)</sup>

გავრცელებულია აზრი, ვითომ რუსეთში მეთვრამეტე საუკუნეში ქართული სტამბები არსებულებდნენ სხვა ქალაქებშიც: ნოვგოროდში, ვლადიმირში, პეტერბურგში, კრემენჩუკში და ყიზლარში. თ. ჟორდანიას თავის სტატიის „მთავარ-ეპისკოპოსი იოსებ სამებელი“ მოგვითხრობს, ვითომ იოსებ სამებელს ნოვგოროდის კათედრალზე განწესებისათვის სტამბა გაემართოს ნოვგოროდში (იურისმონასტერში) და დაებეჭდოს წიგნები.<sup>2)</sup> ის წიგნები, რომელნიც ჟორდანიას ნოვგოროდში დაბეჭდილებად აქვს მოხსენებული, ყველანი მოსკოვში არიან დაბეჭდილნი სამებელის მიერ დაარსებულ სტამბაში. მართალია, 1885 წლის „ივერიის“ № 10-ში ასწორებს თავის შეცდომას<sup>3)</sup> და ამბობს, რომ მისგან დასახელებული წიგნები მოსკოვში არიან დაბეჭდილნი, მაგრამ არას ამბობს იმის შესახებ, რომ ნოვგოროდში სამებელს არა ჰქონია სტამბა.<sup>4)</sup>

ზ. ჭიჭინაძე და თ. ჟორდანიას მოგვითხრობენ, ვითომ ანტონ კათოლიკოსს ვლადიმირში ყოფნის დროს 1757—1765 წლებში გაემართოს სტამბა ამ ქალაქში და დაებეჭდოს სხვათა შორის შემდეგი წიგნები: 1. კლდე სარწმუნოებისა სტეფანე იავორსკისა, 2. თთვენი, 3. ქართულ-რუსულ-ლათინურ-ბერძნულ-ანბანი და სხვა სახელმძღვანელო, საღვთისმეტყველო და საერო წიგნები.<sup>5)</sup> ანტონ კათოლიკოსის საქართველოში დაბრუნების შემდეგ,

<sup>1)</sup> იხ. ზ. ჭიჭინაძე. ქართული სტამბები 1627—1916 წ. გვ. 97.

<sup>2)</sup> იხ. „ივერია“ 1884 წ. № 2. გვ. 42, 43, 45, 50, 55.

<sup>3)</sup> იხ. წერილი „მოკლე ისტორიული გამოკვლევა“, გვ. 114.

<sup>4)</sup> ალ. ხახანაშვილი იმეორებს თექვსმეტის წლის შემდეგ თ. ჟორდანიას ამ შეცდომას (იხ. Очерки по ист. груз. слов. в. III, стр. 370 და 371). პროფ. ალ. ცაგარელი თ. ჟორდანიას წერილების გავლენით გადმოგვცემს, რომ მოსკოვში ქართული წიგნების ბეჭდვა დაიწყო 1738 წ. და ბევრი წიგნი დაბეჭდეს, სხვათა შორის დაბადებაო. შემდეგ უმატებს: „ზოგიერთი მწერლების რწმუნებით, კერძო სტამბები გაუმართიათ 1735—1740 წლებში ნოვგოროდში და მოსკოვში არქივ. იოსებ სამებელს, ვლადიმირში 1757—1764 წ. ანტონ კათოლიკოსს“. თითქოს წინად მის მიერ მოხსენებული მოსკოვის სტამბა ყოფილიყვეს სხვისი ვისიმე და არა არქივ. იოსებ სამებელისა (Свед. о пам. гр. и. в. I. стр. XLIX).

<sup>5)</sup> იხ. ზ. ჭიჭინაძე. ქართული სტამბები 1627—1916 წ. გვ. 97 და თ. ჟორდანიას. „ივერია“ 1884 წ. № 3, გვ. 89.

ალ. ცაგარელი ამ ზღაპარს იმეორებს შეუმოწმებლად, როგორც მოხსენებულია წინა შენიშვნაში.

ჭიჭინაძის თქმით, ათანასი ამილახვარს ეს სტამბა შეუძენია და გადაუტანია მოსკოვს<sup>1)</sup>.

რადგან არც ერთი ვლადიმირში დაბეჭდილად მოხსენებული წიგნი არ არსებობს არსად და არც არავინ იხსენიებს, მოთხრობა ვლადიმირის სტამბის შესახებ ზღაპრად უნდა ჩაითვალოს.

ასეთსავე ზღაპარსა ჰგავს მათივე მოწმობა, ვითომ მეთვრამეტე საუკუნეში (1786 წ.) დაარსებულ იყვეს პეტერბურგში ქართული სტამბა. ამ სტამბის დამაარსებლად ასახელებენ ეპისკოპოსს გრიგოლ ხარჭაშენელს, რომელსაც ყორდანის სიტყვით დაუბეჭდია რავედენიმე წიგნი და სხვათა შორის სახარება 1789 წელს<sup>2)</sup>.

მესამე ზღაპრად უნდა აღვიაროთ პროფ. ალ. ცაგარლის, თ. ყორდანის და ზ. ჭიჭინაძის თქმულება კრემენჩუკში გაიოზ ნაცვლიშვილის მიერ დაარსებულის სტამბის და მაში ქართული წიგნების ბეჭდვის შესახებ. მათი თქმით, კრემენჩუკში გაიოზს დაუბეჭდია: 1. გრამატიკა, 2. საცისკროლოცვანი ოსურსა და ქართულს ენაზე, 3. მცნება ვასილი ბერძენთა მეფისა და რავედენიმე სხვა<sup>3)</sup>.

ქართული გრამატიკა გაიოზისა ჩვენ სულ ცოტა ათი მაინც გვინახავს. არც ერთს მათგანზე არ ყოფილა ცნობა, თუ სად და როდის დაიბეჭდა. მხოლოდ წიგნის ბოლოში არის დაბეჭდილი: „დასასრული ღრამატიკისა დიდება ღმერთსა სრულ მყოფელსა. წელს 1789, თთჳსსა ოკლომბერსა 2, კრემენჩუკს. გაიოს.“ ეს ნაშნავს იმას, რომ

1) იხ. ზ. ჭიჭინაძე, ქართული სტამბები, გვ. 97.

2) იხ. ზ. ჭიჭინაძე, იგივე წიგნი, გვ. 98; თ. ყორდანია „ივერია“ 1884 წ. № 3. გვ. 91.

პროფ. ალ. ცაგარელი იმეორებს ამასვე უკრიტიკოდ (იხ. Свед. о пам. гр. ПИСЬМ. В. I, стр. XLIX).

3) პლ. იოსელიანის თქმით (იხ. Описание древн. гор. Тифлиса, стр. 143—144) გრიგოლ ხარჭაშენელი გვარად გარსევანიშვილი ყოფილა, ერთხელ წასული მოსკოვს ილუმენის ხარისხით უკან დაბრუნებულა არქიმანდრიტის ხარისხით. საქართველოში მიუღია ხარჭაშენელ ეპისკოპოზობა და ისევ წასულა რუსეთს, სადაც სიკვდილამდე დარჩენილა. უკანასკნელს წლებში ასტრახანში უცხოვროა და მომკვდარა 5 ენკენ. 1797 წ. იოსელიანს ეს ცნობები უპოვია სინოდის არქივში. ხარჭაშენელს რომ სტამბა ჰქონებოდა, არქივში ამის შესახებ ცნობა უთუოდ იქნებოდა და იოსელიანიც უთუოდ მოიხსენიებდა. აგრეთვე, ხარჭაშენელის სტამბას არ იხსენიებს არც ავტორი წიგნისა Истор. пзобр. Грузин.

3) ალ. ცაგარელი. О граммат. литер. груз. языка. СПб. 1873, стр. 35; თ. ყორდანია. „ივერია“ 1884 წ. № 3, გვ. 91; ზ. ჭიჭინაძე. ქართ. სტამბები 1627-1916 წ. გვ. 101.

გაიოსს. წიგნის წერა გაუთავებია 1789 წ. ქ. კრემენჩუკში.<sup>1)</sup> საითგან მიხვდნენ, რომ წიგნი დაბეჭდილია ქ. კრემენჩუკში, არ ვიცით. გვგონია, აქ უბრალო გაუგებრობაა. წიგნის დაწერის ადგილი და დრო დაბეჭდვის ადგილად და დროდ მიუღიათ: ამიტომ ამ წიგნის დაბეჭდვის ადგილი და დრო ჯერ კიდევ გამოსარკვევია.<sup>2)</sup> წიგნი მცნება ვასილი ბერძენთა მეფისა არის ის წიგნი, რომელსაც სხვა-ნაირად ტესტამენტი ეწოდება და დაბეჭდილია 1739 წელს მოსკოვში. ეს შეცდომაც რაღაც გაუგებრობაზეა დამყარებული. ასეთივე გაუგებრობის ნაყოფი უნდა იყვეს მტკიცება, ვითომ გაიოსს კრემენჩუკში დაებეჭდოს ლოცვანი საცისკრონი ოსურსა და ქართულს ენაზე. ამ სახელით წიგნი არის დაბეჭდილი 1820 წ. ტფილისში. ვაი თუ ხსენებულ მკვლევარებს ეს წიგნი მიუღიათ კრემენჩუკში დაბეჭდილად გაიოსის მიერ!

იგივე ზ. ჭიჭინაძე გადმოგვცემს, ვითომ იმავე გაიოსს ნაცვლიშვილს ყიზლარში ეპისკოპოზად ყოფნის დროს ამ ქალაქშიაც გაემართოს სტამბა და დაებეჭდოს წიგნები, რომლებიც ვითომ პეტრე უმიკაშვილის სიტყვით პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიაში ინახებოდნენ. რა წიგნებია ეს წიგნები, ზ. ჭიჭინაძე არ ამბობს.<sup>3)</sup> თქმულება ძალიან მიაგავს ზღაპარს<sup>4)</sup>.

<sup>1)</sup> ეს რომ ამას ნიშნავს, ჩანს შემდეგი თგან. ამბროსი მედიოლანელის წიგნის თარგმანის ხელთნაწერს ბლოღში აქვს ასეთი მინაწერი: „დასასრული. დიდება შენდა სრულმყოფელთა ყოველთა კეთილთაო. სრულ-ვჰყავ წელს 1789 აგვისტოს 2. კრემენჩუკს. გაიოს.“ (იხ. წ.-კ. წიგნთსაცავის ხელთნაწერი № 378, გვ. 242). იოანე გრუზინსკის ბიბლიოთეკაში მოიპოვება ხელთნაწერი გრამატიკა. დაწერილი გაიოსის მიერ 1789 წ. (Цагарели А. Свед. о памяти. груз. писем. в. III, стр. 209.)

<sup>2)</sup> ჩვენის ფიქრით, ეს წიგნი დაბეჭდილი უნდა იყვეს ტფილისში, მე XIX საუკ. პირველ წლებში. ნ. მთვარელიშვილი, რომელმაც დაბეჭდა მონოგრაფია თელავის სემინარია და გაიოსს ნაცვლიშვილი („ივერია“ 1881 წ. №№ 8, 9 და 10), ხმას არ იღებს იმაზე, ვითომ გაიოსს სტამბა გაემართოს კრემენჩუკში, მაგრამ გრამატიკის შესახებ კი ამბობს, ვითომ ის იყვეს დაბეჭდილი კრემენჩუკში გაიოსის ამ ქალაქში ყოფნის დროს 1783--1793 წლებში, თუმც თითონვე აღბარებს, რომ მან გაიოსზე 1782--1789 წლ. არა იცის რა იმის გარდა, რომ ის 1789 წ. ივლისის თვის გამავლობაში ცხოვრობდა პოლტავის გუბერნიის ქალაქს კრემენჩუკში, როგორც ეს ჩანს თვით მისგანვე გადაწერილის წიგნისაგან, და 1790 წ. ის შეხვდა მოლდავის ქალაქს იასაში მიტროპოლიტს იონასო.

<sup>3)</sup> იხ. ზ. ჭიჭინაძე. ქართული სტამბები 1627--1916 წ. გვ. 101.

<sup>4)</sup> ალ. ხახანაშვილი კიდევ უფრო შორს მიდის და სხვა ზღაპარს გადმოგვცენს, ვითომ მოზდოკში სტამბას დროგამოშვებით ემოქმედოს. 1629--1799 წლებში (იხ. Очерки по ист. груз. слов. в. III, стр. 373, прим. 3.). პროფ. ალ.



მოსკოვში დაბეჭდილს წიგნებს აქვს ვრცელი თავწარწერა. იოსებ სამეხელის სტამბაში დაბეჭდილის წიგნების თავწარწერაში ჩვეულებრივ მოხსენებულია ხოლმე ჯერ ღმერთი, შემდეგ რუსეთის იმპერატორი, მას უკან ბაქარ მეფე, სინოდი, სტამბის დამაარსებელი, წიგნის სახელი და დაბეჭდვის ადგილი და წელიწადი, ბიბლიურის, ქრისტიანულის და ქართულის ქორონიკონულის აღრიცხვით და თვისა და დღის აღნიშვნით. მაგალითად, 1738 წელს დაბეჭდილს ზ ა დ ი კ ს აქვს შემდეგი თავწარწერა:

„სადიდებელად წმიდისა სამეხელისა, ჟამსა დიდად ამაღლებულია სრულიად რუსეთის და თვთმპყრობელისა კეთილმორწმუნისა იმპერატორიკა ანნა იოვანესსა, ბრძანებითა მეფის ბაქარ ვახტანგის ძისათა, შენდობითა და კურთხევითა წმიდათა მმართველთა სინოდთა, საფასეთა და წარსაგებელითა არქიეპისკოპოზის იოსებისათა გაკეთდა საბეჭდავი ესე და დაიბეჭდა საღვთო წმიდაჲ ესე ზ ა დ ი კ ი დიდსა სამეუფოსა ქალაქსა მოსკოვს, დასაბამითგან წელთა ვიდრე აქამომდე კ ს მ ვ, ქრისტეს აქეთ ჩ ლ ლ, ქორონიკონს უ კ ე,<sup>1)</sup> თვესა დეკენბერსა კგ.“

ათანასი ამილახვრის სტამბაში დაბეჭდილი წიგნების თავწარწერაში აღარ არის მოხსენებული, რა თქმა უნდა, ბაქარ მეფე, რადგან იგი გადაიცვალა 1750 წ. იოსებ სამეხელის ადგილი ათანასი ამილახვარს უჭირავს. რუსეთის იმპერატორი იხსენიება არა დროს აღსანიშნავად, არამედ როგორც წიგნის დაბეჭდვის ბრძანების მიმცემი, სინოდი კი არა შემდობებლად და მაკურთხეველად, არამედ ნების დამრთველად. წიგნის დაბეჭდვის წელიწადი ხშირად მარტო ქრისტიანულის აღრიცხვით არის აღნიშნული. 1765 წ. დაბეჭდილს სამოციქულოს აქვს ასეთი თავწარწერა:

„სადიდებელად წმიდისა ერთარსისა, ცხოველსმყოფელისა და განუყოფელისა სამეხელისა... ბრძანებითა უმართლმადიდებელესისა და უმპყრობელესისა დიდისა კელმწიფისა იმპერატორიკა ეკატერინა ალექსეენასა, სრულიად რუსეთის თვითმპყრობელისათა, ჟამსა მეგვიდრისა მისისა პავლე პეტრეს ძისასა, ნებართვითა მმართველის სრულიად

ცაგარელიც იმეორებს ამ ზღაპარს და ამბობს: Сохранились также грузинские книги, напечатанные во второй половине XVIII века в г. Моздоке и Кременчуге, так напр., в этом последнем месте напечатана грузинская грамматика архим. Гая в 1789 году (об. миси Свед. о памяти. грузинсьм. в. I, стр. XLIX

<sup>1)</sup> უნდა ყოფილიყო უ კ ვ.

რუსეთის სინოდისათა დაიბეჭდა ღვთივ სულიერი წიგნი ესე ს ა მ ო ც ი -  
ქ უ ლ ო ღვაწლითა და წარსაგებელითა ტფილისის მიტროპოლიტის  
ათანასი ამილახვაროვისათა, შემოწმებული რუსეთის ეკლესიათა შინა  
კმარებულისა სამოციქულოსა თანა, შეწვენითა სხვათა ენათა ც კ ნ ი ა ზ  
დიმიტრი ციციანოვისაგან. დაიბეჭდა სამეუფოსა ქალაქსა მოსკოვს  
წელსა ჩ ღ ა ე თვესა მარტსა ა.“

თავწარწერის გარდა წიგნებს ხან თავში ხან ბოლოში აქვს  
ხოლმე დართული სხვადასხვა ცნობები, შენიშვნები ან მიმართვები  
მკითხველთადმი, რომლებიც შეიცავენ უფრო დაწვრილებით სტამბის  
დაარსების ამბავს, წიგნის შესწორების ან გამოსაცემად მომზადების  
ისტორიას, შრომის გამწვევთა ვინაობის შესახებ ცნობას. მაგალი-  
თად, ზემოდ მოხსენებულს ზ ა დ ი კ ს ბოლოში აქვს დართული შემ-  
დეგი ცნობა:

„ოდეს იპყრობდა და განაგებდა კეთილად განმგებელი, კეთილ-  
მორწმუნე და თვითმპყრობელი დიდი კელმწიფე იმპერატრიცა ანნა  
იოანესი, მას ჟამსა იგულსმოდგინა ყოვლად სანატრელმან არქიეპის-  
კოპოზმან სრულიად ვლადუკისამან და არქიმანდრიტმან იურვისამან <sup>1)</sup>  
კახთ მდივან-მწიგნობართ უხუცესის ქობულის თამაზის ძემან სამე-  
ბელმან იოსებ და მიბრძანა მე ყოვლად უღირსსა ბერს გურამისშვილს  
ხუცეს-მონოზანს ქრისტეფორეს სტანბის გაკეთება და გავაკეთებინე  
სტანბა დიდითა გულმოდგინებითა და წარგებითა საფასითა მისითა,  
მაშინ კელეყავ, ძალითა ღვთისათა, წმიდისა ამის ზადიკისა ბეჭდვად  
რუსულს ზადიკზედ უნაკლულოდ... და მოვიღე ქართული ზატიკები  
და რუსულს ზატიკს და ტიბიკონს ვამოწმე და რომელი მუხლი... რუ-  
სის ზატიკსა და ტიბიკონს ვამოწმე და რომელი მუხლი... რუსის ზა-  
ტიკსა და ტიბიკონს ემოწმა იქიდან შევკრიბე და ისე აღწერეთ და  
რომელიც ჩვენში დაკარგული იყო, ის რუსულის ზატიკიდან გადმოვა-

<sup>1)</sup> ნაცვლად სიტყვისა ვ ლ ა დ უ კ ი ს ა მ ა ნ უნდა იყვეს ნ ო ვ გ ო რ ო დ ი -  
ს ა მ ა ნ, ხოლო ნაცვლად სიტყვისა ი უ რ ვ ი ს ა მ ა ნ უნდა იყვეს ი უ რ ი ე ვ ი ს ა მ ა ნ,  
რადგან იოსები იყო არხიეპისკოპოზი ნოვგოროდისა და არხიმანდრიტი იურიევის  
მონასტრისა. აქ უცნაური სიტყვა ვ ლ ა დ უ კ ა თუ ვ ლ ა დ უ კ ი გვგონია უნდა  
იყვეს რუსული სიტყვა ВЛАДЫКА, რასაც ურთავდნენ ჩვეულებრივ ეპისკოპოზის თუ  
არხიეპისკოპოზის წოდებას ან პირდაპირ ლაპარაკის დროს უწოდებდნენ მას.

ამ უცნაურმა სიტყვამ, ხსენებულს ადგილს ხმარებულმა, ერთი მკვლევარ-  
ი შეცდომაში შეიყვანა და აფიქრებინა, რომ არხიეპისკოპოზი ვ ლ ა დ უ კ ი ს ა  
და არხიმანდრიტი ი უ რ ვ ი ს ა, უნდა ყოფილიყვნენ სხვადასხვა პირნი და ათქ-  
მევინა მას შემდეგი: „ამ ცნობიდან ჩანს, რომ ქართული სტამბის დაარსების ნატ-  
ვრა ქართველთ გარდა ორს უცხო ტომის სასულიერო პირთაც დიდათ სურვე-  
ბით“ (იხ. ხ. ჭიჭინაძე. ქართული სტამბები 1627—1916 წ. გვ. 95).

თარგმნინე ბატონისშვილის დარეჯანის კარის მღუდელს გიორგის და მისგან ნათარგმნს ხუცეს-მონაზონი ხოსაშვილი დავით დიდის გულს-მოდგინებითა და გამოძიებით ჩვენ ენაზედ ასწორებდა და სიმართლეს ცდილობდა, და საგალობელს საძილისპიროს წინწილს არქიმანდრიტი გერმანე სჩხრეკდა და ასწორებდა.“

ხანდახან სტამბის მუშაკებიც არიან ხოლმე მოხსენებულნი. მაგალითად, 1739 წ. დაბეჭდილს სახარებაში ვკითხულობთ:

„მდაბალი ამათ მბეჭდავთა ზედამდგომელი უღირსი მღუდელ-მონაზონი ქრისტეფორე“.

ხშირად სტამბის მუშაკები მიმართავენ ხოლმე მკითხველებს თხოვნით, რომ არ დაემღურონ წიგნის ბეჭდვაში მომხდარის შეცდომებისთვის. მაგალითად 1743 წ. დაბეჭდილს დაბადებაზე მომუშავენი შემდეგის თხოვნით მიმართავენ მკითხველებს:

„გლოცავთ და გვეედრებით, წმიდისა ამის დაბადებისა გონიერად აღმომკითხველნი, უკეთუ ცთომილნი რაჟამე იხილნეთ ანუ ასონი შეცვლილ და მეტნაკლებ, ნუ გვწყევთ ამისთვის. ვითარცა ცაჲ არაოდეს ვერ იხილნეთ ესრეთ მოწმენდილ, უკეთუმცა არ ეკრამცა მცირედი ღრუბელი, ეგრეთვე სტამბანი ასოუცდომელ, რამეთუ იყენეს დედანი შებლალულ, მუშაკნი უჩვეველ და მმართაფნი დამაშვრალ. გარნა შეცდომილთათვისვე განრკვევით ქვემოზე აღგვიწერია და შთაგვიტანებია. უკეთუ ინებებთ, მსწრაფლ სრულიად განმართავთ მცირედისა სარჯლითა.“

იოსებ სამეხვიის სტამბაში დაბეჭდილს წიგნებს ყველას აქვს თავსა ან ბოლოში დართული საქართველოს სამეფო ღერბი, ალაგ-ალაგ ტექსტში ჩართული აქვს სამკობელად ყვავილების კონის სურათები ან სხვა რამ მოხატულობა. ზოგიერთს წიგნში ნახმარია ოთხკუთხედებში მოთავსებული დიდი ასომთავრულები ყვავილებით ან ადამიანთა ან ცხოველთა სხვადასხვანაირი სურათებით მოხატულ ადგილზე.

ასეთივე სამკობელები აქვსთ ათანასი ამილახვრის სტამბაში დაბეჭდილს წიგნებს. მხოლოდ საქართველოს სამეფო ღერბი არა აქვსთ დართული. სამაგიეროდ 1768 წ. გამოცემულს წიგნებში არის მოთავსებული თვით ათანასი მიტროპოლიტის ღერბის სურათი.

ათანასი ამილახვრის გამოცემულს წიგნებში ახალი ის არის, რომ ყველაზე აღნიშნულია დაბეჭდილის ცალების რიცხვი.

იმ მინაბეჭდებში, რომელნიც თავსა და ბოლოში არიან დართულნი მოსკოვში გამოცემულ წიგნებზე, მოხსენებულნი არიან შემდეგი გვარი სტამბის და საზოგადოდ ბეჭდვის მუშაკები: 1. სტამ-

ბის და ბექდვის ზედამდგომი ან მბეჭდავთა ზედამდგომელი, იგივე ზედამხედველი; 2. გამმართველი, ე. ი. გამსწორებელი; 3. ტექსტის რუსულთან შემსწორებელი; 4. რუსულითგან მთარგმნელი; 5. ნათარგმნის ქართულს ენაზე გამსწორებელი; 6. წინწილის მჩხრეკელი და შემსწორებელი; 7. მოურნე და 8. მესტამბე.

მუშაკებად მოხსენებულნი არიან: 1. მღვდელ-მონაზონი ქრისტეფორე გურამიშვილი სტამბისა და ბექდვის ზედამდგომად (1732. 1737 წ.), მბეჭდავთა ზედამდგომელად (1739. 1744 წ.), გამმართველად (1743 წ.), ტექსტის რუსულთან შემსწორებლად (1738. 1741 წ.); 2. მელქისედეკ კავკასიძე ზედამხედველად და მოურნედ (1743 წ.); 3. თავადი დიმიტრი ციციანოვი<sup>1)</sup> ზედამხედველად (1764. 1768), ზედამხედველად და მოურნედ (1766 წ.), ტექსტის რუსულთან შემსწორებლად (1765 წ.); 4. აბრამ ურია-ყოფილი მესტამბედ (1764 წ.); 5. ფილიპე, ბაქარის კარის მღვდელი, გამმართველად (1743 წ.); 6. დავით, ბაქარის კარის მღვდელი, გამმართველად (1743 წ.); 7. მღვდელი გიორგი დამბარაშვილი რუსულითგან მთარგმნელად (1738 წ.) და ტექსტის რუსულთან შემსწორებლად (1741 წ.); 8. გერმანე არქიმანდრიტი ქართულს ენაზე გამსწორებლად (1732—1737 წ.), წინწილის მჩხრეკელად და შემსწორებლად (1738 წ.)<sup>2)</sup>; 9. დავით ხოსაშვილი, ხუცეს-მონაზონი, ქართულს ენაზე შემსწორებლად (1738 წ.).

### III

#### საქართველოში დაბეჭდილი წიგნები

რუსეთში გადასახლებული არჩილ მეფე რომ შეუდგა ზრუნვას მოსკოვში ქართული წიგნების ბეჭდვისათვის და კიდევაც დაბეჭდაპირველი წიგნი 1705 წ., ტფილისში ასეთსავე ზრუნვაში იყო მისი ძმისწული ვახტანგი. ვახტანგს გარემოებამ ხელი შეუწყო, რომ თავის

<sup>1)</sup> ეს დიმიტრი ციციანოვი არის მამა საქართველოს მთავარმართველის პავლე ციციანოვისა, გარდაიცვალა 1777 წ.

<sup>2)</sup> ეს ის გერმანეა, რომელიც ვახტანგის სტამბისთვის მუშაობდა ტფილისში როგორც გამმართველი, ე. ი. გამსწორებელი ტექსტის ენისა ან სტამბის ამონაწყობისა. მისი შედგენილია წიგნი—სწავლათუ ვითარ მართველ მოძულ უარსა სწავლებამოწაფისა, რომელიც დაბეჭდა ტფილისში 1711 წ., როდესაც ჯერ კიდევ მღვდელ-მონაზონის ხარისხი ჰქონდა.

სურვილი შეესრულებინა და უფრო მკვიდრად დაეყენებინა ბეჭდვის საქმე. ეს ის გარემოება იყო, რომ 1703 წ. ვახტანგი შეიქმნა ქართლის სამეფოს გამგებლად ნაცვლად მის ბიძის მეფე გიორგისა, რომელიც ყაენის სურვილით სპარსეთში იყო და იქ მთავარსარდლობდა სპარსეთის ჯარს ავღანელების წინააღმდეგ ბრძოლაში. რაკი მეფის უფლებით მოსილი შეიქმნა და ამასთან ქართლში ჩამოვარდა პოლიტიკური სიწყნარე და უშიშროება, ვახტანგს მიეცა საშუალება სახელმწიფო ხარჯით გაემართა სტამბა ტფილისში. იმან ვლახეთითგან დაიბარა სტამბის მოხელე კაცი და სტამბის ის ნაწილები, რომელთა გაკეთება ტფილისში არ მოხერხდებოდა. ამ მოხელემ დაამზადა ტფილისში ის ნაწილები, რაც ვლახეთითგან არ ჰქონდა მოტანილი და გამართა სტამბა, რომელიც ამუშავდა 1709 წელს.

ალ. ხახანაშვილი, თ. ჟორდანი და ზ. ჭიჭინაძე გადაჭრით სწერენ, რომ ვახტანგმა ვლახეთით მოიყვანა მესტამბეები<sup>1)</sup>. ეს მტკიცება არაფერზეა დამყარებული და შეადგენს მათ ფანტაზიის ნაყოფს. ნამდვილად, ვახტანგმა ვლახეთით მხოლოდ ერთი დახელოვნებული სტამბის მოხელე მოიყვანა და სხვა ვინმე ამ მოხელეს არავინ მოჰყოლია. ამას მოწმობენ თვით ვახტანგის მიერ გამოცემული წიგნები და სხვა პირნი, რომელთაც ეს ამბავი უნდა უკეთ სცოდნოდათ ვიდრე პატივცემულს ჩვენი დროის ხსენებულ მკვლევარებს. აი რასა სწერს ვახტანგი თავის მიერ პირველად გამოცემულს წიგნზედ დართულს შენიშვნაში.

«მე გამგებელმან ქართლისამან, ბატონიშვილმან ვახტანგ, მოვიყვანე მე სტამბე ვლახეთით და გაეკეთე სტამბა».

როგორც მკითხველი ხედავს, აქ სიტყვა მე სტამბე მხოლოდითს რიცხვშია და არა მრავლობითში.

თვით ეს მესტამბე, მიხეილ სტეფანეშვილი (ხან სტეფანეშვილი ან სტეფანეს ძე) უნგრეთვლახელი, იმავე წიგნზედ დართულს მიმართვაში მკითხველთადმი სწერს:

«ყოველთა მკითხველთა გიხაროდენ! პირველად მიზეზი უცხოსა ამის საქმისა და ძალითა ღვთისათა უცონელად შემასრულებელი სტამბისა ამის სამკვიდრებელსა თქვენსა იქმნა კურთხევით ხსენებულნი, განათლებული და გამგებელი საქართველოსა ბატონიშვილი და თვით პატრონი ვახტანგ, ხოლო ყოველნივე საქმენი რაოდენნი იხილ-

<sup>1)</sup> იხ. А. Хаханов. Очерки по истории груз. словесн., вып. III, стр. 368; თ. ჟორდანი. „ივერია“ 1885 წ. № 10. მოკლე ისტორიული გამოკვლევა ქართულის სტამბის დაარსებისა და მოქმედებისა მე-XVIII საუკ., გვ. 104; ზ. ჭიჭინაძე. ქართული სტამბები 1627—1916 წ. გვ. 81.

ვებიან—ასონი, ორღანონი და ყოველნი სახმარნი სტამბისა დაწყებით სრულყოფამდი, მოქმედი და წინამძღოლი მე ვარ, უნდო მონა თქვენი. უწინარეს ყოვლისა დაგებედეთ ესე სამღთო და სამღდელო წმიდა სახარება. სიმდაბლით გვედრები თქვენ ყოველთა დიდთა და მცირეთა, უკეთუ ცთომილი რაჟმე იხილოთ, სიტყვა ანუ ასო, ნუ გამჭირდავთ, რამეთუ უცხო ვიყავ ქვეყნისა ამისა და უსმენელი სიტყვათა თქვენთა და რომელნი ჩემნი მოწაფენი იყვნენ აგრეთვე გამოუცდელნი საქმის ამის ჩემისა“.

ამ სიტყვებითგან ჩანს, რომ მესტამბე ერთად-ერთი ყოფილა და სხვა, სტამბის საქმეში გაწვრთნილი, თანამშრომელი არა ჰყოლია.

აგრეთვე მარტო ერთის მესტამბის მოყვანას ვლახეთით მოწმობს ვახტანგის შვილი ბაქარი, რომელიც 1743 წ. მოსკოვში გამოცემული დაბადების წინასიტყვაობაში სწერს: „ნეტარხსენებულმან მამამან ჩემმან მეფემან ვახტანგ მოიყვანა მესტამბე ვლახეთით და გააკეთა სტამბა“.

ასევე ერთის მესტამბის მოყვანას იხსენიებს არქიმან. ევგენი, ავტორი პეტერბურგში 1802 წ. გამოცემული რუსული წიგნისა Историческое изображение Грузии, სადაც იგი სწერს: „Для сего (Вахтанг) призвал из Валахии типографщика и употребил великое иждивение для заведения грузинской типографии в Тифлисе<sup>1)</sup>“.

მეორე კითხვა, რომელიც გამოსარკვევია, არის—თუ რომელს წელს მოვიდა საქართველოში მესტამბე მიხეილ უნგროვლახელი. ამის შესახებ გარკვეული ცნობა არსად მოიპოვება. ერთს წიგნში, რომელიც ვახტანგმა გამოსცა 1711 წ. (სწავლა თუ ვითარ მართებს მოძღვარს სწავლება მოწაფისა), მისი შემდგენელი გერმანე მღვდელ-მონაზონი წინასიტყვაობაში სწერს: „ამან (ვახტანგმა) მოიხვნა სტამბა ქვეყანით ვლახეთით რა ჟამს უფლობდა ვლახეთს იოანე კონსტანტინე ბრანკოვანე ბესარაბა“. სამწუხაროდ, ეს ცნობა ვერ გვაძლევს გადაჭრილს დაახლოვებულს წელს ვლახეთითგან სტამბის მოხმისას, რადგან კონსტანტინე ბრანკოვანის უფლობამ კარგა ხანს გასტანა 1709 წლამდე, როდესაც ტფილისში სტამბამ დაიწყო მოქმედება. მხოლოდ მოსაზრებით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ სტამბის მოქმედების დაწყებამდე რავდენისამე წლით ადრე უნდა მოსულიყო მიხეილ უნგროვლახელი საქართველოში, დაახლოვებით 1706 წელს. ამას ის გვაფიქრებინებს, რომ ამ უცხოელს კაცს მის მიერ დაბეჭდილს ქართულს წიგნებზე დართული აქვს, ხან თავში, ხან ბო-

<sup>1)</sup> იხ. დასახელებული წიგნი, გვ. 61.

ლოში, თავისი ნაწერი შენიშვნები, მიმართვანი და ლექსებიც კი. რასაკვირველია, ამ ნაწერების ენა გასწორებული იქნება გამმართველისაგან, მაგრამ აზრის გამოთქმა მისი საკუთარი უნდა იყოს, რაც შეეძლო მხოლოდ რავდენსამე წელიწადს ქართველთა შორის ცხოვრების შემდეგ. ამას გარდა მას უნდა მოემზადებინა სტამბის მოხელეები და გაეკეთებინა სტამბის მოსაწყობ ბევრი რამ ისეთი, რაც ვლახეთითგან არ ჰქონდა მოტანილი. რომ მიხეილ უნგროვლახელს გაუკეთებია თვითონ ბევრი რამ, ეს ჩანს ზევით მოყვანილი მისი სიტყვებითგან: „ყოველნივე საქმენი, რაოდენნი იხილვებიან—ასონი, ორლანონი და ყოველნი სახმარნი სტამბისა დაწყებით სრულყოფამდი, მოქმედი და წინამძღოლი მე ვარ“. ხოლო მიხეილ უნგროვლახელს რომ ზოგიერთი რამ სტამბის ნაწილთაგან ვლახეთითგან ჰქონდა მოტანილი, იქითგან ჩანს, რომ ნიკოლოზ ორბელიშვილი პირველად გამოცემულს წიგნზე დართულს წინასიტყვაობაში სწერს: „(ვახტანგმა) იგულისმოდგინა და მოიღო სტამბა ვლახეთით“. აგრეთვე გერმანე მღვდელ-მონაზონი თავის მიერ შედგენილის და 1711 წ. დაბეჭდილის წიგნის წინასიტყვაობაში სწერს: „ამან (ვახტანგმა) მოიხვნა სტამბა ქვეყანით ვლახეთით“. სტამბის ნაწილები რომ არ მოეტანიებინა ვლახეთით ვახტანგს, მაშინ არ დასწერდნენ—სტამბა მოიხვნა ან სტამბა მოიღოვო.

საკითხავია, ვინ იყო მესტამბე მიხაილ სტეფანეშვილი (ხან სტეფანეს შვილი, ხანაც სტეფანეს ძე) უნგროვლახელი. უეჭველია იგი სტამბის საქმის დახელოვნებული ოსტატი უნდა ყოფილიყო, რადგან ის იყო ერთადერთი ადამიანი, რომელმაც მომართა სტამბა, გააკეთა, როგორც თითონ ამბობს, „ყოველნივე საქმენი, რაოდენნი იხილვებიან—ასონი, ორლანონი და ყოველნი სახმარნი სტამბისა დაწყებით სრულყოფამდი“, გაწვრთნა ქართველი მოწაფეები და შნოიანად ბეჭდავდა წიგნებს. უნდა ყოფილიყო საკმაოდ შეგნებული და ნაკითხი, როგორც ეს მოჩანს იმ შენიშვნებითგან და მიმართვებითგან, რომელთაც ის ურთავდა ხან თავში ხან ბოლოში მის მიერ დაბეჭდილს წიგნებს. ერთი სიტყვით ის უნდა ყოფილიყო განვითარებული და შეგნებული სტამბის მოხელე ყოველნაირს მის დარგში. თ. ჟორდანიამ ამბობს, ვითომ ის ყოფილიყოს მღვდელი,<sup>1)</sup> მაგრამ ამის თქმისათვის მას არავითარი საფუძველი არა აქვს. მიხეილ უნგროვლახელი რომ მღვდელი ყოფილიყო, ის თავის თავს უთუოდ სადმე მოიხსენიებდა ასეთად, ან სხვები მოიხსენიებდნენ, მაგრამ არ-

1) იხ. თ. ჟორდანიამ. მოკლე ისტ. გამოკვლევა, „ივერია“ 1885 წ. № 10, გვ. 104.

სად ის თავის თავს მღვდლად არ იხსენიებს და არც სხვები იხსენიებენ ასეთად.

არ ვიცით ნამდვილად მისი გვარი. უნგროვლახელს უწოდებს თავის თავს არა როგორც გვარს, არამედ თავის სადაურობის საცნობლად, რადგან მაშინ ვალახიას უნგროვალახიას უძახდნენ. ეს სახელი, რასაკვირველია იმას არ ნიშნავს, ვითომ ის ყოფილიყვეს უნგრელი ტომით, როგორც ეს ჭიჭინაძეს ჰგონია.<sup>1)</sup> სტეფანეშვილი, სტეფანეს შვილი ან სტეფანეს ძე ჩვენ უნდა ისე გავიგოთ, რომ მის მამას რქმევია სტეფანე. შესაძლებელია, ვალახიაში იმ დროს არც კი ყოფილიყვნენ გვარები და ყველას არჩევდნენ მამის სახელით და სადაურობის ამნიშვნელი სიტყვებით ან რამე ზედმეტი სახელით, ისე როგორც ეს იყო რუსეთში. ჟორდანიას და ხახანაშვილს ჰგონებიათ, რომ სტეფანეშვილი (სტეფანეს შვილი ან სტეფანეს ძე) მის გვარის ქართულს ფორმას წარმოადგენენ და ამიტომ აღუდგინეს მას კიდევ „ნამდვილი“ გვარი დაბოლოების რუსულად გადაკეთებით. ისინი მას ეძახიან მიხეილ სტეფანოვს, თითქო რუსი ან რუსის ქვეშევრდომი ყოფილიყვეს. ჟორდანიას სწერს: „მიხეილ სტეფანოვმა შექველად თან ჩამოიტანა უუსაჭიროისი მასალა“. <sup>2)</sup> ხახანაშვილი სწერს: „Устройством типографий грузины обязаны мастеру из Валахии Михаилу Стефанову“. <sup>3)</sup> ამ უცხო ტომის კაცს, ისევე გაურუსულეს გვარი, როგორც თავიანთ ნაწერებში ურუსულებენ გვარს მეთვრამეტე და მეჩვიდმეტე საუკუნის და ხანდახან უფრო ძველი დროის ქართველებს ხსენებული მკვლევარები და ბევრნი სხვანი.

მიხეილ უნგროვლახელმა წიგნების ბეჭდვაზე იმუშავა სამის წლის გამავლობაში 1709—1711 წლებში. ამ ხანში გამოცემულს წიგნებზე ყველაზე აღნიშნულია: „კელითა მესტამბე მიხაილ სტეფანეშვილის (ხან სტეფანეს შვილის, ხანაც სტეფანეს ძის). უნგროვლახელისა“. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მიხეილ უნგროვლახელი ყოფილიყვეს ერთად ერთი მუშაკი სტამბისა. მას ჰყავდა მოწაფეები, რომლებიც ეხმარებოდნენ. პირველადვე დაბეჭდილს წიგნზე დართულს მიმართვაში მიხეილ უნგროვლახელი იხსენიებს თავის მოწაფეებს, როგორც თავის დამხმარებლებს:

„უკეთუ ცთომილი რაჟმე იხილოთ, სიტყვა ანუ ასო, ნუ გამჭირდავთ, რამეთუ უცხო ვიყავ ქვეყანისა ამის და უსმენელი სიტყვა-

1) ზ. ჭიჭინაძე. ქართული სტამბები 1627—1916 წ. გვ. 85.

2) იხ. „ივერია“ 1885 წ. № 10, გვ. 104.

3) იხ. А. Хаханов. Очерки по ист. гр. слов., в. III, гл. 368.



თა თქვენთა და რომელნი ჩემნი მოწაფენი იყვნენ აგრეთვე გამოუცდელნი საქმისა ამის ჩემისა. ვითარცა მე ვიყავ ქართლისა უნახავი, ეგრეთვე ჩემნი მოწაფენი სტამბისა“. უკანასკნელი ფრაზა ნიშნავს— როგორც მე ვიყავ ქართლის უნახავი, ისე ჩემი მოწაფეები სტამბის უნახავები იყვნენო. აქეთვან ჩანს, რომ მიხეილ უნგროვლახელის მოწაფეები ყოფილან ქართველები და არა ვალახიელები, როგორც ამას ფიქრობს თ. ჟორდანიას, რომელსაც თავის აზრის დასამტკიცებლად სწორედ ხსენებული ფრაზა მოჰყავს, მართალია, ცოტა დამახინჯებული. <sup>1)</sup>

1712 წლითვან უკვე აღარ იხსენიება წიგნებში მიხეილ უნგროვლახელი და მის ადგილს სხვა იჭერს სტამბაში. რასაკვირველია, შესაძლებელია მომკვდარიყვეს, მაგრამ უფრო დასაჯერებლად მიგვაჩნია, რომ ის წასულიყვეს საქართველოთვან და რომ მის წასვლის მიზეზი ყოფილიყვეს უსიამოვნება მას და ვახტანგს შორის და ამ უკანასკნელის წყრომა. ამას გვაფიქრებინებს ის მოსაზრება, რომ მის სიკვდილი ან მშვიდობიანი წასვლა საქართველოთვან არ შეიძლება არ ყოფილიყო სადმე მოხსენებული.

ვახტანგის სტამბაში<sup>2)</sup> წიგნების ბეჭდვა დაიწყო 1709 წელს და დაიბეჭდა შემდეგი წიგნები:

1709 წელს სამლოთო და სამლდელო სახარება. ტექსტის სიფართე არის  $24,8 \times 14,6$  სანტ. შეიცავს 6 აუნ.+302 ან.+2 აუნ. გვერდს. შრიფტი სხვილი ნუსხა ხუცურია. ანუსხულია გვერდობით და რვეულობით ქართული ასოებით. რვეულში 8 გვერდია. დართულია მახარებლების, ვახტანგის და სხვა წვრილი სურათები.

ამავე 1709 წ. სამლოთო და სამლდელო სამოციქულო. ტექსტის სიფართეა  $25,1 \times 16$  სანტ. შეიცავს 4 აუნ.+442 ან. გვერდს. შრიფტი სხვილი ნუსხა ხუცურია. ანუსხულია გვერდობით და რვეულობით ქართული ასოებით. რვეულში 12 გვერდია. დართულია მოციქულების, ვახტანგის, სამეფო ღერბის და სხვა წვრილი სურათები. ნახარია შავი და წითელი საღებავი.

ამავე 1709 წ. დავითნი. ეს წიგნი არ გვინახავს, მაგრამ რადგანაც 1711 წ. დავითნი მოხსენებულია ხელმეორედ დაბეჭდილად, ამიტომ გვგონია პირველად 1709 წ. უნდა იყვეს დაბეჭდილი.

1710 წ. კონდაკი. ტექსტის სიფართეა  $18,5 \times 13,1$  სანტ. შეიცავს 8 აუნ.+210 ან.+2 აუნ. გვერდს. შრიფტი სხვილი ნუსხა

<sup>1)</sup> იხ. „ივერია“ 1885 წ. № 10. გვ. 104.

<sup>2)</sup> პლატონ იოსელიანის თქმით, სტამბა მოთავსებული იყო სამეფო სასახლის გვერდით ათს ოთახში (იხ. მისი Описание древностей города Тифлиса, стр. 247).



ხუცურია. აქა-იქ ნახმარია წვრილიც. მინაბეჭდებში მხედრულიც არის ნახმარი. ანუსხულია გვერდობით და რვეულობით ქართული ასოებით. დართულია სურათები ღვთისმეტყველებისა, ვახტანგისა, სამეფო ღერბისა და სხვები. ნახმარია შავი და წითელი საღებავი.

ამავე 1710 წ. ლოცვანი. ტექსტის სიფართოა  $11,9 \times 7$  სანტ. შეიცავს 4 აუნ. + 292 (შეცდ. 291) ან. გვერდს. შრიფტი წვრილი ნუსხა ხუცურია. ანუსხულია გვერდობით და რვეულობით ქართული ასოებით. დართულია სამეფო ღერბის და სხვა სურათები.

ამავე 1710 წ. ჟამნი. ტექსტის სიფართოა  $11,8 \times 7$  სანტ. შეიცავს 8 აუნ. + 464 ან. გვერდს. შრიფტი წვრილი ნუსხა ხუცურია. ანუსხულია გვერდობით და რვეულობით ქართული ასოებით. დართულია ვახტანგის, სამეფო ღერბის, სამების და სხვა სურათები. ნახმარია შავი და წითელი საღებავი.

1711 წ. დავითნი. მეორე გამოცემა. ტექსტის სიფართოა  $16,5 \times 13$  სანტ. შეიცავს 248 + 37 გვ. შრიფტი მხედრულია. ანუსხულია გვერდობით და რვეულობით ქართული ასოებით. დართულია ვახტანგის, დავით წინასწარმეტყველის და სამეფო ღერბის სურათი.

ამავე 1711 წ. სწავლა თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლება მოწაფისა, შემოკლებით თქმული და გარიგებული გერმანე მღვდელ-მონაზონისაგან. ტექსტის სიფართოა  $12,5 \times 8,2$  სანტ. შეიცავს 311 (შეცდ. 411) გვერდს. შრიფტი მხედრულია. ანუსხულია გვერდობით და რვეულობით ქართული ასოებით. დართულია სამეფო ღერბის სურათი.

1712 წ. ვეფხისტყაოსანი. ტექსტის სიფართოა  $26,5 \times 17$  სანტ. შეიცავს 4 აუნ. + 351 ან. გვერდს. შრიფტი სხვილი მხედრულია. ანუსხულია გვერდობით და რვეულობით ქართული ასოებით. დართული აქვს სურათი ვახტანგისა და სამეფო ღერბისა.

ამავე 1712 წ. დავითნი. მესამე გამოცემა. ტექსტის სიფართოა  $11,1 \times 7$  სანტ. შეიცავს 415 გვერდს. შრიფტი საშუალო ზომის ნუსხა ხუცურია. ანუსხულია გვერდობით და რვეულობით ქართული ასოებით. დართულია ვახტანგის, დავით-წინასწარმეტყველის და სამეფო ღერბის სურათები.

1713 წ. კურთხევანი, ახლად თარგმნილი ბერძნულისაგან ქართულად კვპრიანე სამთავნელისა მიერ. ტექსტის სიფართოა  $15,8 \times 10,1$  სანტ. შეიცავს 6 აუნ. + 627 ან. გვერდს. შრიფტი საშუალო ზომის ნუსხა ხუცურია. ანუსხულია გვერდობით და რვეულობით ქართული ასოებით. რვეულში 8 გვერდია. დართულია ვახტანგის, სამეფო ღერბის და სამების სურათები.



1  
 2  
 3  
 4  
 5  
 6  
 7  
 8  
 9  
 10  
 11  
 12  
 13  
 14  
 15  
 16  
 17  
 18  
 19  
 20  
 21  
 22  
 23  
 24  
 25  
 26  
 27  
 28  
 29  
 30  
 31  
 32  
 33  
 34  
 35  
 36  
 37  
 38  
 39  
 40  
 41  
 42  
 43  
 44  
 45  
 46  
 47  
 48  
 49  
 50  
 51  
 52  
 53  
 54  
 55  
 56  
 57  
 58  
 59  
 60  
 61  
 62  
 63  
 64  
 65  
 66  
 67  
 68  
 69  
 70  
 71  
 72  
 73  
 74  
 75  
 76  
 77  
 78  
 79  
 80  
 81  
 82  
 83  
 84  
 85  
 86  
 87  
 88  
 89  
 90  
 91  
 92  
 93  
 94  
 95  
 96  
 97  
 98  
 99  
 100

1  
 2  
 3  
 4  
 5  
 6  
 7  
 8  
 9  
 10  
 11  
 12  
 13  
 14  
 15  
 16  
 17  
 18  
 19  
 20  
 21  
 22  
 23  
 24  
 25  
 26  
 27  
 28  
 29  
 30  
 31  
 32  
 33  
 34  
 35  
 36  
 37  
 38  
 39  
 40  
 41  
 42  
 43  
 44  
 45  
 46  
 47  
 48  
 49  
 50  
 51  
 52  
 53  
 54  
 55  
 56  
 57  
 58  
 59  
 60  
 61  
 62  
 63  
 64  
 65  
 66  
 67  
 68  
 69  
 70  
 71  
 72  
 73  
 74  
 75  
 76  
 77  
 78  
 79  
 80  
 81  
 82  
 83  
 84  
 85  
 86  
 87  
 88  
 89  
 90  
 91  
 92  
 93  
 94  
 95  
 96  
 97  
 98  
 99  
 100

1  
 2  
 3  
 4  
 5  
 6  
 7  
 8  
 9  
 10  
 11  
 12  
 13  
 14  
 15  
 16  
 17  
 18  
 19  
 20  
 21  
 22  
 23  
 24  
 25  
 26  
 27  
 28  
 29  
 30  
 31  
 32  
 33  
 34  
 35  
 36  
 37  
 38  
 39  
 40  
 41  
 42  
 43  
 44  
 45  
 46  
 47  
 48  
 49  
 50  
 51  
 52  
 53  
 54  
 55  
 56  
 57  
 58  
 59  
 60  
 61  
 62  
 63  
 64  
 65  
 66  
 67  
 68  
 69  
 70  
 71  
 72  
 73  
 74  
 75  
 76  
 77  
 78  
 79  
 80  
 81  
 82  
 83  
 84  
 85  
 86  
 87  
 88  
 89  
 90  
 91  
 92  
 93  
 94  
 95  
 96  
 97  
 98  
 99  
 100

1  
 2  
 3  
 4  
 5  
 6  
 7  
 8  
 9  
 10  
 11  
 12  
 13  
 14  
 15  
 16  
 17  
 18  
 19  
 20  
 21  
 22  
 23  
 24  
 25  
 26  
 27  
 28  
 29  
 30  
 31  
 32  
 33  
 34  
 35  
 36  
 37  
 38  
 39  
 40  
 41  
 42  
 43  
 44  
 45  
 46  
 47  
 48  
 49  
 50  
 51  
 52  
 53  
 54  
 55  
 56  
 57  
 58  
 59  
 60  
 61  
 62  
 63  
 64  
 65  
 66  
 67  
 68  
 69  
 70  
 71  
 72  
 73  
 74  
 75  
 76  
 77  
 78  
 79  
 80  
 81  
 82  
 83  
 84  
 85  
 86  
 87  
 88  
 89  
 90  
 91  
 92  
 93  
 94  
 95  
 96  
 97  
 98  
 99  
 100

დავითნი, ტფილისი 1711 წ. მეორე და მესამე გვერდი. დაბატარაგებულთა 1/2-ად.

1714, 1715 და 1716 წლებში შეჩერდა სტამბის მუშაობა, რადგან ამ წლებში სამეფო ტახტი ეჭირა ვახტანგის ძმას იესეს, გამაჰმადიანებულს, ვახტანგი კი სპარსეთში იმყოფებოდა. წიგნების ბეჭდვა განახლდა მხოლოდ მაშინ, როდესაც ქართლის ტახტი დაიჭირა დროებით, ვახტანგის სპარსეთითგან დაბრუნებამდე, მისმა შვილმა ბაქარმა, და დაიბეჭდა:

1717 წ. ჟამნი. მეორე გამოცემა. ტექსტის სიფართოეა  $11,8 \times 7$  სანტ. შეიცავს 8 აუნ. + 464 ან. გვერდს. შრიფტი წვრილი ნუსხა ხუცურია. ანუსხულია გვერდობით და რვეულობით ქართული ასოებით. დართული აქვს ვახტანგის, სამეფო ღერბის და სხვა სურათები. ნახმარია შავი და წითელი საღებავი.

ამავე 1717 წ. ლოცვანი. მეორე გამოცემა. ტექსტის სიფართოეა  $11,8 \times 7$  სანტ. შეიცავს 4 აუნ. + 292 (შეცდ. 291) ან. გვერდს. შრიფტი წვრილი ნუსხა ხუცურია. ანუსხულია გვერდობით და რვეულობით ქართული ასოებით. დართულია სამეფო ღერბის და იესო ქრისტეს სურათი.

1719 წ. წესი ეკლესიის კურთხევისა. ტექსტის სიფართოეა  $18,5 \times 13$  სანტ. შეიცავს 79 გვერდს. შრიფტი სხვილი ნუსხა ხუცურია. ანუსხულია გვერდობით და რვეულობით ქართული ასოებით. რვეულს აქვს 8 გვერდი. დართულია სამეფოს სურათი. ბეჭდვა გათავებულია 1720 წლის დასაწყისში.

1720 წ. პარაკლიტონი. ტექსტის სიფართოეა  $26,7 \times 17$  სანტ. შეიცავს 4 აუნ. + 456 (შეცდ. 453) ან. გვერდს. შრიფტი საშუალო ზომის ნუსხა ხუცურია. ანუსხულია გვერდობით და რვეულობით ქართული ასოებით. რვეულს აქვს 8 გვერდი. ნახმარია შავი და წითელი საღებავი. დართულია ვახტანგის და სამეფო ღერბის სურათი.

1721 წ. ქმნულების ცოდნა, სპარსულისაგან ქართულად თარგმნილი მეფეთმეფის ვახტანგისაგან. ტექსტის სიფართოეა  $17,5 \times 11$  სანტ. შეიცავს 4 აუნ. + 148 ან. გვ. შრიფტი მხედრულია, მხოლოდ თავწარწერა და სათაურები ხუცურია. ანუსხულია რვეულობით თავითგანვე და გვერდობით მესამე ფურცლითგან ქართული ასოებით. რვეულში არის 8 გვერდი. დართულია სამეფო ღერბი.<sup>1)</sup>

1722 წ. ჟამნი. ტექსტის სიფართოეა  $12,8 \times 7,3$ . შრიფტი სხვილი მხედრულია, მხოლოდ ალაგ-ალაგ წვრილია. შეიცავს 336

1) ქმნულების ცოდნის ტექსტში დატოვებულია 21 თავისუფალი ადგილი სხვა და სხვა ნახაზებისათვის. ეს ადგილები ზოგიერთ ცალში შევსებულია ხელით ნახაზი ნაკვთებით.

გვერდს. ანუსხულია რვეულობით ქართული ასოებით. დართულია სამეფო ღერბი ერთს ლომზე დაყრდნობილი. შემკულია სურათებით.

ვახტანგის სტამბაში დაბეჭდილი სხვა რომელიმე წიგნი ჩვენ არ გვინახავს. არის მხოლოდ ერთი სანდო ცნობა ბაქარისა, აღნიშნული მოსკოვში 1743 წ. დაბეჭდილის დაბადების წინასიტყვაობაში, რომ ვახტანგს დაუბეჭდია მცირე საწინასწარმეტყველონი.<sup>1)</sup> თ. ჟორდანიას ემოწმება ამას და ამბობს, მე თვითონ მინახავს საწინასწარმეტყველო, კვიპრიანე სამთავენელის გასწორებულიო.<sup>2)</sup> ამას გარდა თ. ჟორდანიას იმასაც ამბობს, ვითომ ვახტანგის სტამბაში დაბეჭდილიყვნენ დაბადების ზოგიერთი სხვა ნაწილებიც, მაგალ., ხუთი წიგნი მოსესი, მსაჯულთა და რუთისა.<sup>3)</sup>

ზ. ჭიჭინაძე და გ. შანშიევი მოიხსენებენ კიდევ რავდენსამე წიგნს, როგორც ვახტანგის სტამბაში დაბეჭდილებს, პირველის თქმით ეს წიგნები არიან: დაუჯდომელი (1709 წ.), ზადიკი (1709 წ.), სახარება (1710 წ.), ლოცვის წიგნი ანბანით (1712 წ.), ვახტანგ მეფის სამართლის ზოგიერთი მუხლები (1712 წ.), მეორის თქმით—პედაგოგია, შედგენილი მიხეილ სტეფანოვიჩის მიერ (1711 წ.), ანბანი (1712 წ.), ყრმათა უბნობა, ქმნილი დომენტი კათოლიკოზისა (1722 წ.).

ზ. ჭიჭინაძის ცნობა დაუჯდომელის დაბეჭდვის შესახებ 1709 წ. დასტურდება თ. ჟორდანიას მიერ, რომელიც ამბობს, რომ მას უნახავს დაუჯდომელი,<sup>4)</sup> დაბეჭდილი ქაინოსროს მეფობაში (1709—1712 წ.). მისავე თქმას, რომ 1712 წ. დაბეჭდილა ლოცვის წიგნი ანბანით, ეთანხმება გ. შანშიევის მოწმობა იმავე წელს ანბანის დაბეჭდვის შესახებ. ამიტომ ეს ორი წიგნი—დაუჯდომელი და ლოცვანი ანბანითურთ უნდა ვცნოთ ნამდვილად აღნიშნულ წლებში დაბეჭდილებად. ხოლო რაც შეეხება გ. შანშიევისგან მოხსენებულს დანარჩენს ორს წიგნს, უნდა ითქვას, რომ აღნიშნული წიგნები არიან ნაყოფნი არა-სვინდიესიერად მუშაობისა კატალოგის შედგენის დროს. პედაგოგია, შედგენილი მიხეილ სტეფანოვიჩის მიერ, არის გერმანე მღვდელ-მონაზო-


<sup>1)</sup> ტფილისში დაბეჭდილი საწინასწარმეტყველო მოხსენებულია აგრეთვე მოსკოვში 1741 წ. დაბეჭდილის მარხვის ბოლოსიტყვაობაში.

<sup>2)</sup> იხ. „ივერია“ 1885 წ. № 10. მოკლე ისტორიული გამოკვლევა, გვ. 109.

<sup>3)</sup> იხ. „ივერია“ 1884 წ. № 2. მთავარ-ეპისკოპოსის იოსებ სამებელი, გვ. 48.

<sup>4)</sup> პლ. იოსელიანის თქმით, 1710 წ. ყოფილა დაბეჭდილი დაუჯდომელი. შესაძლებელია, რომ თ. ჟორდანიას სწორედ ამ წელს დაბეჭდილი დაუჯდომელი ენახოს (П. Иоселиани. Опис. древн. гор. Тифлиса, стр. 181).

ნის მიერ შედგენილი და 1711 წ. დაბეჭდილი წიგნი სწავლა თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლება მოწაფისა. მესტამბე მიხეილ სტეფანეს ძე უნგროვლახელი, რომელიც მოხსენებულია ამ



ვეფხისტყაოსანი. ტფილისი, 1712 წ. თავწარწერა.  
 დაბატარავებულია 1/4-ით.

წიგნის თავწარწერაში, შანშიევს ავტორად მოსჩვენებია, ხოლო წიგნის სახელი რუსულად სიმოკლისათვის პედაგოგიად გადაუთარგმნია, შემდეგ თავის რუსულად შედგენილის მაჩვენებელის ქართულად თარგმნის დროს ქართული წიგნის სახელი რუსულს, მის

განვე შეთხზულის, სახელის მიხედვით გადმოუღია. მეორე წიგნი — ყრმათა უბნობა, ქმნილი დომენტი კათოლიკოზისა, არის იმავე კათოლიკოზის 1719 წ. გამოცემული წესი ეკლესიის კურთხევისა. შანშიევს თვალი მოუკრავს ამ წიგნის პირველს გვერდზე დაბეჭდილის პირველი სტრიქონებისთვის, სადაც სწერია: „დომენტი... კათოლიკოზი მცხეთის... გასწავებ ყოველთა შვილთა ეკლესიისა ჩემისათა...“ და გადაუწყვეტია ამ წიგნის სახელი Детские рассказы იყვესო და ასეც შეუტანია მაჩვენებელში, თან დაბეჭდვის წლად რატომღაც 1722 აუნიშნია 1719-ის ნაცვლად. მაჩვენებლის ქართულად თარგმნის დროს Детские рассказы ყრმათა უბნობად უთარგმნიათ.

ვახტანგ მეფეს, როგორც ვიცით, ცუდად წაუვიდა საქმე. 1723 წ. ოსმალები შემოესივნენ ქართლს და დაიჭირეს ტფილისი. ვახტანგი იძულებული იყო ჯერ გადახიზნულიყო იმერეთს, შემდეგ 1724 წ. წასულიყო რუსეთს რუსხელმწიფისთვის დახმარების სათხოვნელად. ქართლში ჩამოვარდა დიდი არევა-დარევა. რამდენიმე ხნის შემდეგ სპარსელებმა ოსმალები განდევნეს ტფილისითგან და თითონ გაბატონდნენ ქართლში. წიგნების ბეჭდვისათვის აღარავინ ზრუნავდა. ამით უნდა აიხსნას ის მოვლენა, რომ ჩვენ არ შეგვხვედრია არსად 1723-1748 წლებში დაბეჭდილი წიგნები. ვახტანგის სტამბა ამ ხნის განმავლობაში წახდა; დაიქსაქსა და დაიკარგა ზოგიერთი მისი ნაწილები, ასე რომ, როდესაც 1744 წ. ქართლში და კახეთში გამეფდნენ თეიმურაზი და მისი შვილი ერეკლე, წიგნების ბეჭდვის დიდად თანამგრძობნი, უცებ ვერ მოხერხდა სტამბის განახლება და მხოლოდ 1749 წ. შეიქნა შესაძლებელი სტამბის ამუშავება უმთავრესად ერეკლე მეფის მეცადინეობით.

გ. შანშიევს მაინც აქვს აღნიშნული თავის მაჩვენებელში რავედენიმე წიგნი, რომელნიც ვითომ დაბეჭდილნი ყოფილან ამ ხნის განმავლობაში, სახელდობრ: 1. დაუჯდომელი, დაბეჭდილი ბესარიონ კათოლიკოზის მმართველობით (1730 წ.); 2. ხუცურ-მხედრული ანბანი, მესამედ დაბეჭდილი და ხელახლავ განმართულ-გაწყობილი იოსებ ეპისკოპოზისაგან (1736 წ.); 3. ქადაგებანი ზოგიერთ უწარჩინებულ (ეს) ქართველთა მქადაგებელთა, დაბეჭდილი მეფის თეიმურაზის საფასით (1740 წ.); 4. აიათი, დაბეჭდილი საქართველოს სამეფოს ფულით (1741 წ.); 5. სპარსულისაგან თარგმნილი გეოგრაფიული თხზულება ვახტანგ მეფისა (1741 წ.); 6. ანბანი ლოცვებით და სხვა საეკლესიო კითხვა-მიგებით გამოცემუ-



	რპლ.
ძენციენის ენთმინერტსა : ცამრავონის ცრემლოთა ლეონა	5 00
გოცენს ჭეცაუხლოდეს : მათ ორთავე მათნა წვა	5 00
გაიყარნეს გაუყარელონ : მძალ ფიცი ღევიან შმა	5 00
ღ: ფრილონ ღაღტა უმა წაიღა : შეშეღეღელოთ შეგლეღოთ ტან	00



წასვლია ავთანდილისაგან ფრილონიღამ ნესტანდარეგვანის სამსაღობი.

უმა მიმავალი მიუბნოხს : შუტაესი მთვარისა სრული	5 00	ნიქ.
აქს თინათინის გონება : მისალ საჯინებლოდ გული	5 00	
აგუყს მგმრდი სიკრუეე : ვარ საწყოთროსა კრული	5 00	
ღ: შინ გაჭეს წამალი ნუხისა : მამრთელიბელი წელიწადი	5 00	
რახიციე გულსა ნიადაგ : შწავს გვირთა სამსაღობი	5 00	ნიქ
რად გული კლინსა ტინისა : შეშენი სამსაღობი	5 00	
რე შეუქლითა ლახვარსა : ღაჩენა სამსაღობი	5 00	
ღ: შენსარ მინევი სოფლისა : ასრე გასამსაღობი	5 00	
ავთანდილმარტო ზღვის პირსა : მივა ოთხითა შნო	00 00	ნიქ
წამალსა ტარიელისსა : ეგებს ყოვლისა ღონი	00 00	
ღისით ღღამით მტირალი : იღვრების ცრემლოთა ფონით	00 00	
ღ: ნაღობდ უხს ფოვლო ქვეყანა : მისეე ნაღისა წონი	00 00	
სადაცა ნახს ეუბნის : მიხაერი ზღვის პირსა რებული	5 00	ნიქ
ქეთისის მის მხისა ამბავი : ღღენი ვინა გასეზული	5 00	
ქელსა ტარდადტეს აქლომნი : აუნდეს ღარ კიდებული	5 00	
ღ: მქარაენენი ზღვის პირსა : დაყრით ღტეს შეჭინევეზული	00 00	

ავთანდილის ტყაოსანი, ტფილისი, 1712 წ. გვერ. 187. დაპატარავებულია 2/3-ით.

ლი ტრიფილე არხიმანდრიტის მიერ (1741 წ.); 7. ქადაგებანი ანტონ კათოლიკოზისა (1742 წ.); 8. საეკლესიო წესები, დაბეჭდილნი ოსურსა და ქართულსა ენაზედ სამეფო ხარჯით (1750 წელს).

აქ დასახელებულ წიგნთაგან აიათი არის ის წიგნი, რომელიც იწოდება ქმნულების ცოდნად და დაბეჭდა ვახტანგის დროს 1721 წ. მეორე წიგნი—სპარსულისაგან თარგმნილი გეოგრაფიული თხზულება ვახტანგ მეფისა იგივე ქმნულების ცოდნაა. მესამე წიგნი—ანბანი ლოცვებით და სხვა საეკლესიო კითხვა-მიგებით, გამოცემული ტრიფილე არხიმანდრიტის მიერ, შეუძლებელია დაბეჭდილი იყვეს 1741 წ., რადგან ტრიფილე 1783 წ. ჯერ კიდევ არ იყო არქიმანდრიტად. ამ წელს იგი იხსენიება მხოლოდ ილუმენად. მეოთხე წიგნი—ქადაგებანი ანტონ კათოლიკოზისა დაბეჭდილია 1751 წ. და არა 1742 წ. მეხუთე წიგნი—ხუცურ-მხედრული ანბანი იოსებ ეპისკოპოზისა გვეგონია უნდა იყვეს იოსებ სამეხელის ანბანი და დაბეჭდილი იყვეს მოსკოვში. საეჭვოდ მიგვაჩნია, რომ ამ დროს იყვნენ დაბეჭდილნი ქადაგებანი ზოგიერთ უწარჩინებულესთ ქართველთ მქადაგებელთა და საეკლესიო წესები ოსურს და ქართულს ენაზე. რაიცა შეეხება დაუჯდომელს შეუძლებლად არ მიგვაჩნია მისი დაბეჭდვა, რადგან ამისთვის საჭირო არ იქნებოდა არც ბევრი ასია და არც კარგი დაზგა.

ვახტანგის სტამბაში დაბეჭდილს წიგნებს აქვსთ ჩვეულებრივ ვრცელი თავწარწერა, რომელშიც წიგნის სახელის შემდეგ მოხსენებულია რომელი გამოცემაა, რომელი მეფის დროს და ვის წარსაგებელით არის დაბეჭდილი, ვისი გამართულია და რომელი მესტამბის ნაშრომია, სად და როდის არის წიგნი დაბეჭდილი. დაბეჭდვის წელიწადი ქრისტიანულის აღრიცხვით არის აღნიშნული, მაგრამ ხშირად ქრისტიანულთან ერთად ბიბლიური და ქართული ქორონიკონელი აღრიცხვითაც არის ხოლმე. მაგალ., 1709 წ. დაბეჭდილს სახარებას ასეთი თავწარწერა აქვს:

„სამლოთ და სამღდელო სახარება. აწ ახალი და პირველი დაბეჭდილი ქართულს ენაზედა. ჟამსა ამაღლებულისა და სახელოვანის საქართველოს მეფისა, უფლისა გიორგისა იესიან დავითიან სოლომონიანისა, შრომითა ფრიადითა და წარგებითა საფასეთათა მართლმადიდებლისა და განათლებულისა საქართველოს განმგებელისა ბატონიშვილისა თვით უფლისა ვახტანგ ლევანის ძისათა. გაიმართა წმიდაჲ ესე კელითა, ნიკოლოზ მღდელ-მონაზონისა ორბელისშვილი-

სევა ერთი მათგანზე არს : ჭ საქართველოთ შინაჟრო  
 უნის მიტოვრთაგან შინაჟრობულ იყო ჭ არღარა და  
 შინაჟრობა იყო ქართულთა ენასა სეუღ სწავლა ესე  
 თუილასოთუთა : ჭ სსვათა უნისა უკუნი ქართველოთა  
 ეკიცხო ღენ : ჭ აწ შე შეუყუშან შეფეთაშან ვასტანტეს  
 სპარსულთი აიბთი რთა შელო არს ქმნულთების ცოლნი  
 ის წიგნი : ზიფთი თაჟრო მასალო ჭ სსვა ი შეუბის წი  
 გნები ვთარგმნუ : შინაჟრო აბდურჩისა თაჟრონიშულთი  
 წიგნის უთახვითა ჭ თანა შეწეფნითა : ჭ სტროლოთ  
 ბიუ ქართულთად გაშვილთ : ნუ სუკუე ისწავონ და  
 წადიერ იყენენ თუილასოთუთასა ბისად : ჭ ინებონ  
 ჭ შეასრულონ ქართულთისა ენათა თუილასოთუთასა  
 ჭ გაშვილონ : ჭ რეშთვისა ც შენდობის შექნე ვარ  
 რამე თუ სსქეთაგან საცხაურარს ვითარმედ შინაჟ  
 ღონი ტინანი შინასვან ამე წიგნთა სეუღ : ჭ არცა თუ  
 შეფო ბისა შესსურება ჭ შეკოიეს :



8 5

სათა. კელითა მესტამბე მიხაილ სტეფანეშვილისა უნგროვლახელისა ქალაქსა ტვილისისასა. ქორონიკონსა ქრისტეს აქეთ ათასშვიდას და ცხრასა“.

ხშირად წიგნს დართული აქვს შენიშვნა თვით ვახტანგისა იმის მაუწყებელი, რომ მოიყვანა მესტამბე ვლახეთით და გააკეთა სტანბა.

ხანდახან ეს მესტამბე, მიხაილ უნგროვლახელი, თითონაც ურთავს წიგნს მიმართვას. მაგალ., 1710 წ. დაბეჭდილს კონდაკს დართული აქვს მისი მიმართვა სამღვდელო პირთადმი სათაურით Prooimion (შესავალი), რომელშიაც სხვათა შორის სწერია: „გვედრები ყოველთავე, რა ჟამს სწირევდეთ და იმსახურებდეთ წიგნითა ამით უსისხლოთა მსხვერპლთა ზედა, კსენებასა ჰყოფდეთ და ილოცვიდეთ სიმართლისა და ცხოვრებისათვის ამის საფასეთა წარმგებელისათვის და გამმართველისა და დამბეჭდველისათვის და უკეთუ იხილოთ რამე სიმრუდე და ნაკლულეფანება სიტყვათა ანუ ასოთა, სიმშვიდით გამართვედით და ჩვენთვის ძვირს ნუ ზრახავთ, რამეთუ ვითარცა ვერვის ძალუც ცისა ხილვად უკეთუ კინოდენცა არ იპოვბოდეს ღრუბელი, ვერეთვე ვერ ძალუც კაცობრივსა კელსა საქმედ თვინიერ ცდომილებისა რასამე და ცოცხლებითამც ხართ, თქვენი სულიერი შვილი მესტამბე მიხაილ სტეფანეშვილი უნგროვლახელი“.

წიგნის გამმართველი, შემდგენელი თუ მთარგმნელი ხშირად ურთავდა თავის შრომის შესახებ უწყებას. მაგალ., 1709 წ. დაბეჭდილს სახარებას აქვს დართული შემდეგი უწყება:

„ოდეს განაგებდა საქართველოს ძმისწული კეთილმორწმუნის მეფის არჩილისა და სახელოვანის მეფის გიორგისა და ძე ლევანისა ღვთის მოყვარე განათლებული ვახტანგ, იგულსმოდგინა და მოილო სტამბა ვლახეთით, რომელ აროდეს ყოფილიყო საქართველოში და კელით წერაში ჩვენი საღმთონი წერილნი გარყვნილიყო და მე დედის ძმისწულსა ამა მეფეთასა და მოსამართლეთ უხუცესის ორბელის ძეს ცოდვილს მღვდელ-მონაზონს ნიკოლაოზს მიბრძანა წიგნების გასწორება და ვერ ურჩ ვექმენ და ეს წმიდა სახარება დიდის ღირითა ბერძენთა და ბეჭდის სახარებათა შემოწმებითა სიტყვა და ასო მეტნაკლები გავმართე და ეს საძიებელი არც ერთს ენაში არ იყო, სიადვილისა და ადრე ჰოვნისათვის, ახლა მე გავაკეთე“.

ვახტანგი თავის მიერ გადათარგმნის წიგნს ქმნულების ცოდნას ურთავს უწყებას, რომელშიც სხვათა შორის ამბობს:

„საქართველო მრავალგზის მოოკრებულ იყო და არღარა დაშთომილ იყო ქართულსა ენასა ზედა სწავლა ესე ფილასოფთა და სხვა-

თა ენისა კაცნი ქართველთა ეკიცხოდენ. და აწ მე მეფემან მეფეთა-  
მან ვახტანგ ეს სპარსული აიათი, რომელ არს ქმნულების ცოდნის  
წიგნი—ზიჯი თალა მასალა და სხვა ოქმების წიგნები ვთარგმნე მირზა  
აბდურზა თავრიზელის წიგნის კითხვითა და თანა შეწევნითა და  
სტროლაბიც ქართულად გამოვიღე, ნუ უკუე ისწავონ და წადი-  
ერ იყვნენ ფილოსოფოსობისად და ინებონ და შეასრულონ ქართუ-  
ლისა ენითა ფილოსოფოსობა და გამოილონ და ჩემთვისაც შენდობის  
მოქენე ვარ, რამეთუ საქმეთაგან საცნაურარს ვითარმედ მრავალნი  
ჭირნი მინახავან ამა წიგნთა ზედა და არცა თუ მეფობისა მსახუ-  
რება დამიკლიეს“.

ხშირად მესტამბე და საზოგადოდ სტამბის მუშაკები ურთავენ  
წიგნს ბოდიშს შეცდომებისათვის შენდობის თხოვნით, როგორც,  
მაგალითად, მიხეილ უნგროვლახელი მიმართავს მკითხველთ: „გვეფ-  
დრები თქვენ ყოველთა, დიდთა და მცირეთა, უკეთუ ცთომილი რა-  
ჲმე იხილოთ, სიტყვა ანუ ასო, ნუ გამქირდავთ“.

ზოგიერთს წიგნში, მაგალ., 1712 წ. დაბეჭდილს ვეფხისტ-  
ყაოსანში, ლერბის სურათის შემდეგ მოთავსებულია გრძელ-  
ლი ლექსი, რომელშიც ახსნილია ლერბის შემადგენელი საგნების მნი-  
შენლობა. ამ ლექსის უკანასკნელი ოთხი სტრიქონი ასეთია:

„სტამბას ბეჭდევდენ ფრანგნი და რუსნი და მერე ვლახელნი,  
„აქ არსად იყო აროდეს, ვერ ვპოვეთ მისნი მნახველნი,  
„გიორგის მეფობაშიგან ვახტანგ აკვირვა მსახველნი,  
„და ეს ბეჭდა ხოსრო მეფის ზე, გაცუდდენ ყოვლნი მჩმახველნი.

ამას გარდა წიგნებზე დართულია სხვადასხვა ლექსები, რომ-  
ლებშიც გამოთქმულია სტამბის მუშაკთა სიხარულის გრძობა, წიგ-  
ნის დაბეჭდვით გამოწვეული. მაგალ., 1710 წ. დაბეჭდილს კონ-  
დაკში მოთავსებულია ლექსი:

„ვითარც უცხონი იხარებენ ხილვასა ზედა თვისთა სამკვი-  
დრებელთასა  
და ზღვათა შინა მავალნი ხილვასა ზედა ნავთსაყუდელთასა,  
ეგრეცა მესტამბენი იხარებენ განსრულებასა ზედა წიგნთასა.

1711 წ. დაბეჭდილს დავითნი ში მოთავსებულია ლექსი:


ნავთსაყუდელსა მენავე, რა მივლენ, განისვენებენ,  
მოყვასთა თვისთა ნახვა სწადს, მათ ისვენებენ,  
ჭირთ მყოფნი ლხინსა შესრულნი მას აღარ მოისვენებენ,  
რა ბეჭდვა მბეჭდავს უსრულდეს, თავსა არ შეიჩვენებენ.

### ცნობილი:

ქგ:

ვიღბაღოს შემაღლებასე იქნება ორმ ცქ ექვს მენაე  
საღნასევა რსეღ იმდროს ცის ქმნულგება ამ სახით

იქნება: ღსუროსე ცა  
ასე იდგეს მეცხრე ცის  
სიარულოთა სასწორისა  
ღსორიანკულის რიცხვი  
სწორად ამეაღ ვერძისა  
ღსურათსი სწორად ხა  
ფაღ რაეც სასწორის რი  
ცხვი შესაფიბულოას



აღმსრულოღმ სწორებით იქნება სამსრუთხუასლოთ. იქნ  
ებას: ღსრომეღიოც სასწორის უკანა რიცხვა წინასა  
გან უფრო ასლო იქნებას: რაეც ვერძის რიცხვი უფს  
აეებულოის აღმსაფლოღმ სწორიქნება რდილოთხე მ  
სლოთებით იქნება: ღსუკანა ვერძის რიცხვი წინასა  
ან უფრო ასლო იქნება რდილოთხე: ღსამეუ რიგით  
ღსორიანკულისა ღსურათს რიცხვის სიშრე აღმსაფლო  
თისა სამსრისაკენ: ღსსიშორე ღსაფლოეთისა რდილო  
საკენ მოემატება: როდისაე აღმოსაფლოის რიგი  
პირველის მძვილოდოსანსე შივა: სიშორე აღმო  
საფლო

ქმნულების ცოდნა. ტფილისი, 1721 წ. გვერ. 93.  
ნახაზი შესრულებულია ხელით, წითელი მელნით. დაბატარავებულია 2/3-ით.

არა მარტო ქართულად გამოთქმული ლექსებია მოთავსებული ვახტანგის სტამბაში დაბეჭდილი წიგნების თავსა თუ ბოლოში. მიხეილ უნგროვლახელს თავის სამშობლო რუმანულს და ბერძნულს ენაზედ გამოთქმული ლექსებიც კი მოუთავსებია, რუმანული სიტყვები ქართული ასოებით დაბეჭდილები, ბერძნული სიტყვები კი ბერძნული ასოებით, რომლებიც, ცხადია, მისივე გაკეთებულები იქნებოდნენ.

აი. 1710 წ. დაბეჭდილი კონდაკის ბოლოში მოთავსებული რუმანული ლექსი, რომელშიც გამოთქმულია იგივე სიხარულის გრძნობა, რომელსაც სტამბის მუშაკები განიცდიდნენ წიგნის ბეჭდვის გათავებისაგან:

პრეკუმ ჩეი სტრეინი დორესკ მოშია სეშვაზე  
კინდსინტ ინტრალტე ცარე დენუპოტ სეშაზე  
ში კაჩეი ჩეს პრე მარე ბატუწ დე ფურთუნა  
ში როაგა პრე დუმენეზეუ დე ლინიშტე ბუნა  
აშა ში ტიპოგრაფი და კერციე სფერში რე  
ლაუდა ნენჩეტატა დაუ ში მულცემი რე.

მოვიყვანთ ორ სტრიქონიანს ბერძნულს ლექსსაც 1710 წ. კონდაკითგანვე:

თეოჯ დიდონტოს ოვდენ იქვეი ფთონოს  
კაი მს დიდონტოს ოვდენ იქვეი კოპოს.

ასეთის ლექსების მოთავსება წიგნების თავსა და ბოლოში უწინდელს დროში ჩვეულებრივი იყო, რადგან სტამბის მუშაკები დიდის მოწიწებით და სიყვარულით ეკიდებოდნენ თავიანთ საქმეს და გულწრფელად ხარობდნენ თავიანთ შრომის კარგად და წარმატებით გათავებით. მიხეილ უნგროვლახელმა ასეთი ლექსების ისე როგორც მკითხველთადმი მიმართვების წიგნებზე დართვა ჩვეულებად შემოიღო საქართველოში. ქართველი სტამბის მუშაკები თითონაც სთხზავდნენ მსგავსს ლექსებს და მიმართვებს.

1712 წ. დაბეჭდილს ვეფხის ტყაოსანში (გვ. სპვ) მოთავსებულია ლექსი:

აწ დაიბეჭდა სტამბაში პირველ ნაწერი ხელისა,  
უგბილთა ფრიად სასწავლო, გონიერთ გულთა თმენისა,  
მეფის ვახტანგის ბრძანებით და სიბრძნით კეთილმქნელისა,  
და ნაღვაწი მისის მლოცველის მესტამბე მიქაელისა.  
დაესრულა ესე წიგნი ქორონიკონს უნსა სმულსა,  
ყველაკასა უხაროდა—რიტორსა და კმა-უსულსა.  
სამღვთოა და საეროცა, ვისაცა აქვს სმენა გულსა,  
უსწავლელსა სიბრძნეს მისცემს, გონიერსა გულს უსრულსა.

1721 წ. გამოცემულს წიგნში (ქმნულების ცოდნაში) მოთავსებულია ლექსი:

მენავე დელვაგემული განეროს ზღვისა წყრომასა,  
გალატონი და ხურონი, რა მორჩნენ თვისსა შრომასა,  
მათ სიხარულსა ვინ დასთვლის ანუ შვებისა ზომასა,  
და მესტამბე მათგან უაღრეს იქს სიხარულის ნდომასა.

1717 წ. დაბეჭდილს ჟამნში მესტამბე გიორგი მხატვარი ათავსებს თავის მიერ ხელმოწერილს მკითხველთადმი მიმართვას, რომელიც არის მიხეილ უნგროვლახელის მიერ შეთხზული და 1710 წ. დაბეჭდილს ჟამნში მოთავსებული. ამ მიმართვაში შეტყვევლელად დატოვებულია ფრაზები: „ახლად დაგვიბეჭდავს თქვენ ქართველთა ენასა ზედა“ და „იღვაწა შესამკობელად სამკვიდრებელისა და ნათესავისა თქვენისა“, რომელნიც, თუ შეეფერებოდნენ მიხეილ უნგროვლახელს, როგორც უცხოელს, არა-ქართველს, სრულებით არ შეეფერებოდნენ გიორგი მხატვარს, როგორც საქართველოს მკვიდრს, ქართველს.

სამეფო ღერბის და ვახტანგის სურათის გარდა ვახტანგის სტამბაში დაბეჭდილს წიგნებს ხშირად აქვსთ დართული ტექსტები სხვადასხვა სურათები და სამკობელები. სამკობელადვე იხმარებიან ხშირად ოთხკუთხში მოთავსებული დიდი ასომთავრულები ყვავილებით ან ცხოველთა და ადამიანთა სურათებით მოხატულს ადგილზე.

ვახტანგის სტამბაში დაბეჭდილ წიგნებზე დართულს შენიშვნებსა და მიმართვებში მოხსენებულნი არიან ბეჭდვის ორნაირი მუშაკები: გამმართველები და მესტამბეები. გამმართველი ანუ გამსწორებელი ასრულებდა კორექტორის და ხან რედაქტორის საქმეს, მესტამბე კი ყოველნაირს წიგნის ბეჭდვისთვის საჭირო ტექნიკურს მუშაობას. გამმართველებად სხვადასხვა წლებში ჩანან შემდეგი პირები: 1. ნიკოლოზ ორბელიშვილი, ჯერ მღვდელ-მონაზონი, შემდეგ მროველ ეპისკოპოსი (1709, 1710, 1720, 1721 და 1722 წ.), 2. გერმანე მღვდელ-მონაზონი (1710 და 1711 წ.), 3. გაბრიელ, სიონის დეკანოზის შვილი (1711 წ.), 4. მიქელ, კარის დეკანოზის შვილი (1712 წ.), 5. კვიპრიანე, სამთავნელ ეპისკოპოსი (1713 და 1719 წ.), 6. გარსევან-ყოფილი მღვდელი გაბრიელი (1717 წ.). მესტამბეებად ჩანან შემდეგი პირები: 1. მიხაილ სტეფანეს შვილი უნგროვლახელი (1709, 1710 და 1711 წ.), 2. მიქელ, კარის დეკანოზის შვილი (1712 და 1713 წ.), 3. გარსევან-ყოფილი მღვდელი გაბრიელი (1717, 1719 და



1722 წ.), 4. გიორგი მხატვარი (1717 და 1720 წ.), 5. ნიკოლოზ ორბელიანი, მროველ ეპისკოპოსი (1721 წ.).

როგორც ამ სიითგან ჩანს, ხშირად გამმართველი მესტამბის საქმესაც ასრულებდა, ხოლო მესტამბე გამმართველის საქმესაც.

როგორც ვსთქვით, ვახტანგის შემდეგ ტფილისის სტამბის მოქმედება შეჩერებული იყო თეიმურაზისა და ერეკლეს გამეფებამდე ქართლსა და კახეთში. სტამბა ისე დაზიანებული იყო, რომ მისი ამუშავება გაუახლებლად შეუძლებელი იყო. სტამბის გაახლება თავს იდვა ერეკლემ და კიდევაც გაახლა. გაახლებულმა სტამბამ მოქმედება დაიწყო მხოლოდ 1749 წ. რადგან ერეკლე იყო უმთავრესად სტამბისთვის მზრუნავი და მის მეცადინეობით გაახლდა, ამიტომ ამ სტამბას მე ვუწოდებ ერეკლეს სტამბას.

ერეკლეს სტამბაში დაიბეჭდა შემდეგი წიგნები:

1749 წ. ლოცვანი. ტექსტის სიფართოეა 11,1×6 სანტ. არა ჩანს რავდენს გვერდს შეიცავს, რადგან ამ წიგნისა შენახულია ერთად ერთი ფურცელი<sup>1)</sup>. მართალია, ეს ფურცელი უკანასკნელია და გვერდების ამნუსხავი ნიშნის მიხედვით შეგვეძლო გაგვეგოთ თუ რამდენს გვერდს შეიცავდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ნიშნის ადგილი მოჭრილია. შრიფტი წვრილი ნუსხა ხუცურია. თვით ეს ერთი ფურცელიც ვერ არის კარგად დაცული, ზემო ნაწილი დახეულია და ალაგ-ალაგ ქაღალდი ამოგლეჯილია. ერთს მხარეზე, რომელზედაც დაბეჭდილია ლოცვნის უკანასკნელი სტრიქონები, ბოლოში დაბეჭდილია: „დასრულდა სადიდებელად ღვთისა ქალაქსა ტფილისსა ქრისტეს აქეთ ჩღმთ. მეორე გვერდზე იკითხება მხოლოდ შემდეგი: „...ენო, ცქთომილებისა რაჟსამე მხილველნო, გვედრებით შეგვინდევით ღვთისათვის, შემდგომათვის უეჭუალ იყვენით უმჯობესობასა ნებითა ღვთისათა და ლოცვითა თქუცნითა. მცირე ამათ მუშაკთაგანი მოსამსახურე სტამბისა ამის მეცა უღირსი შენდობას ვითხოვ მხატვარი იოანე“.

1751 წ. კონდაკი ანუ წიგნი საღვთოსა მსახურებისა. ტექსტის სიფართოეა 16,5×11 სანტ. შეიცავს 2 აუნ.+216 ან. გვერდს. შრიფტი საშუალო ზომის ნუსხა ხუცურია. ანუსხულია გვერდობით და რვეულობით ქართული ასოებით. რვეულში 8 გვერდია.

<sup>1)</sup> ეს ფურცელი ჩვენ ვნახეთ ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმში 1722 წ. გამოცემულის ჟამნის ყდაზე ქვემოთგან დაკრული. ეს ვაცნობთ მუზეუმის გამგეს, რომელმაც აღნიშნული ფურცელი სიფრთხილით მოაშორა ყდის ფიცარს და გადასდო ცალკე ნომრის ქვეშ დავთარში შესატანად.

ნახმარია შავი და წითელი საღებავი. დართული აქვს სამეფო ღერბის და სხვა სურათები.

ამავე 1751 წ. სახარება. ჩვენ ეს წიგნი არ გვინახავს, მაგრამ ალექსანდრე ცაგარელს აქვს აღნიშნული სტუდენტთა ბიბლიოთეკის სიაში (იხ. მისი Свед. о памяти. груз. писем. в. I, стр. 33).

ამავე 1751 წ. ქადაგება ღვთისმეტყველება ანტონ კათოლიკოსისა. ტექსტის სიფართოა  $12 \times 7$  სანტ. შეიცავს 32 გვერდს. შრიფტი საშუალო ზომის ნუსხა ხუცურია. ანუსხულია გვერდობით და რვეულობით ქართული ასოებით. რვეულში 8 გვერდია.

1763 წ. ლოცვანი. ტექსტის სიფართოა  $12 \times 6,1$  სანტ. რადგან ჩვენ ხელთ მყოფი ცალი ნაკლულოვანია, ამიტომ არ ვიცით წიგნი რავდენს გვერდს შეიცავს. შრიფტი საშუალო ზომის ნუსხა ხუცურია, ანუსხულია გვერდობით და რვეულობით ქართული ასოებით.

ამავე 1763 წ. ფსალმუნი ანუ დავითნი. ტექსტის სიფართოა  $12 \times 6,5$  სანტ. რადგან ჩვენ ხელთ მყოფი ცალი ნაკლულოვანია, ამიტომ არ ჩანს რავდენს გვერდს შეიცავს. არის მხოლოდ 33—430 გვ. და აუნუსხავი ბოლო ფურცელი. შრიფტი საშუალო ზომის ნუსხა ხუცურია. ანუსხულია გვერდობით და რვეულობით ქართული ასოებით.

1764 წ. კურთხევანი. ტექსტის სიფართოა  $16 \times 10$  სანტ. შეიცავს 4 აუნ. + 590 ან. + 2 აუნ. გვერდს. შრიფტი საშუალო ზომის ნუსხა ხუცურია, ალაგ-ალაგ წვრილი. ანუსხულია გვერდობით და რვეულობით ქართული ასოებით. რვეულს აქვს 8 გვერდი. დართულია სამეფო ღერბი და სამების სურათი.

ამ წიგნს ბოლოში აქვს დართული ცნობა, რომ ერეკლესაგან განახლებულს სტამბაში დაბეჭდილა პირველად ფსალმუნი, მეორედ კონდაკი, მესამედ კიდევ ფსალმუნი და აგრეთვე „მცირედნი წიგნნი რომელნიმე სახმრად ეკლესიისა“. აქეთგან ჩანს, რომ ზემოდ ანუსხული წიგნების გარდა დაბეჭდილა კიდევ ფსალმუნი ანუ დავითნი კონდაკის წინ, ე. ი. 1750 წ., კონდაკის შემდეგ და შეიძლება წინადაც „მცირედნი წიგნნი რომელნიმე სახმრად ეკლესიისა“, რომელთა შორის, ალბად, იგულისხმება ზემოდ მოხსენებული ლოცვანი, დაბეჭდილი 1749 წ.

გ. შანშიევი, ზ. ჭიჭინაძე და ალ. ცაგარელი ასახელებენ კიდევ სხვა წიგნებს, როგორც ამ ხანში დაბეჭდილებს. სახელდობრ, გ. შანშიევისგან დასახელებულია ლოცვანი ფიგურებით (1753 წ.), ზ. ჭიჭინაძისაგან — სახარება (1751 წ.), ლოცვის წიგნი ან-

ბანი (1753 წ.), კიდევ ლოცვის წიგნი ანბანით (1760 წ.), კანონი ღვთისმშობლისა (1760 წ.), ალ. ცაგარლისაგან— პარაკლიტონი (1762 წ.). უკანასკნელი წიგნი ალ. ცაგარელს უნახავს ათონის მთაზედ ივერიის მონასტერში. მის სიტყვით პარაკლიტონი ყოფილა დიდის ტანისა (in folio), ხუცურის შრიფტით დაბეჭდილი, და ჰქონია 450 გვერდი. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეს წიგნი და მასთან ერთად ჰიჭინაძისგან დასახელებული სახარება, ამ ხანში რომ იყვნენ დაბეჭდილნი, უთუოდ იქნებოდნენ მოხსენებულნი 1763 წ. გამოცემულს კურთხევანში, როგორც დიდი წიგნები. ამიტომ ეს წიგნები გაუგებრობით უნდა იყვნენ დასახელებულნი, როგორც ამ ხანში დაბეჭდილები<sup>1</sup>. დანარჩენი წიგნები, რომელთაც შანშიევი და ჰიჭინაძე იხსენიებენ, შესაძლებელია კურთხევანში მოხსენებულ „მცირეოდენ წიგნთაგანნი“ იყვნენ<sup>2</sup>.

1765—1781 წლებში დაბეჭდილ წიგნთაგან ჩვენ შეგვხვედრია მხოლოდ შემდეგი ორი წიგნი:

1769 წ. დაუჯდომელი. ტექსტის სიფართე არის  $8,5 \times 6$  სანტ. ჩვენ ხელთ მყოფ ცალში შენახულია მხოლოდ 3—6 გვერდი. შრიფტი მხედრულია. ანუსხულია გვერდობით და რვეულობით ქართული ასოებით. თავწარწერა აკლია და ამიტომ დაბეჭდვის წელიწადი ჩვენ მხოლოდ საგულებლად მიგვაჩნია.

1772 წ. პარაკლიტონი, რომელ არს. სავედრებელი. ტექსტის სიფართეა  $27,5 \times 15,2$  სანტ. შეიცავს 4 აუნ. + 592 (შეცდ. 583) ან. გვერდს. შრიფტი საშუალო ზომის ნუსხა ხუცურია, ანუსხულია გვერდობით ქართული ასოებით და რვეულობით ქართული ასოებით და არაბული ციფრებით. რვეულში 8 გვერდია. ნახმარია შავი და წითელი საღებავი. დართული აქვს სამების სურათი.

1) მ. ჯანაშვილის მიერ შედგენილ საეკლესიო მუზეუმის კატალოგში 966 ნომრის ქვეშ მოხსენებული პარაკლიტონი შეცდომით 1762 წ. დაბეჭდილად არის აღნიშნული. ნამდვილად კი 1772 წ. არის დაბეჭდილი.

2) კანონი ღვთისმშობლისანი მოხსენებულია ალ. ცაგარლის წიგნში (Свед. о памяти. груз. писем., в. III) დაბეჭდილს იოანე გრუზინსკის ქართული წიგნების კატალოგში სწორედ 1760 წელში დაბეჭდილად. როგორც კატალოგის რუსული ტექსტიდან ჩანს, წიგნში ანტონ კათოლიკოზის მსჯელობა ყოფილა დაბეჭდილი სარწმუნოების სხვადასხვა კითხვებზედ. რადგან ანტონი ამ წელს განდევნილი იყო საქართველოდან, საეკვოა, რომ მისი ნაწერი დაბეჭდათ ტფილისში. ამიტომ ვფიქრობთ, რომ იგი უნდა დაბეჭდილი იყვეს შემდეგში. ანტონის რუსეთითგან დაბრუნების შემდეგ, და ხსენებული თარიღი შეცდომით უნდა იყვეს აღნიშნული კატალოგში.

1780 წ. დავითნი. ეს წიგნი ჩვენ არ გვინახავს. იგი მოხსენებულია მოსკოვის სინოდის სტამბის ბიბლიოთეკის კატალოგში 4643 ნომრის ქვეშ.

ზ. ჭიჭინაძე და გ. შანშივეი იხსენიებენ ამ ხანში (1765—1781 წლებში) დაბეჭდილებად რავდენსამე სხვა წიგნს. ზ. ჭიჭინაძისგან მოხსენებულნი არიან: 1. პარაკლისი (1765 წ.), 2. სახარება (1768 წ.), 3. კიდევ სახარება (1770 წ.), 4. ლოცვის წიგნი ანბანით (1773 წ.), 5. დავითნი (1775 წ.), 6. ოსურ-ქართული ლოცვის წიგნი (1778 წ.), 7. კიდევ ლოცვის წიგნი ანბანით (1780 წ.). გ. შანშივეისგან მოხსენებულნი არიან: ზადიკი (1767 წ.) და პოლიციის ნაწილზე ზონელ ქელისა (1781 წ.). რა არის ამ სიაში მართალი და რა შემცდარი, ძნელი სათქმელია.

ამ ხანში, ეტყობა, შრიფტი გაცვდა და საჭირო შეიქმნა როგორც ახალი შრიფტის ჩამოსხმა, ისე სტამბის უკეთ მოწყობა. ამ აზრით ერეკლე მეფემ კონსტანტინოპოლითგან დაიბარა გამოცდილი მესტამბე, რომელიც მოვიდა საქართველოში, ჩამოასხა ახალი შრიფტი და მოაწყო სტამბა. ეს მესტამბე იყო პოლოს ოჰანისიანი:

ახლად შეკეთებულს სტამბაში დაიბეჭდა:

1782 წ. შესხმა პირველი ახლისა ამის წიგნთსაბეჭდავისა პოლოს ოჰანისიანისა. ეს წიგნი ჩვენ არ გვინახავს. იგი გადაბეჭდილი აქვს პროფ. ალ. ცაგარელს თავის წიგნის (Свед. о памятн. груз. писем. Вып. I) შესავალში. მის აწერილობით, წიგნი ყოფილა in 4<sup>o</sup>, შეიცავს 30 გვ. შრიფტი სხვილი ნუსხა ხუცურია.

1783 წ. კონდაკი ანუ საღვთო მსახურობა. ტექსტის სიფართეა 18,2×12 სანტ. შეიცავს 309 (შეცდ. 320) გვერდს. შრიფტი საშუალო ზომის ნუსხა ხუცურია. ანუსხულია გვერდობით და რვეულობით ქართული ასოებით. პირველი რვეული ორია—ერთი ექვს: გვერდიანი, მეორე, როგორც დანარჩენები, რვა-გვერდიანი.

1784 წ. კურთხევანი. ტექსტის სიფართეა 16×11,1 სანტ. შეიცავს 4 აუნ. + 676 (შეცდ. 677) ან. გვერდს. შრიფტი საშუალო ზომის ნუსხა ხუცურია. ანუსხულია გვერდობით და რვეულობით ქართული ასოებით. რვეულობით ანუსხვა თავითგანვე იწყება. რვეულში 8 გვერდია. დართული აქვს სამეფო ღერბის და სამების სურათი.

ამავე 1784 წ. კიტაიის სიბრძნე ანუ სწავლა. ქუცყანასა ზედა ბედნიერად ცხოურებისა, რუსულით ქართულსა ენასა ზედა გარდმოღებული არხიდიაკონისა გაიოსის მიერ, რომელიცა აწ არს არხიმანდრიტი და თელავისა სემინარიის რექტო-



რი, წელსა 1777 მოსკოვს. ტექსტის სიფართეა  $12,8 \times 7,1$  სანტ. შეიცავს 14 აუნ. + 128 ან. გვერდს. შრიფტი მხედრულია. ანუსხულია გვერდობით არაბულის ციფრებით და რვეულობით ქართული ასოებით. დაბეჭდილია 400 ც.<sup>1</sup>

1786 წ. სახარება. ტექსტის სიფართეა  $26 \times 16$  სანტ. შეიცავს 391 გვერდს. შრიფტი საშუალო ზომის ნუსხა ხუცურია. ანუსხულია გვერდობით და რვეულობით ქართული ასოებით. რვეულში 8 გვერდია. ტექსტში მოთავსებულია სურათები მახარებლებისა და შაცხოვრისა. დაბეჭდილია 800 ც.<sup>2</sup>

1788 წ. ზადიკი. ტექსტის სიფართეა  $26,2 \times 15,2$  სანტ. შეიცავს 4 აუნ. + 505 (შეცდ. 506) ან. გვერდს. შრიფტი საშუალო ზომის ნუსხა ხუცურია. ანუსხულია გვერდობით და რვეულობით ქართული ასოებით. რვეულში 8 გვერდია. ნახმარია შავი და წითელი საღებავი.

1790 წ. დაუჯდომელი. ტექსტის სიფართეა  $7,2 \times 6$  სანტ. შეიცავს 222 გვ. შრიფტი წვრილი მხედრულია. ანუსხულია გვერდობით და რვეულობით ქართული ასოებით. დაბეჭდილია 1000 ც.

1790 ან 1791 წ. დავითნი ანუ წიგნი ფსალმუნთა. ეს წიგნი ჩვენ არ გვინახავს. მხოლოდ ალ. ხახანაშვილს<sup>3</sup>) აქვს მოხსენებული მოსკოვის სინოდის სტამბაში შენახულად. მის თქმით წიგნის დაბეჭდვის წლად ნაჩვენებია ბიბლიურის აღრიცხვით ხს. ე ( ),<sup>4</sup> ქრისტიანულის აღრიცხვით ჩლ. ე ( ). ფრჩხილებში დატოვებული ალაგი ქალაქში ამოგლეჯილი ყოფილა. ამ ამოგლეჯილ ალაგებზე შესაძლებელია ყოფილიყო რომელიმე რიცხვის (ერთეულის) ამნიშვნელი ასო. თითონ ხახანაშვილი ფიქრობს, რომ წიგნის თარიღი უნდა იყვეს 1795 წელი. ეს შეცდომაა. ბიბლიურისა და ქრისტიანულის წელსა აღრიცხვის ამნიშვნელი ასოებით რომ ერთი დი იგივე თარიღი გამოვიდეს, ორი შემთხვევა უნდა წარმოვიდგინოთ. ბიბლიურს აღრიცხვაში ამოგლეჯილს ადგილზე იქნებოდა ან ასო ც, ან ასო თ. პირ-

<sup>1</sup>) ამ წიგნის და ქვემოთ დასახელებული წიგნების დაბეჭდილი ცალების რიცხვი მოხსენებულია 1793 წ. დაბეჭდილს ტრიოდონში ანუ მარზვანში. ალ. ცაგარელს ამ რიცხვის მაგიერ 70 ცალი აქვს ნაჩვენები ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკის წიგნების კატალოგში, რომლის შემდგენელსაც ხუცური უ ხუცური ო ჰგონებია (იხ. Свед. о памяти. груз. писем., в. III, стр. 137).

<sup>2</sup>) ალ. ცაგარლის წიგნში ამ რიცხვის მაგიერ ნაჩვენებია 1000 ცალი.

<sup>3</sup>) იხ. „მოამბე“ 1900 წ. № 3. ძველად აღბეჭდილნი წიგნნი სინოდალურს სტამბაში, გვ. 21.

<sup>4</sup>) უნდა იყვეს კ და არა ხ, რომელიც უხმარიათ, ალბად, სტამბაში კ-ასოს უქონლობის გამო.

ველს შემთხვევაში ქრისტიანულს აღრიცხვაში ამოგლეჯილს ადგილზე არაფერი იქნებოდა და მივიღებდით თარიღს ჩღჟ (1790 წ.), მეორე შემთხვევაში იქნებოდა ასო ა და მივიღებდით თარიღს ჩღჟა (1791 წ.). 1795 წლის ამნიშვნელი ასოები რომ ყოფილიყო, ბიბლიურის წელთაღრიცხვით თარიღი იქნებოდა კტგ, სადაც ასეულის რიცხვის ამნიშვნელი ასო იქნება ტ და არა ს, ხოლო ათეული რიცხვის ასო ჟ წიგნში დაბეჭდილის თარიღისა სულ გაქრება.

ეს წიგნი დაიბეჭდა 1000 ცალად.

1791 წ. სამოციქულო. ტექსტის სიფართოეა  $27 \times 15,8$  სანტ. შეიცავს 8+304 გვერდს. შრიფტი სხვილი ნუსხა ხუცურია. ანუსხულია გვერდობით და რვეულობით ქართული ასოებით. რვეულში 8 გვერდია. დაბეჭდილია 1000 ც.

ამავე 1791 წ. სახარება. ტექსტის სიფართოეა  $27,1 \times 17$  სანტ. შეიცავს 303 (შეცდ. 301) გვერდს. შრიფტი სხვილი ნუსხა ხუცურია. დაბეჭდილია ორ სვეტად. ანუსხულია გვერდობით და რვეულობით ქართული ასოებით. რვეულში 8 გვერდია. დაბეჭდილია 800 ც.<sup>1</sup>

ამვე 1791 წ. ქამნი. ტექსტის სიფართოეა  $13,5 \times 8$  სანტ. შეიცავს 4 აუნ.+768 (შეცდ. 763) გვერდს. შრიფტი წვრილი ნუსხა ხუცურია. ანუსხულია გვერდობით და რვეულობით ქართული ასოებით. ნახმარია შავი და წითელი საღებავი.

1793 წ. ტრიოდინი ანუ მარხვანი. ტექსტის სიფართოეა  $26,9 \times 15,5$  სანტ. შეიცავს 4 აუნ.+648 ან. გვერდს და კიდევ 24 ფურცელს. შრიფტი წვრილი ნუსხა ხუცურია. 648 გვერდი ანუსხულია გვერდობით და რვეულობით ქართული ასოებით, ბოლოში ფურცლობით და რვეულობით. რვეულში ჯერ არის რვა-რვა გვერდი, შემდეგ თორმეტ-თორმეტი, ბოლოს ისევ რვა-რვა. ნახმარია შავი და წითელი საღებავი. დაბეჭდილია 1000 ც.

ამავე 1793 წ. კონდაკი ანუ საღვთო მსახურება. ტექსტის სიფართოეა  $17,6 \times 11,8$  სანტ. შეიცავს 255 (შეცდ. 236) გვერდს. შრიფტი წვრილი ნუსხა ხუცურია. ანუსხულია გვერდობით და რვეულობით ქართული ასოებით. რვეულში 8 გვერდია. ნახმარია შავი და წითელი საღებავი.

ამავე 1793 წ. მცირე ლოცვანი. ტექსტის სიფართოეა  $13,5 \times 7,1$  სანტ. შეიცავს 286 გვერდს. შრიფტი წვრილი ნუსხა ხუცურია ანუსხულია გვერდობით და რვეულობით ქართული ასოებით. ჩვენ

<sup>1</sup>) აღ. ცაგარლის წიგნში ამ რიცხვის მაგიერ ნაჩვენებია 1000 ცალი. (იხ. Свед. о памятн. груз. письменности, в. III, стр. 137).

ხელთ მყოფ ცალს აკლია თავში 2 გვერდი. 3—14 გვერდზე დაბეჭდილია ანბანი და ყოველდღიურად სათქმელი ლოცვები. დართულია სამების სურათი.

1794 წ. კურთხევაანი. თარგმნილი ბერძნულისაგან ქართულად კიპრიანეს მიერ სამთავნელისა. ტექსტის სიფართოა 17,1×11,8 სანტ. შეიცავს 551 გვერდს. შრიფტი სხვილი და საშუალო ზომის ნუსხა ხუცურია. ანუსხულია გვერდობით და რვეულობით ქართული ასოებით.

1795 წ. ლოცვანი. ტანით in 4<sup>o</sup>. 396 გვ. ხუცური შრიფტი. ეს წიგნი ჩვენ არ გვინახავს და აქ მოგვყავს ალ. ცაგარლისაგან გადმოცემული ცნობები. წიგნი მას უნახავს ათონის ქართველთა მონასტერში. იგი დაუბეჭდია მეფე ერეკლეს ბრძანებით მღვდელს კეჟერაშვილს. წიგნი გასწორებული ყოფილა ბერძნულისა და სლაგურის ლოცვნის მიხედვით იოანე მანგლელ ეპისკოპოზის და ანტონ კათოლიკოზის მიერ. ბეჭდვაზე უშრომიათ მღვდელს ტუსიშვილს, იოანეს ძეს, და პეტრე მამაცაშვილს.<sup>1</sup>

1800 წ. ნარკვევი ანუ მსოფლიო ისტორია, დავით ბატონიშვილისა. ტექსტის სიფართოა 13,5×7,1 სანტ. შეიცავს 128 გვერდს. შრიფტი წვრილი მხედრულია. ანუსხულია გვერდობით და რვეულობით ქართული ასოებით. დართული აქვს სამეფო ღერბის სურათი.

ამავე 1800 წ. დაუჯდომელი. ტექსტის სიფართოა 8,2×4,8 სანტ. შეიცავს 123 გვერდს. შრიფტი წვრილი მხედრულია. ანუსხულია გვერდობით და რვეულობით ქართული ასოებით. დართულია ხარების სურათი.

1783—1800 წლებში დაბეჭდილი რომელიმე სხვა წიგნი ჩვენ არ შეგვხვედრია. მაგრამ მათი რიცხვი უნდა შეივსოს ორის წიგნით, რომელთა დაბეჭდვას მოწმობს მესტამბე ქრისტეფორე კეჟერაშვილი 1793 წ. დაბეჭდილს მარხვანში დართულს უწყებაში, სადაც სხვა მისგან დაბეჭდილთა წიგნთა შორის იხსენიებს დაუჯდომელს (400 ც.) და ლოცვანს (1000 ცალი). დაახლოვებით ეს წიგნები უნდა იყვნენ დაბეჭდილნი 1783—1787 წლებში.

ამას გარდა გ. შანშიევი და ზ. ჭიჭინაძე ამავე ხანში დაბეჭდილებად ასახელებენ ზოგიერთს სხვა წიგნებს. გ. შანშიევის მიერ დასახელებულნი არიან: 1. თელავის სემინარიისთვის სახმარებელი ვრცელი და დიდი წიგნი, გაიოზის მიერ გამოცემული (1783 წ.), ჟამნი (1790 წ.), მარხვანი (1791 წ.), და-

<sup>1</sup>) იხ. Сведения о памяти груз. писем., в. I, стр. 96.



ვითნი (1794 წ.), დაუჯდომელი (1798 წ.). ზ. ჭიჭინაძის მიერ დასახელებულნი არიან: ფსალმუნი ოსურს ენაზე (1794 წ.), ლოცვანი (1799 წ.).

ამ წიგნთაგან ზოგიერთნი რომ შეცდომით უნდა იყვნენ დასახელებულნი, ადვილი მისახვედრია. ჟამნი ჩვენ გვინახავს 1791 წ. დაბეჭდვით და ამიტომ ძნელი დასაჯერებელია, რომ იგი დაბეჭდილიყვეს 1790 წელშია. აგრეთვე დაუჯერებელია, რომ მარხვანი, რომელიც ჩვენ გვინახავს 1793 წ. დაბეჭდილი, 1791 წელსაც დაბეჭდილიყვეს.

დანარჩენების შესახებ გადაჭრით ვერაფერს ვიტყვით.

თეიმურაზ მეფის დროს ცოტაოდენი ცვლილება მოხდა წიგნების თავწარწერაში. სამების ხსენების შემდეგ იხსენიებიან მეფეები თეიმურაზ და ერეკლე, შემდეგ კათოლიკოზ პატრიარხი, მას უკან აღნიშნულია ვის წარსაგებელით, სად და როდის არის დაბეჭდილი წიგნი: დაბეჭდვის წელი მომეტებულად მარტო ქრისტიანულის, ხანდახან ბიბლიურის და ქართული ქორონიკონული აღრიცხვითაცაა აღნიშნული. მაგალ. 1751 წ. დაბეჭდილს კონდაკს აქვს შემდეგი თავწარწერა:

„სადიდებელად წმიდისა ერთარსისა ცხოველსმყოფელისა და განუყოფელისა სამებისა მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, ბრძანებითა კეთილმსახურისა ცნებულის ქართველთ მეფის თეიმურაზისათა და ძისა მათისა კეთილმსახურისა კახთა მეფისა ირაკლისათა, კურთხევიითა სრულიად საქართველოსა წმიდისა პატრიარხისა ანტონისათა დაიბეჭდა წიგნი ესე საღვთოსა მსახურებისა საფასეთა წარგებითა ბეჭდისა ამის მახლისა ირაკლი კახთა მეფისათა სამეუფოსა ქალაქსა ტფილისისასა პალატსა საპატრიარხოსა დასაბამითგან წელთა სოფლისათა კსნთ, სიტყვისა ღვთისა განხორციელებითგან ჩლნა, ინდიკტიონსა იდ თვესა სექტემბერსა ი.“

როდესაც თეიმურაზის სიკვდილის შემდეგ ქართლშია ერეკლე გამეფდა, თავწარწერაში დაიწყო მოხსენება მისი, მის მეუღლე დარეჯანისა (ხან დარიასი) და საერთოდ ძეთა და ასულთა, ხანდახან კი რძლებისაც.

წიგნს ხშირად ჰქონდა დართული უწყება წიგნის დაბეჭდვისა, გამართვისა და თარგმნის შესახებ. მაგალ., 1764 წ. დაბეჭდილს კურთხევისაზე დართულია შემდეგი უწყება:

„ვიწყეთ რა (იგულისხმება ბეჭდვა) ვითა დედანსა სწერია და ორი და სამი ფურცელი დაიბეჭდა, იხილა უწმინდესობამან სანატრელისა მამათმთავრისა ჩჰუნისა ანტონისამან, რომელ გარეგან ღრა-

ჰმატიკისა კანონთა და წესთა იყო ნაბეჭდი ჩუნი და დედანიცა, რომელსა ზედა ვჰსწერდით, და მოახსენა ძმასა თვსსა და მეფესა ერეკლეს და ამისთვის ებრძანა მისის მეფობის უმაღლესობისაგან და მისის უწმინდესობისაგან მათის უწმინდესობის გლახაკს ბერს ილუმენს მხატურის ძეს მიხაილს და გაიმართა მისგან კანონსა ზედა ღრამმატიკისასა და დაბეჭდილ იქმნა, რაოდენ ახალ მესტამბეთაგან შეიძლება“.

1772 წ. დაბეჭდილს პარაკლიტონზე დართულია ანტონ კათოლიკოზის უწყება, სადაც იგი იხსენიებს თავის შრომას საეკლესიო წიგნების გამართვასა და შევსებაში სლავურისა და ბერძნულის ენითგან თარგმნით.

1784 წ. დაბეჭდილ კიტაიის სიბრძნეს მთარგმნელი გაიოზი ურთავს წინასიტყვაობას, სადაც სხვათა შორის ნათქვამია:

„ფრიად მცირეობენ ჩუნი შორის წერილნი იგი ძუძლნი (ე. ი. ძუძლთა ფილოსოფოსთანი), რომელთაცა ეპყრასთ მოკლედ და ბრწყინვალედ თვს შორის ჰსწავლანი კეთილწარმართებულნი კაცობრივისა ცხოვრებისანი ანუ თანამდებობანი კაცად-კაცადისა ჩინებისანი. ამისთვის ვჰვონებ ვითარმედ არა ამაოდ დაეშუტრ გარდმოღებად წიგნისა ამის, რომელსაც უპყრიეს თვს შორის სწავლა და მოძღურება ყოვლისა მის რაჯცა თანააძს კაცსა ბრძნებრ. წარმართებასა შინა კაცობრივისა ცხოვრებისასა“.

ერეკლეს დროს დაბეჭდილს წიგნებს ყველას აქვს დართული ცნობა იმ პირობა შესახებ, რომელთაც რამე მონაწილეობა მიუღიათ წიგნის გამართვაში თუ ბეჭდვაში. მაგალ., 1783 წ. დაბეჭდილ კონდაკს დართული აქვს შემდეგი ცნობები:

„რუსულსა საღმრთოსა მსახურებისა წიგნსა ზედა შემოწმებულ იქმნა მისის უწმინდესობის მონის ილუმენის ტრიფილესაგან. ღრამატიკისა კანონსა ზედა გამართვთა და პრობის მართვთა ოვლირსის ხუცის ოსეს ძის იოანესითა. წარმოდგა ახლისა ამის ბეჭდისა ასოად მესტამბეთ-უხუცესობითა ტირაცუ პოლოს ტირაცუ ოჰანისიან ჰაოსიან კონსტანტინუპოლელისათა. ზედამდგომარეობითა ტუსიშვილის კნიაზ მოლარეთ-უხუცესის შიოშისათა. დაზვის მმართველობითა მისის უმაღლესობისა კარის მღჭდლის უღირსის აბრაჰამ ურია-ყოფილისათა და მეორეს დაზვის მმართველობითა და მწერლობითა კარის საყდრის ხუცის დავით უღირსისათა“.

სტამბის მუშაკნი ხშირად მიზართავენ ხოლმე მკითხველებს შენდობის თხოვნით შეცდომათათვის. მაგალ., იმავე წიგნზე დართულია შემდეგი მიმართვა:

„მუშაკთა ამის საღმრთოსა მსახურებისა წიგნისათა არა მცირე-  
დი შრომა გვხილავს. გვედრებით მხილველთა, შეცთომთა თუ რაიმე  
იხილოთ, ნუ გვწყევთ, შეგვნდევით და ლოცვით მოგვხსენებდეთ, რა-  
თა თქუწნცა შეგენდენენ ცთომანი თქუწნნი“.

რავდენსამე წიგნზე არის დართული ანტონ კათოლიკოზის მიერ  
შეთხზული ერეკლე მეფის საქებრად აკროსტიხული ლექსი.

წიგნზე დართული ცნობები ხანდახან გვაგებინებენ, რომელი  
წიგნის რავდენი ცალი დაიბეჭდა. მაგალ., 1793 წ. დაბეჭდილს ტრი-  
ოდინონში მოთავსებულია შემდეგი ცნობა:

„მებრძანა უკეთილმსახურესისა და უმაღლესისა კელმწიფისა  
ყოვლისა საქართუშლოჲსა ირაკლი მეორისა მე მისსა მონასა მისის  
უმაღლესობის კარის მღუდელს მარტყოფელს კეყერაშვილს ქრისტე-  
ფორეს განმგებოაჲ და ზედამხედულობაჲ სტამბისა, რომლისა სურ-  
ვილი ფრიადი მაქენდა, და დავბეჭდე შრომითა და საფასითა ჩემითა  
მხედრული და უჯდომელი 400, კიტაიის სიბრძნე 400, ლო-  
ცუანი 1000, სახარება 800, დავითნი 1000, სამოციქუ-  
ლო 1000, კვალად და უჯდომელი 1000, ჟამნი 1000, კვალად  
სახარება 800 და მარხვანი ესე 1000 და შეწევნითა ყოვლად  
წმიდისა სულისათა ესე ყოველნი ზემოხსენებულნი წიგნი დამიბეჭ-  
დავს ხარჯითა ჩემითა აღსამაღლებლად და განსაძლიერებლად უფ-  
ლისა ჩემისა (მეფისა ირაკლისა) და საოხად ცოდვისა სულისა  
ჩემისა, რომელიც ვმოქენებ მხილველთაგან შენდობასა“.

თავწარწერაში ღვთისა, მეფისა და კათოლიკოზის ხსენება არის  
ხოლომე მხოლოდ საეკლესიო წიგნებზე, საერო შინაარსის წიგნებზე  
კი არა. მაგალ., 1784 წ. დაბეჭდილს კიტაიის სიბრძნეს აქვს  
შემდეგი თავწარწერა:

„კიტაიის სიბრძნე ანუ სწავლა ქრესტიანისა ზედა  
ბედნიერად ცხოურებისა, რუსულით ქართულსა ენასა ზედა  
გარდმოღებული არხი-დიაკონისა გაიოსის მიერ, რომელიცა აწ არს  
არხიმანდრიტი და თელავის სემინარიის რექტორი, წელსა 1777  
მოსკოვს.“

ხშირად წიგნს აქვს დართული სამეფო ღერბის და რომელიმე  
წმინდანის სურათი შინაარსის მიხედვით. აგრეთვე ხშირად ტექსტში  
მოთავსებულია სამკობლები. სამკობლად ხანდახან იხმარებიან ოთხ-  
კუთხში მოთავსებულად დიდი ასომთავრულები ყვავილებით ან ცხო-  
ველთა და ადამიანთა სურათებით მოხატულს ადგილზე.

გიორგი მეფის დროს ერეკლეს სტამბა ახალი აკლებული იყო და ამიტომ ბევრი არაფერი დაბეჭდილა რა: ჩვენ ხელთ არის ორი წიგნი, 1800 წ. დაბეჭდილნი: ნარკვევი დავით ბატონიშვილისა და დაუჯდომელი. პირველს წიგნს, თუმცა საერო შინაარსისაა, ვრცელი თავწარწერა აქვს, როგორც ერეკლეს დროს დაბეჭდილს. საეკლესიო წიგნებს:

„სადიდებელად ერთარსისა, ცხოველსმყოფელისა და განუყოფელისა სამებისა, მამისა და ძისა და სულისა წმიდისა, დროსა უკეთილმსახურებისა და უმაღლესისა გიორგი მეათსამეტისა მეფის ყოვლისა საქართუშლოჲსასა და კეთილმორწმუნისა დედოფლისა მარიამისასა ციციშვილის ასულისასა და კეთილმორწმუნეთა ძეთა და ასულთა, კურთხევითა უნეტარებისა და უწმიდისა მეფის ძის ანტონი პატრიარხისა ყოვლისა საქართუშლოჲსათა დაიბეჭდა წიგნი ესე ნარკუშვი სამეუფოსა ქალაქსა ტფილისს დასაბამითგან სოფლის კტ ც, ხოლო განხორციელებითგან სიტყვსა ღმრთისა ჩყ თთჲსსა მარტსა ა.“

წიგნს დართული აქვს ღერბის სურათი.

მუშაკნი თხოულობენ მკითხველისგან შენდობას.

სამაგიეროდ ამავე წელს დაბეჭდილს დაუჯდომელს არა აქვს არავითარი თავწარწერა და პირდაპირ იწყება ტექსტი სათაურით დაუჯდომელი. ბოლოში კი ჩამოთვლილნი არიან ყველა სტამბის მუშაკები, რომელთაც მონაწილეობა მიუღიათ წიგნის ბეჭდვაში და რომელნიც შენდობას ითხოვენ მკითხველთაგან შეცდომათათვის.

ერეკლე მეფის დროს სტამბის საქმის მოხელეობაში დიფერენციაცია მოხდა. რასაც წინად ერთი კაცი აკეთებდა, იმას ეხლა ორი და სამი კაცი აკეთებს და ყველას თავისი სახელი აქვს. ამის მიხედვით ჩნდება მოხელეთა სხვადასხვა სახელები, მაგალ.: 1. მესტამბეთუხუცესი ან სტამბის უხუცესი, რომელიც იყო სტამბის მუშაკთა უფროსი; 2. ზედამდები ან ზედამდგომარე ან ზედამხედველი, რომელიც ყურს უგდებდა სტამბის მუშაკთა საქმიანობას; 3. პლაკის მჭრელი, ე. ი. მეტრანაჲი; 4. დაზგის მმართველი; 5. პრობის მმართველი, ე. ი. კორექტორი; 6. წარმომდგინებელი ასოსი, ე. ი. ასოების ჩამომსხმელი; 7. მწერალი, ალბათ, ჩამოსასხმელი ასოების ნიმუშების დამწერი; 8. სტამბის სახმართა ზედა გამრჯელი, სტამბისთვის საჭირო ნივთების მომპოვებელი, რომლის თანამდებობა მუდამ ზედამდევს ჰქონდა ნაკისრი; 9. გამგე ან გამგებელი, რომელიც სხვანაირად ზედამდგომარედ ან ზედამხედველად იწოდებოდა; 10. სტამბის ნაკლების შემსრულებელი, რომელიც არის

წერილი რემონტის გამკეთებელი (ეს თანამდებობა მუდამ მესტამბეს აქვს ნაკისრები).

ამ მოხელეებს უნდა დაეუმატოთ კიდევ სტამბისათვისვე მომუშავენი: 1. ღრამმატიკის კანონზედ გამმართველი ანუ ქართულსა ენასა ზედა შემწყობი და 2. მოძღვარი და მასწავლებელი სტამბის მუშაკთა. ხშირად ერთი და იგივე პირი ორს ან მეტს თანამდებობას ასრულებდა.

1749—1772 წლებში სტამბის მუშაკებად იხსენიებიან: 1. ზაქარია მოძღვარი და უღირსი მღვდელი (1751 წ.),<sup>1)</sup> ზედამხედველად და ქართულს ენასა ზედ შემწყობად; 2. ისაკ მცირე,<sup>2</sup> ზაქარიას თანაშემწე (1751 წ.); 3. ნიკოლოზ, სიონის დეკანოზი, მომმუშაკებელად და წარმომდგინებელად ასოსი (1751 წ.) და მესტამბეთ-უხუცესად (1763, 1764 და 1772 წ.); 4. იოანე მხატვარი, ხუცესი, მცირე ამათგანად (1749, 1751 წ.) და მესტამბეთ-უხუცესად (1763, 1764 და 1772 წ.); 5. ზაქარია მარკოზის ძე ზედამდეგად (1763 წ.) და სტამბის სახმართა ზედა გამრჯელად (1764 და 1772 წ.); 6. მიხაილ მხატვრის ძე, იღუმენი, გამმართველად ღრამმატიკის კანონსა ზედა და თან პრობის მმართველად (1764 წ.); 7. ედიშერ თუმანიშვილი ზედამდეგად (1764 და 1772 წ.).

შესაძლებელია, ზოგიერთნი ამათგანნი განსწავლულიყვნენ ვახტანგის დროის სტამბაში, მაგრამ შეუძლებელია, რომ მათგანი ვინმე იყვეს მიხეილ უნგროვლახელის ნამოწაფარი, რადგან სტამბის ტეხნიკური მუშა იმათ შორის სულ ცოტა 75—85 წლისა გამოვა, თუ მიხეილ უნგროვლახელის მოწაფედ ჩავთვლით 1706—1711 წლებში და მოწაფედ გახდომის ხნოვანობად მივიღებთ 16 წელს.

1772—1795 წლებში სტამბის მუშაკებად იხსენიებიან: 1. დავით მღვდელი, კარის საყდრის ხუცესი<sup>3</sup> (1772—1794 წ.), დაზგის მმართავად, მწერლად და პლაკის მჭრელად; 2. ტრიფილე

<sup>1)</sup> ეს არის გვარად ვაბაშვილი, ერთი მხილებელთაგანი ანტონ კათოლიკოზისა, ავტორი სატირისა: კატის ომი. შემდეგში მას ეძახდნენ ზაქარია ნამოძღვრალს.

<sup>2)</sup> ისაკ მცირე ზოგიერთს ხელთნაწერებში მოხსენებულია „კატის ომის“ ავტორად. ეს აიხსნება იმით, რომ ერთერთს გადამწერს „კატის ომის“ გადამწერელი ისაკ მცირე ავტორად მიუღია და ისეც მოუხსენებია. ხოლო შემდეგში ვისაც მისი გადანაწერი გადაუწერია, ეს შეცდომა გაუმეორებია.

<sup>3)</sup> გვარად ჩუბინიძე. მის შესახებ იხ. ქვემოთ.

არხიმანდრიტი,<sup>1</sup> ღრამმატიკის კანონზედ გამმართველად და პრობის მმართველად (1793 და 1794 წ.); 3. იოანე ოსესძე, ხუცესი, ღრამმატიკის კანონზედ გამმართველად და პრობის მმართველად (1781—1791 წ.);<sup>2</sup> 4. პოლოს ოპანისიანი, ტირაცუ, ასოს წარმომდგინებელად და მესტამბეთ-უხუცესად (1782 და 1783 წ.); 5. შიოტუხისიშვილი, მოლარეთ-უხუცესი; ზედამდგომარედ (1783 და 1784 წ.); 6. აბრამ ურიაყოფილი, კარის მღვდელი, რომელიც 1764 წ. მოსკოვში მესტამბედ იყო,<sup>3</sup> დაზგის მმართველად და სტამბის უხუცესად (1783, 1784 და 1786 წ.); 7. ქრისტესია ანუ ქრისტეფორე, კარის ხუცესი, კეჟერაშვილი,<sup>4</sup> მოძღვრად და მასწავლებლად სტამბის მუშაკთა (1784 წ.), გამგედ და დაზგის მმართველად (1790 წ.), გამგებელად და ზედამხედველად ბეჭდისა (1791—1794 წ.); 8. რომანოზ ზუბაშვილი, მოურავის ძე, ხანრაზმაძე რომანოზ ზუბაშვილად წოდებული,<sup>5</sup> მესტამბედ და სტამბის ნაკლების შემსრულებელად (1784 და 1788 წ.), მესტამბედ (1790—1794 წ.); 9. თევდორე დარბიაშვილი, დიაკონი, დაზგის მმართველად (1874 წ.); 10. ზაქარია გოგელიძე მწერლად (1784 წ.); 11. დავით ყორღანაშვილი, მუშრიბი, ზედამდგომარედ და სტამბის სახმართა ზედა გამრჯელად (1788 წ.); 12. დიონოსი, ქრისტესია ხუცის ძე,<sup>6</sup> მწერლად (1790 წ.); 13. გიორგი, დავით მღვდლის ძე,<sup>7</sup> სტამბის სახმართა ზედა გამრჯელად და მწერლად (1786 წ.).

არც ერთი ამათგანი არ შეიძლებოდა ყოფილიყო ნამოწაფარი არც მიხეილ უნგროვლახელისა არც საზოგადოდ ვახტანგის დროისა, რადგან ამ შემთხვევაში არც ერთი მათგანი არ იქნებოდა 80 წლისაზე ნაკლები სტამბაში მუშაობის უკანასკნელს წელს. ამიტომ უსაფუძვლოა თქმა ზ. ჭიჭინაძისა და ალ. ხახანაშვილისა ვითომ ქრისტეფორე კეჟერაშვილი და რომანოზ ზუბაშვილი მიხეილ უნგროვლახელის ნამოწაფარნი ყოფილიყვნენ. ისინი რომ მის ნამოწაფარნი ყოფი-

<sup>1</sup>) ცნობილია აგრეთვე როგორც წიგნების გადამწერი და მკვერმეტყველი, ლექსად მთქმელი ანტონ კათოლიკოსის და ერეკლე მეფის შესხმისა. გვარად იყო ჩერქეზიშვილი.

<sup>2</sup>) გვარად მიქაძე, ძმა ცნობილის იესე ოსეს ძისა. იოანე ცნობილია აგრეთვე როგორც მთარგმნელი და გადამწერი.

<sup>3</sup>) იხ. ზევით, გვ. 66.

<sup>4</sup>) მის შესახებ იხ. ქვემოთ.

<sup>5</sup>) მის შესახებ იხ. ქვემოთ.

<sup>6</sup>) კეჟერაშვილი.

<sup>7</sup>) ჩუბინიძე.

ლიყენენ, ქრისტეფორე კეყერაშვილი 1794 წ. იქნებოდა 99—104 წლისა, ხოლო რომანოზ ზუბაშვილი, რომელიც, როგორც ქვევით დავინახავთ, 1811 წ. კიდევ მუშაობდა სტამბაზე სოფ. წესში, ამ წელს იქნებოდა 116—121 წლისა, რაიცა შეუძლებელია, რადგან, მართალია, ადამიანს უფრო მეტს ხანსაც შეუძლიან იცოცხლოს, მაგრამ სტამბის მუშაობა არ შეუძლიან 70 წელს გადაცილებულს.

1800 წ. სულ ახალი სტამბის მუშაკები ჩანან: 1. იოანე, კარის საყდრის მღვდლის დავითის ძე,<sup>1</sup> მესტამბედ და სტამბის ნაკლების შემსრულებლად; 2. იოსებ მღვდელი, გამგედ, პლაკის მჭრელად და დაზვის მმართველად; 3. პანტელეიმონ, კარის-მღვდლის ქრისტესიას ძე,<sup>2</sup> მწერლად.

საქართველოს მეფეები სტამბას სთვლიდნენ ისეთ საქმედ, რომელიც აკმაყოფილებდა სახელმწიფო მნიშვნელობის მოთხოვნილებას. მეფე ერეკლე ერთს თავის 1784 წ. დაწერილ განაჩენში ამბობს:<sup>3</sup> „ეს დავით მღვდელი სტამბაში განწესებულია, ესეც საქვეყნიერო და სჯულის სამსახურია, ამას მორიგეთნუ გამოიყვანთ.“ ამ ბრძანებით მეფე ათავისუფლებს სტამბის მოხელეს იმ სამსახურისაგან (ლავრობისაგან), რომლისგანაც იშვიათად თუ ვინმე თავისუფლდებოდა. სტამბის მნიშვნელობის ამნაირის შეგნებით აიხსნება ის, რომ საქართველოში სტამბა შემოღებულ იქნა მეფეების მიერ და იმათ ხარჯით ინახებოდა.

თეიმურაზ მეფის დროს განახლებული სტამბა მოთავსებულ იქნა საპატრიარხო სასახლეში, ერეკლე მეფის დროს კი გადატანილ იქნა სამეფო პალატაში ან, როგორც ხანდახან სწერდნენ, სამეფო ეზოში. აღამამაღხანის მიერ ტფილისის აკლესიის და სტამბის დაწვის შემდეგ განახლებული სტამბა მოთავსებულ იქნა მეტეხის ეკლესიის ეზოში.

წიგნები იბეჭდებოდა უფრო საეკლესიო საჭიროებისათვის, რადგან ასეთს წიგნებს უფრო მეტი გასავალი ჰქონდათ. თვითეული წიგნი იბეჭდებოდა რავდენიმე ასობით, მომეტებულად 1000 ცალად, ხანდახან მეტიც. მოგება, რა თქმა უნდა, ჰქონდა სტამბას, მაგრამ ხაზინას ყოველთვის ჰქონდა საკმარისი თანხა, რომ რავდენიმე წლით ფული დაებანდებინა წიგნის გამოცემაზე. საქმეს აძნელებდა ქალაქის სიძვირე, რადგან იგი მოჰქონდათ ან სპარსეთითგან ან რუსეთითგან და ძვირად ჯდებოდა. ამის გამო ხშირად ჩერდებოდა სტამ-

1) ჩუბინიძე.

2) კეყერაშვილი.

3) იხ. А. Цагарели. Свед. о памяти. груз. писем., в. III, стр. 5.

ბის მუშაობა. საქმე იქამდის მივიდა, რომ ერეკლე მეფემ, რომელმაც 1781 წ. 20,000 მანეთი დახარჯა სტამბის საფუძვლიანად განახლება და გაფართოებაზე, ერთი დაზგა, როგორც მეტი, სომხის კათოლიკოსს გაუზღავნა ეჩმიაძინში.<sup>1</sup> ერეკლე მეფემ ბოლოს გადაწყვიტა სტამბა იჯარით მიეცა კერძო პირისთვის იმ პირობით, რომ ყოველი მიმდინარე ხარჯი მას გაეწია და მოგების ნახევარი ხაზინაში შეეტანა. ერთი ასეთი იჯარადართავანი იყო მღვდელი ქრისტეფორე კეყერაშვილი.

რადგან სტამბის მუშაკი უნდა წიგნის მცოდნე და ნასწავლი კაცი ყოფილიყო, ამიტომ სტამბის საქმეს უფრო სასულიერო წოდების პირნი მისდევდნენ. სასულიერო წოდებაში კი ირიცხებოდნენ როგორც თავადნი და აზნაურნი ისე გლეხნი.

აქ მოვიყვანთ დაწვრილებითს ცნობებს ზოგიერთი სტამბის მუშაკების შესახებ.

1772—1794 წლებში გამოცემულ წიგნებში მოხსენებული დავით მღვდელი, კარის საყდრის ხუცესი, არის შვილი გიორგისა, რომელსაც ზედმეტად ეძახდნენ ჩუბინს. ეს გიორგი (ჩუბინი) იყო აზნაური, მაგრამ არა ჩანს სადაური ან რომელი თავადის ყმა იყო. რაღაც მიზეზით იმას თავი დაუწებებია თავის ბატონისთვის და ჰყმობია ზურაბ სუფრაჯს (ბარათაშვილს), რომელმაც ის დაასახლა, სახელო მისცა და ათარხნა. ზურაბის სამსახურში გიორგი ლეკებმა მოკლეს. მას დარჩა ერთი ვაჟი, სახელად დავითი, ზურაბ სუფრაჯის მეუღლის ხორეშანის ნათლული. ნათლიამ თავის ნათლულს დაუწყო ზრდა სამღვდლოდ, ხოლო მის სიკვდილის შემდეგ თვით ზურაბი ზრუნავდა მის აღზრდისათვის. დავითი მღვდლად შეიქნა. ამასთან მან ისწავლა სტამბის ხელობა და დაიწყო მუშაობა სტამბაში. 1772 წ. დაბეჭდილს პარაკლიტონში ის იხსენიება დაზგის მმართავად. 1777 წ. ზურაბ

<sup>1</sup>) იხ. გაზ. Кавказ 1846 г. № 48, წერილი О типографиях в Грузии. ზ. ჭიკინაძე კი თავის წიგნში (ქართული სტამბა და მეფე ვახტანგ მეექვსე, ტფ. 1909, გვ. 18) სწერს სრულებით პირუკულმა: „პირველად როცა სომხური სტამბა იხსნებოდა ეჩმიაძინში, მაშინ თფილისიდან, მეფის ბრძანებით, ბევრი რამ სასტამბო იარაღი უფეშქაშებით ლუკა კათოლიკოსისთვის. მალე ეს სტამბა ისე გამდიდრებულა, რომ ლუკა კათოლიკოსს მეფე ერეკლეს სტამბისთვის ერთი კარგი (დაზგა) საბეჭდი სტანოკიც გამოუზღავნია ფეშქაშად. ეს უნდა მომხდარიყოს 1782 წლის შემდეგ, როცა მეფე ერეკლემ სტამბა განაახლა და რომელი სტამბაც 30 ათასი მანეთი დაუჯდათ.“ გამოდის, რომ ერეკლე მეფე თითონ უზღავნიდა სასტამბო იარაღებს ლუკა კათოლიკოსს, როცა თითონაც აკლდა, ხოლო ფეშქაშად ღებულობდა მისგან მაშინ, როცა თითონაც ბევრი ჰქონდა. ეს, რა თქმა უნდა, შეუძლებელია.



სუფრაჯმა დავით მღვდელს მისცა მამული და სიგელით გაათავისუფლა ყმობისგან თავის გარდაცვალების შემდეგ იმ პირობით, რომ მის სიკვდილის შემდეგ ის ყოფილიყო მისი მომხსენებელი და მწირველი. გარდაცვალებამდე კი უნდა ემსახურა მისთვის ისევე, როგორც მანამდე ემსახურებოდა. სამწუხაროდ, არა ჩანს რაში მდგომარეობდა მისი სამსახური. 1782 წ. გადაიცვალა ზურაბ სუფრაჯი და დავითი სრულებით თავისუფალი შეიქნა თავადის ყმობისგან. მაშინ დავითმა სთხოვა ერეკლე მეფეს, რომ თავის ყმად მიეღო. ერეკლემაც მისცა 29 ივლისს 1782 წ. ყმად მიღების სიგელი, რომელშიც სწერია: „შენთან აღარას კაცს კელი აღარავისა აქვს, ქალაქში საცა გინდოდეს და შენი ნება იყოს, იქ დადევ და იქილამ გვემსახურე.“ 1784 წ. კი გაამწესა თავის კარის საყდრის მღვდლად.

სტამბაში მუშაობის გარდა დავით მღვდელი თავისუფალს დროს წიგნების გადაწერას ახმარებდა.

რადგან დავითის მამას გიორგი ერქვა, ხოლო ზედმეტი სახელი ჰქონდა ჩუბინი, ამიტომ დავითი სიგელებში მოხსენებულია ხან გიორგის შვილად ხან ჩუბინი ძედ. დავითი გადაიცვალა 1810 წ. მას ჰყავდა ვაჟიშვილები გიორგი, იოანე, იესე და ნიკოლოზი. გიორგი და იოანე, მღვდლები, სტამბის მოხელეები იყვნენ და დაბეჭდილ წიგნებში ერთი იხსენიება გიორგი დავით მღვდლის ძედ (1786 წ.),<sup>1</sup> მეორე იოანე, კარის საყდრის მღვდლის დავითის ძედ (1800 წ.)<sup>2</sup>. იესე, აგრეთვე მღვდელი, ცნობილია როგორც გადამწერი წიგნებისა და შემდგენელი ქართული გრამატიკისა. ნიკოლოზი იყო მწიგნობარი და მთარგმნელი რუსულითგან ქართულზე და ქართულითგან რუსულზე. იესე მღვდლის შვილი იყო ცნობილი პროფესორი დავით ჩუბინაშვილი.

1784—1794 წლებში დაბეჭდილ წიგნებში სტამბის მუშაკად მოხსენებული ქრისტესია ანუ ქრისტეფორე კარის ხუცესი კეჟერაშვილი იყო აზნაურის ბადრიძის ჩამომავალი. ეს აზნაური ბადრიძე საითგანღაც მისულა სოფ. მარტყოფში და დასახლებულა საგლეხო კეჟერაანთ ბეთალმან მამულზედ, გაგლეხკაცებულა და გვარადაც კეჟერაშვილად წოდებულა. ქრისტესია ანუ ქრისტეფორე კეჟერაშვილს მღვდლობა უშოვნია და ერეკლე მეფის კარის მღვდლად გამხდარა. ქრისტეფორე ყოფილა მეტად მხნე, მოხერხებული და გა-

1) იხ. ზევით, გვ. 100

2) იხ. ზევით, გვ. 101. იოანე, როგორც ჩანს წ. კ. საზოგადოების წიგნთსაცავის ხელთნაწერის № 154 მინაწერთგან, გადაცვლილა 1802 წ. მარტის 13-ს.

მბედავი კაცი. 1779 წ. ერევანზე გალაშქრების დროს ქრისტეფორე მღვდელი ერეკლე მეფეს თან ახლდა და აქ დიდი მხნეობა გამოიჩინა. ლაშქრობის შემდეგ პალესტინას წავიდა და იქ იერუსალიმში სტამბის საქმე შეისწავლა და, შეიძლება, ბერძნული ენაც, რომელიც მან იცოდა, იქ შეითვისა. პალესტინიიდან დაბრუნებული შეუდგა სტამბაში მუშაობას ჯერ როგორც მოძღვარი და მასწავლებელი სტამბის მუშაკთა (1784 წ.), შემდეგ გამგე და დაზღვის მმართველი (1786-1790 წ.), ბოლოს გამგებელი და ზედამხედველი ბექდისა (1791-1794 წ.). რავდენსავე წელს სტამბა აღებული ჰქონდა იჯარით, თითონ სწევდა ყოველსავე მიმდინარე ხარჯს და მოგების ნახევარს ხაზინას აძლევდა. მის გარჯილობით დაიბეჭდა 14,000 ცალ წიგნამდე. 1795 წ. აღამამდხანისაგან ტფილისის აოხრების შემდეგ განჯის ხანს წაყვანილი ჰყავდა ერთი ნაწილი ქართველი ტყვეებისა. ამ ტყვეთა დასაბრუნებლად ერეკლე მეფემ ამავე წელს გაგზავნა ქართველი ჯარი, რომელმაც ისე შეაწუხა განჯის ხანი, რომ იგი იძულებული შეიქნა ტყვეები დაებრუნებინა და ხარკის ძლევას დაჰპირებოდა ერეკლეს. ერეკლემ განჯის ხანისგან ქართველი ტყვეების ჩაბარება და ციხითგან მათი გამოყვანა ქრისტეფორე კეჟერაშვილს და იოსებ მისკარბაშს მიახლო. ქრისტეფორემ უშიშრად დაიარა განჯის სახლები და დუქნები, სადაც დამალული ჰყავდათ ტყვეები, ისინიც იპოვა და შვიდასი ტყვესამ დასად ციხითგან გამოიყვანა.

ქრისტეფორე იყო მეტად ერთგული მეფის ერეკლესი და თავდადებული მისთვის, რაიცა ჩანს შემდეგის ორის ფაქტითგან.

ერთხელ ერეკლე მეფე ავად გახდა საოფლით და ქრისტეფორე მღვდელი ორმოცის დღის და ღამის გამავლობაში მოუშორებლად თავს ადგა და უვლიდა მას, ვიდრე არ მორჩა. ხოლო როდესაც იგივე მეფე გადაიცვალა და დასაკრძალავად მის ცხედარი თელავითგან წაასვენეს მცხეთას, სადაც ამ დროს დიდი ჭირი მძვინვარებდა, მრავალი ხალხისგან, რომელიც ცხედარს აცილებდა, მარტო ქრისტეფორე შეჰყვა ცხედარს მცხეთაში და მიცვალებული საფლავს მიაბარა. აქ კიდევ ორმოც დღემდე დარჩა. აღდგომა დღისთვის თავის ძმას მოატანინა თავის სახლითგან პური, ღვინო და საკლავი და აღდგომა დღეს სამთავროს ეკლესიაში ალაპი გადაუხადა მიცვალებულს.

ქრისტეფორეს მოხერხებულობა ჩანს შემდეგი ფაქტითგან. გიორგი მეფეს დაღისტინის ჯარისთვის, რომელიც შედგებოდა 6,000 კაცისაგან და თავისთან ჰყავდა მცველად ანუ, მეფისავე თქმნით, სტუმრად, საჩუქრად მისაცემად სპილენძი დასჭირდა. ჭირიანობის გამო სპილენძის მადნის მუშები აქეთ-იქით იყვნენ დაფანტულნი და

მადანში მუშაობა შეჩერებული იყო. მეფის მინდობილობით ქრისტეფორემ შეკრიბა მუშები, მადნებში მუშაობა გააჩაღებინა და საჭირო სპილენძი დაამზადებინა.

ქრისტეფორემვე აღადგინა ტფილისის სტამბა, რომელიც აღამადნხანის შემოსევის დროს დაიწვა და აკლებულ იქნა.

აი ამ სამსახურისათვის გიორგი მეფემ 1799 წ. მიცემულის წყალობის წიგნით და სიგელით აღუდგინა ქრისტეფორეს და მის ძმას ნიკოლოზს აზნაურშვილობა და ბადრიძეობა და უბოძა სოფ. ზემო ნორიოში შვიდი საკომლო ბეითალმანი მამული. ამას გარდა დაუმტკიცა მეფე ერეკლესაგან მათ სახლისთვის საშვილიშვილოდ ნაბოძები მარტყოფის ორისავე ხეობის ნაცვლობა. ამის სანაცვლოდ მეფემ ქრისტეფორეს და მის ძმას და მათ ჩამომავლობას დაავალა, რომ ყოველ წელს მათ გაემართათ მეფე ერეკლეს მოსახსენებლად მის გარდაცვალების დღეს აღაპი.

გარდმოცემით, ქრისტეფორე გიორგი მეფის სიკვდილის შემდეგ დასახლებულა ნორიოში. აქ მას მოუნდომებია ეკლესიის აშენება და მასალაც მოუმზადებია, მაგრამ ნინოწმინდელ მიტროპოლიტს და რუსთველ არხიპისკოპოსს სტეფანეს პირადის მტრობით არ მიუცია აშენების ნება. შემდეგ, ამავე მღვდელმთავარს მღვდლობითგანაც გადაუყენებია. ამის შემდეგ ქრისტეფორე მალე გადაცვლილა და ხალხს მისგან საყდრის ასაგებად დამზადებული მასალა კოშკის აშენებაზე მოუხმარებია.

ქრისტეფორეს ჰყავდა ორი ვაჟი დიონოსი და პანტელეიმონი, რომელნიც აგრეთვე სტამბაში მუშაობდნენ. ერთი იხსენიება დიონოსი ქრისტესია ხუცის ძედ (1790 წ.)<sup>1</sup>, მეორე პანტელეიმონ კარის მღვდლის ქრისტესიას ძედ (1800 წ.)<sup>2</sup>, ორნივე როგორც მწერალნი.

ქრისტეფორეს და მისი ძმის ნიკოლოზის ჩამომავლები ახლაც სოფ. ნორიოში ცხოვრობენ და იწოდებიან ბადრიძეებად, ხალხი კი დღესაც კეჭერაშვილებად იცნობს მათ.<sup>3</sup>)

1) იხ. ზევით, გვ. 101.

2) იხ. ზევით, გვ. 100.

3) იხ. გაზ. „ივერია“ 1900 წ. № 171 ფარადაშვილის მიერ დაბეჭდილი გიორგი მეფის სიგელი 1799 წლისა; გაზ. Кавказ 1846 წ. № 48, წერილი Сведения о типографиях в Грузии, რომლის ავტორი უნდა იყოს მუშრები დავით ყორღანაშვილი, სტამბის ზედამღვამარედ (1783 წ.) და მოიჯარადრედ ნამყოფი.

ქართულის წიგნების ძველს ქართულ სტამბაში ბეჭდვის ისტორიის მოსათავებლად საჭიროა მოვიხილოთ წიგნების ბეჭდვა იმერეთის სტამბებშიც მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში.

მართალია, ზ. ჭიჭინაძე და ალ. ხახანაშვილი მოგვითხრობენ ვითომ წიგნების ბეჭდვა იმერეთში დაწყებულ იყოს მეთვრამეტე საუკუნეში, მაგრამ ერთი ცდება, მეორეც. ზ. ჭიჭინაძის თქმით, მას უნახავს ქუთაისში დაბეჭდილი წიგნი, რომელზედაც ყოფილა აღნიშნული შემდეგი ცნობა: „დაიბეჭდა ესე დაუჯდომელი სამეფოსა ქალაქსა ქუთაისს დროსა სამეფოსა (?) სოლომონ მეფისათა (?) წელსა განხორციელებით უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი ჩლო, ს. ც. (?)“.<sup>1)</sup> ეს ცნობა, თუ მართლა ამოკითხულია წიგნში, არ უნდა იყოს სწორედ წაკითხული, რადგან შეუძლებელია 1770 წ. სტამბა არსებულებას ქუთაისში, სადაც ოსმალები ბატონობდნენ და საითგანაც ისინი განდევნილ იქნენ გენერალ ტოტლებენის მიერ. სწორედ ამ წელს. ამას გაადა მოყვანილი ამონაწერი ისე ცუდად არის შესრულებული, რომ გასაკვირველი არ იქნება, რომ თარიღიც შეცდომით იყოს გადმოწერილი.

ალ. ხახანაშვილი თავას რუსულად დაბეჭდილს სიტყვიერების ისტორიაში სწერს: В конце XVIII в. в 1785 г. имеретинский царь Соломон II при содействии Романоза Зубашвили, изучавшего у Михаила, уроженца Валахии, типографское дело, устроил в Кутаисе типографию для печатания церковно-богослужебных книг. В 1787 г. вышла из кутаисской типографии первая печатная книга.<sup>2)</sup> ამ სიტყვებში იოტის ოდენა სიმართლე არ არის. ჯერ ერთი, რომანოზ ზუბაშვილი მიხეილ უნგროვლახელის ნამოწაჟარი არ იყო, როგორც ზევითა ვსთქვით, მეორეც, 1787 წ. რომანოზ ზუბაშვილი ტფილისში იყო და 1788 წელს კიდევ დაბეჭდა ვეებერთელა წიგნი.

ნამდვილად ქუთაისში სტამბა დაარსდა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, როდესაც სოლომონ მეფემ დაიბარა რუსეთითგან იქ მყოფი ტფილელი მესტამბე რომანოზ ზუბაშვილი. ამ მესტამბემ გამართა ქუთაისში სტამბა, რომელშიც დაიბეჭდა:

1803 წ. საღმრთო და სამღუდლო სახარება ვნების კვირიაკისა. ტექსტის სიფართოა 17,5×12,2 სანტ. შეიცავს 76 გვერდს. შრიფტი საშუალო ზომის ნუსხა ხუცურია. ანუსხულია გვერ-

<sup>1)</sup> იხ. ზ. ჭიჭინაძე. ქართული სტამბები 1627—1916 წ. გვ. 103.

<sup>2)</sup> იხ. А. Хаханов. Очерки по истории груз. словесн., в. III, Стр. 368.

დობით და რვეულობით ქართული ასოებით. რვეულში 8 გვერდია. დართულია სამეფო ღერბი.

ამავე 1803 წ. კურთხევანი, თარგმნილი ბერძნულისაგან ქართულად კიპრიანეს მიერ სამთავნელისა. ტექსტის სიფართეა  $17,3 \times 12$  სანტ. შეიცავს 563 (შეცდ. 562) გვერდს. შრიფტი საშუალო ზომის ნუსხა ხუცურია. ანუსხულია გვერდობით და რვეულობით ქართული ასოებით. რვეულში 8 გვერდია. დართულია რთული სამეფო ღერბის სურათი.

1807 წ. დავითნიანუ წიგნი ფსალმუნთა. ტექსტის სიფართეა  $13 \times 7$  სანტ. შეიცავს 479 გვერდს. შრიფტი საშუალო ზომის ნუსხა ხუცურია. ანუსხულია გვერდობით და რვეულობით ქართული ასოებით. დართული აქვს სამეფო ღერბი.

1808 წ. ჟამნი. ტექსტის სიფართეა  $15,7 \times 9,3$  სანტ. შეიცავს 584 გვერდს. შრიფტი წვრილი ნუსხა ხუცურია. ანუსხულია გვერდობით და რვეულობით ქართული ასოებით. პირველს სამს რვეულში არის რვა-რვა გვერდი, დანარჩენებში თექვსმეტ-თექვსმეტი. ნახმარია შავი და წითელი საღებავი. ეს წიგნი ეტყობა დასრულებულა 1809 წ., რაიცა ჩანს იქითგან, რომ ბოლოში დართული საკალენდრო ცნობები იწყება 1810 წლითგან და არა 1809 წლითგან.

1809 წ. რალაც მიზეზით<sup>1)</sup> სტამბა ქუთაისითგან გადაუტანიათ სოფ. წესს, რაქაში და იქ დაუბეჭდიათ:


1809 წ. სავედრებელი ღვთისმშობლისა. ტექსტის სიფართეა  $5,3 \times 3,7$  სან. შეიცავს  $32 + 142$  გვ. შრიფტი წვრილი ნუსხა ხუცურია. ანუსხულია გვერდობით და რვეულობით ქართული ასოებით. შედგება ორი ნაწილისაგან, რომელნიც ცალ-ცალკე არიან ანუსხულნი: 1. გალობა სავედრებელი უფლისა ჩუცნისა იესო ქრისტესი და 2. დაუჯდომელი და პარაკლისი ღვთისმშობლისა.

ამავე წელს თუ შემდეგის 1810 წლის დამდეგს სტამბა უკანვე გადაუტანიათ ქუთაისს და დაუბეჭდიათ:

1810 წ. ლოცვაანი. ტექსტის სიფართეა  $15 \times 7,7$  სანტ. შეიცავს 4 აუნ. + 402 ან. გვერდს. შრიფტი წვრილი ნუსხა ხუცურია. ანუსხულია რვეულობით თავითგანვე, გვერდობით მესამე ფურცლითგან. დართული აქვს სამეფო ღერბის სურათი, ღვთისმშობლის სურათი და ცოტად შეცვლილი იგივე რთული ღერბის სურათი, რაც 1803 წ. დაბეჭდილს კურთხევანს.

<sup>1)</sup> ხახანაშვილის თქმით კირიანობის გამო. იხ. Очерки по ист. груз. слов., в. III, стр. 369. სამწუხაროდ, ეს ცნობა ჩვენ ვერ შევამოწმეთ და ამიტომ დაჯერებით მის მიღება არ შეგვიძლიან.

ამის შემდეგ სტამბა ხელახლად გადაუტანიათ ქუთაისიდან სოფ. წესს და იქ დაუბეჭდილათ:



სავედრებელი ღვთისმშობლისა, სოფ. წესი (რაქა), 1809 წ. გვ. 40 და 41. ნამდვილი ზომა.

1811 წ. გამოკრებული საღვთისმშობლისა წაულთ. ტექსტის სიფართოა 10,5X7,5 სანტ. შეიცავს 518 (შეცდ. 508) გვერდს. შრიფტი წვრილი ნუსხა ხუტურია. ანუსხულია გვერდობით და რვეულობით ქართული ასოებით. რვეულს აქვს 8 გვერდი.

1812—1814 წლებში იმერეთში დაბეჭდილი წიგნები არა ჩანს. ცხადია, იმერეთის პოლიტიკურმა ცვლილებამ (რუსეთთან შეერთებამ, რომელიც მოხდა 1810 წ.), ხელი ვერ შეუწყო სტამბის მუშაობას. რავდენიმე წლის უხმარებლად ყოფნის დროს სტამბა ალბათ დაზიანდა, ამიტომ სტამბის უხუცესმა ზურაბ წერეთელმა, როდესაც მოინდომა სტამბის მუშაობის ხელახლად დაწყება თავის სოფელს საჩხერეში, რუსეთითგან გამოიწერა ორას სამოცი თუმნის სტამბის იარაღი და ტყვია და სტამბის მოწყობა მიანდო არქიმანდრიტს ზაქარიას, რომელიც მართავდა მანამდე ქუთაისის სტამბას. ზაქარია არქიმანდრიტმა, ერთის მხრით, და ზურაბ წერეთელმა და მისმა შვილმა გრიგოლმა, მეორე მხრით, დასდეს ერთმა-

ნერთში ხელშეკრულება, რომლის ძალით ზაქარიას უნდა გაემართა საჩხერეში, წერეთლის სასახლეში, სტამბა და ებეჭდა იქ წიგნები წერეთლის ხარჯით. ხარჯის დაფარვის შემდეგ შემოსავლითგან ორი მესამედი უნდა რგებოდა წერეთლებს, ერთი მესამედი ზაქარიას. ამასთან ზაქარიას ჰქონდა უფლება ებეჭდა წიგნები თავის ხარჯითაც და შემოსავალიც მთლად მისი ყოფილიყო.

საჩხერეში ზაქარიამ დაბეჭდა ორი წიგნი:

1815 წ. სამოციქულო. ტექსტის სიფართოა 28,4×16,3 სანტ. შეიცავს 223+63 გვერდს. შრიფტი საშუალო ზომის ნუსხა ხუცურია. ანუსხულია გვერდობით და რვეულობით ცალ-ცალკე სამოციქულო და მისი საძიებელი ქართული ასოებით. დართულია არქიმანდრიტის ზაქარიას ღერბის სურათი.

1817 წ. სახარება. ტექსტის სიფართოა 8,1×5,2 სანტ. შეიცავს 544+77 გვერდს. შრიფტი წვრილი ნუსხა ხუცურია. ანუსხულია ცალ-ცალკე სახარება და მის საძიებელი გვერდობით და რვეულობით ქართული ასოებით. ნახმარია შავი და წითელი საღებავი.

იმერეთში დაბეჭდილს წიგნებს აქვსთ ისეთივე თავწარწერა, როგორც ტფილისში დაბეჭდილებს: ჯერ იხსენიება ღმერთი, შემდეგ მეფე და დედოფალი, მას უკან იმერეთის მიტროპოლიტი და ეპისკოპოსი, წიგნის სახელი, დაბეჭდვის ადგილი და დრო. ხანდახან ბეჭდვის ხარჯის გამლებიც და სტამბის ზედამხედველიც არის ხოლმე მოხსენებული. მაგალ., 1803 წ. ქუთაისში დაბეჭდილს სახარებას აქვს შემდეგი თავწარწერა: „სადიდებელად ყოვლად წმიდისა ერთ-არსისა, ცხოველს მყოფელისა და განუყოფელისა სამებისა, მამისა და ძისა და სულისა წმიდისა, დროსა ყოვლად უბრწყინვალესისა, უკეთილმსახურესისა და უმაღლესისა სოლომონ მეორისა, მეფისა ყოვლისა საიმერეთისასა<sup>1</sup> და კეთილმორწმუნისა დედოფლისა მარიამ დადიანის ასულისასა, კურთხევითა ყოვლად სამღუდელოთა იმერეთისა მიტროპოლიტთა და ეპისკოპოსთა<sup>2</sup> დაიბეჭდა წიგნი ესე საღმრთო და სამღუდლო სახარება ვნების კვირიაკისა სამეუფოსა ქალაქსა ქუთაისს, ჰალატსა სამეფოსა საფასითა მათის უმაღლესობისათა, ზედამხედველობითა თავადის სახლთუხუცის ზურაბ წერეთლისათა წელთა დასაბამითგან სოფლისა კტია, ხოლო განხორციელებითგან სიტყვისა ღმერთისა ჩუგ თთფცსა იჟლისსა რიცხუსა იე“.

1) ზოგან: იმერეთისასა.

2) ზოგან: მღუდელ-მთავართა.

1811 წლითგან იმერეთის მეფის და დედოფლის ნაცვლად თავ-  
წარწერაში იხსენებიან რუსეთის იმპერატორი და იმპერატრიცა.

წიგნის ბოლოში ჩვეულებრივ არიან ხოლმე ჩამოთვლილნი ბექ-  
დვის მუშაკები. მაგალ., 1807 წ. ქუთაისში დაბეჭდილის დავითნის  
ბოლოში დართულია შემდეგი: „სტამბის უხუცესობითა თავადის სახლ-  
უხუცის ზურაბ წერეთლისათა. კელითა მესტამბე რაზმაძე რომანოზ  
ზუბაშვილისათა. გამგებელი, მმართველი და ზედამხედველი სტამბი-  
სა ამის მდაბალი არხიმანდრიტი ზაქარია, ფრიად მშრომელი მუშა-  
კობითა ვითხოვ, რათა მომიხსენებდეთ წმიდათა ლოცვათა შინა  
თქუწნთა“. ეს არქიმანდრიტი ზაქარია, მრავალმთის გარესჯის ბერი,  
ქუთაისსა და საჩხერეში დაბეჭდილს წიგნებში ყველგან არის მოხ-  
სენებული როგორც ფრიად დიდის შრომის გამწევი და მთხოვნელი  
მოხსენებისა.

საზოგადოდ წიგნის ბეჭდვის მუშაკები ყველა წიგნში აუწყებენ  
მკითხველთ თავიანთ შრომას და ითხოვენ შენდობას შეცდომათა-  
თვის.

1803 წ. ქუთაისში დაბეჭდილს სახარებაში და 1809 წ.  
წესში დაბეჭდილს ღვთისმშობლის სავედრებელში იმერეთ-  
ში სტამბის გამართვის ამბავი ასეა მოხსენებული: „ბრძანებითა მათის  
უმაღლესობისათა მოწოდებულ იქმნა რუსეთით მოსამსახურედ და  
გაკეთდა სტამბა ესე კელითა მესტამბე რომანოზ ზუბაშვილისათა“.

ამნიარად იმერეთშიც სტამბა როგორც სახელმწიფო მნიშვნე-  
ლობის დაწესებულება, მთავრობამ გამართა, ისევე ინახავდა თავის  
ხარჯით და მოთავსებული ჰქონდა ქუთაისში სამეფო სასახლეში.  
მთავრობას სტამბის შენახვაში და ბეჭდვის ხარჯში ეხმარებოდნენ  
წერეთლები ზურაბ და გრიგოლ და მღვდელ-მთავრები მიტროპოლი-  
ტი დოსითეოზ ქუთათელი და არხიეპისკოპოსი სოფრონ ნიკორწმინ-  
დელი. იმერეთშიც სტამბის საქმე საპატრიარქოდ მიაჩნდათ, რაიცა ჩანს  
იქითგან, რომ დიდებული თავადი და მეფის შემდეგ მეორე პირი  
სამეფოში სახლთუცესი და სარდალი ზურაბ წერეთელი არ უკად-  
რისობს და იწოდება სტამბის უხუცესად. ხოლო ის გარემოე-  
ბა, რომ ზურაბ წერეთელი და მისი შვილი გრიგოლი იმერეთის სა-  
მეფოს გაუქმების შემდეგ მართავენ თავიანთ ხარჯით სტამბას და  
ბეჭდავენ წიგნებს, გვიჩვენებს, რომ წიგნების ბეჭდვა მაშინ მოგების  
მიმცემი საქმე ყოფილა<sup>1)</sup>.

<sup>1)</sup> ამას ამტკიცებს შემდეგი ხელშეკრულება, დადებული ერთი მხრით ზუ-  
რაბ და გრიგოლ წერეთლებს და მეორე მხრით ზაქარია არქიმანდრიტს შორის:



ქუთაისში დაბეჭდილს წიგნებში მოთავსებულია სამეფო ღერბის სურათები, ზოგში მარტივი ღერბისა, როგორც ტფილისში გამოცემულს წიგნებში, ზოგში ოთხი ღერბისა.

იმერეთში დაბეჭდილი წიგნების მინაბეჭდებში სტამბის მუშაკებად იხსენებიან: 1. სტამბის უხუცესი, 2. გამგებელი, 3. ზედამხედველი, 4. მმართველი, 5. ღრამმატიკის კანონსა ზედა გამმართველი, 6. დაზვის მმართველი, 7. ბეჭდის მმართველი, 8. მესტამბე, 9. სტამბის სახმართა ზედა გამრჯელი.

მუშაკებად ჩანან: 1. ზურაბ წერეთელი სტამბის უხუცესად, ხან ზედამხედველად, 2. არხიმანდრიტრი ზაქარია<sup>1)</sup> გამგებ.

„ესე უტყუარი პირობის და სიმტკიცის წერილი მოკარვით მე მდაბალმან არქიმანდრიტმან ზაქარიამ თქვენ ბატონს წერეთელს სახლთუხუცესს ზურაბს და თქვენს შვილს ბატონს გრიგოლს, ასე რომ სტამბის სიყვარული გქონდათ და ორასსამოცი თუმნის სტამბის იარაღები, ტყვია და ქალაღი მოსკოვიდან მოატანინეთ და იყიდეთ და თქვენ ინებეთ საჩხერეს სტამბის გამართვა და მე მიბრძანეთ. მე თქვენის ერთგულებისა და სიყვარულისათვის ღვთის შეწევნით გავმართე და ვამუშავეთ. ახლა კიდევ პირობა მთხოვეთ და წყალობა მიბოძეთ ჩემის ძმისწულის ილარიონისათვის ყმა და მამული სააზნაურშიყოლო რვა გლეხი, რომელიც პირიქით მიბრძანეთ თავის ადგილმამულიანათ და ის ჩემი ძმისწული ყმათ მოგართვით. რადგან თქვენ ეს წყალობა ინებეთ, მეც პირობა მომირთმევია უტყუელი. თუ თქვენი სტამბა მე არ დამეშალოს თქვენგან საჩხერეს, მე არავისის ბრძანებით არას ადგილს სტამბა არ ვამუშაო, თუ ძალი ვისგანმე არ დამადგა. თუ ჩემს სახლში რომ მცირე მცირე დავბეჭდო შენი სტამბის წინააღმდეგომი და დამაყენებელი, არც ის ვქნა. კიდევ ეს პირობა მომირთმევია, ჩემის შეძლებისამებრ შენი სტამბა უმუშაოდ არ მოვაცდინო, ხარჯი თქვენი იქნება და ოსტატობა ჩემი, და ჩემს სიცოცხლეში თქვენს სიყვარულს და ერთგულებას ვეცადო. და რომელიც წიგნი თქვენის ხარჯით დავბეჭდოთ, ხარჯს უნდა გამოვიდეთ და რაც დარჩება, ორი წილი თქვენია და ერთი წილი ჩემი იქნება, და რომელსაც წიგნს თქვენს უხარჯოთ დავბეჭდავთ, ის კი საკუთრად ჩემი იქნება. და რადგან თქვენს სტამბაში დავბეჭდავთ რასმე, მისის მიზეზით სარგოც მოგერთმევათ. ღვთის წინაშე ეს შეკრულების და პირობის უტყუელი წერილი მომირთმევია წელთა ჩყიე მათს ე (აზის ბეჭედი წარწერით: არხიმანდრიტრი ზაქარია).

1) ზაქარია ცნობილია აგრეთვე როგორც წიგნების გადამწერი. გელათში გადმოსვლამდე ის ცხოვრობდა გარეჯის ნათლისმცემლის მონასტერში. საჩხერეში 1817 წელს დაბეჭდილის სახარების ერთი ცალზე ყოფილა წარწერა, რომლის მიხედვით ზაქარია ყოფილა გოდოგენელი აზნაური გურგენიძე (იხ. ხელთნაწერი და ნაბეჭდი წიგნები, რომელიც ინახებიან ათონის წმ. ილია წინასწარმეტყველის ეკლესიასა შინა, ივერიის მონასტრის მამულში დ. ხელთნაწერი სახელმწ. უნივერს. სიძველეთა საცავისა № 1141, გვ. 33).

ლად, ზედამხედველად, მმართველად, ღრამმატიკის კანონსა ზედა გამმართველად და დაზღის მმართველად, 3. რომანოზ ზუბაშვილი მესტამბედ და ბეჭდის მმართველად, 4. დავით რომანოზის ძე ზუბაშვილი მესტამბედ და ბეჭდის მმართველად, 5. გიორგი პაიჭაძე დაზღის მმართველად და სტამბის სახმართა გამრჯელად.

აქ მოხსენებულ მუშაკთაგან ყველაზე შესამჩნევია მესტამბე რომანოზ ზუბაშვილი, რომელმაც სტამბის ხელობა ტფილისში ისწავლა კონსტანტინოპოლითგან ერეკლე მეფის მიერ მოყვანილი მესტამბე პოლოს ოპანესიანისგან 1781—1783 წ.<sup>1)</sup> რომანოზი ხშირად იხსენიება რთულის გვართ: რაზმაძე რომანოზ ზუბაშვილად. ის ყოფილა მოურავის შვილი, მაგრამ არ ჩანს რაგვარი მოურავისა. რომანოზი მუშაობდა ტფილისში 1795 წლამდე. ალბათ ამ წელს, აღამამადხანისგან ტფილისის აოხრების შემდეგ, უნდა გადასახლებულიყვეს რუსეთს, საითგანაც დაიბარა სტამბის მოსაწყობად სოლომონ მეფემ 1802 წ. არ ვიცით რუსეთში რომელს ქალაქში ცხოვრობდა და რას აკეთებდა. სოლომონის დავალება შეასრულა რომანოზმა და ქუთაისში გამართა სტამბა, რომელმაც დაიწყო მოქმედება 1803 წ. სტამბისავე საქმეს ადგა მისი შვილი დავითი. რომანოზი გადაიცვალა ქუთაისში 1811 წელს, როდესაც ის მუშაობდა გამოკრებულის სადღესასწაულოს ბეჭდვაზე, რაიცა განაგრძო მისმა შვილმა დავითმა.

პროფ. ალ. ცაგარლის წიგნში Свед. о памятн. груз. письменности ივ. გრუზინსკის ბიბლიოთეკის წიგნთა კატალოგში ზუბაშვილის მაგიერ დაბეჭდილია ზუბალაშვილი (იხ. Вып. I, გვ. 32), ხოლო ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკის კატალოგში ზურაბიშვილი (იხ. Вып. III, გვ. 132). ამ შეცდომამ ზ. ჭიჭინაძეს ათქმევინა, რომ ზოგნი ზუბალაშვილად ხმარობენ ამ გვარსაო (იხ. მისი ქართული სტამბები 1627—1916 წ., გვ. 107). ნამდვილად ზუბაშვილის გვარი არსად არ არის მოხსენებული არც ზუბალაშვილად და არც ზურაბიშვილად.

მესტამბე ზუბაშვილის ჩამომავლობა ცხოვრობს სოფ. წესში რაჭაში. შესამჩნევი ის არის, რომ ზუბაშვილები, როგორც თვითონ მათ ისე მათ მეზობლებს რუსის ჩამომავლობისად მიაჩნიათ და ზუბოვებად იხსენებიან. ეს ლეგენდა, ცხადია, დამყარებულია იმაზე, რომ რომანოზ ზუბაშვილი სოლომონ მეფემ გამოიწვია რუ-

<sup>1)</sup> იხ. გაზ. Кавказ 1846 г. № 48. წერილი Сведения о типографиях в Грузии.

სეთითგან, სადაც ის ცხოვრობდა ქართლითგან წასული 1795 წლითგან. რუსეთში ყოფნის დროს, უეჭველია, რომანოვი და მისი ოჯახის წევრები რუსულს ისწავლიდნენ, ზოგიერთს რუსულს ჩვეულებას შეითვისებდნენ და გვარსაც რუსულს დაბოლოებას მისცემდნენ, როგორც ეს ხდებოდა ჩვეულებრივ იმ დროს, და ზუბაშვილს ზუბოვად გადაიკეთებდნენ. ყველაფერი ეს მათ მეზობლებზე ისეთ ჩაბეჭდილებას მოახდენდა თითქოს ისინი რუსები ყოფილიყვნენ. შესაძლებელია, რომანოვის რძალი რუსის ქალი ყოფილიყვეს და ამას უფრო მეტი საბუთი მიეცეს მეზობლებისთვის ზუბაშვილების რუსებად ჩათვლისათვის. მეზობლების აზრი ზუბაშვილების რუსობის შესახებ შემდეგში ზუბაშვილის ჩამომავლობასაც შეუთვისებია და ამნაირად შექმნილა ლეგენდა.

გიორგი პაიჭაძემ სტამბის საქმე ისწავლა რუსეთში, სადაც მუშაობდა ქართულს წიგნებზე. 1805 წ. მოსკოვში გამოცემულს სადღესასწაულოში მოხსენებულია მესტამბედ, რომელსაც ოთხი წელიწადი უმუშავნია ამ წიგნზე.

---

## დაბეჭდილი წიგნების სია

შემოკლებანი: მხ.—მხედრული, ხუც.—ხუცური, მოს.—მოსკოვი, ტფ.—ტფილისი, ქუთ.—ქუთაისი, საჩ.—საჩხერე, წ.—ყოფილი წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავი, წერ.—გრ. წერეთელი, ცაგ.—ა. ცაგარელი, თამ.—მ. თამარაშვილი, ქ.—ზ. კიკინაძე, უ.—თ. უორდანი, შან.—გ. შანშივეი, უნ.—ტფილისის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, ს. ს. ს. ს.—საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმი, ქ. ს. ს. ს.—ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმი, ხახ.—ა. ხახანაშვილი.

მარჯვენა მხარეზე აღნიშნული ციფრები უჩვენებენ ამ წიგნის გვერდებს.

1. 1629 წ.	ქართულ-იტალიური ლექსიკონი	მხ.	რომი	წ.	8
2. —	ქართული ანბანი ლოცვებითურთ	მხ.	რომი	უნ.	31
3. 1643 წ.	ქართული გრამატიკა მაჯიოსი	მხ.	რომი	წერ., ცაგ.	31
4. 1670 წ.	ქართული გრამატიკა მაჯიოსი	მხ.	რომი	წ.	38
5. 1681 წ.	საქრისტიანო მოძღვრება ბელარმინოსი	მხ.	რომი	თამ.	38
6. 1705 წ.	დავითნი	ხუც.	მოს.	წ.	45
7. 1709 წ.	სახარება	ხუც.	ტფ.	წ.	71
8. —	დავითნი (იხ. დავითნი, 1711 წ.)		ტფ.		71
9. —	სამოციქულო	ხუც.	ტფ.	წ.	71
10. —	დაუჯდომელი		ტფ.	ქ., უ.	76
11. 1710 წ.	კონდაკი	ხუც.	ტფ.	წ.	71
12. —	ლოცვანი	ხუც.	ტფ.	წ.	73
13. —	ჟამნი	ხუც.	ტფ.	წ.	73
14. 1711 წ.	დავითნი	მხ.	ტფ.	წ.	73
15. —	სწავლა თუ ვითარ მართებს მოძღვარს სწავლება მოწაფისა	მხ.	ტფ.	წ.	73
16. 1712 წ.	ვეფხისტყაოსანი	მხ.	ტფ.	წ.	73
17. —	დავითნი	ხუც.	ტფ.	წ.	73
18. —	ანბანი (ან ლოცვანი ანბანიითურთ)		ტფ.	ქ., შან.	76
19. 1713 წ.	კურთხევანი	ხუც.	ტფ.	წ.	73
20. 1713—1719 წ.	საწინასწარმეტყველო		ტფ.	უ.	76
21. 1717 წ.	ჟამნი	ხუც.	ტფ.	წ.	75
22. —	ლოცვანი	ხუც.	ტფ.	უნ.	75
23. 1719 წ.	ეკლესიის კურთხევის წესი	ხუც.	ტფ.	ს.ს.ს.ს.	75
24. 1720 წ.	პარაკლიტონი	ხუც.	ტფ.	წ.	75
25. 1721 წ.	ქმნულების ცოდნა	მხ.	ტფ.	წ.	75
26. 1722 წ.	ჟამნი	მხ.	ტფ.	ქ. ს. ს. ს.	75

27.	1730 წ. დაუჯდომელი		ტფ.	შან.	78
28.	1732-1737 წ. ანბანი იოსებ სამებელისა		მოს.	შან.	50
29.	— პირველი სასწავლო ყრმათათვის	ხუც.	მოს.	წ.	48
30.	1737 წ. დავითნი (იხ. ტრიოდინი, 1741წ.)		მოს.		52
31.	1738 წ. ზადიკი	ხუც.	მოს.	წ.	52
32.	1739 წ. სახარება	ხუც.	მოს.	წ.	52
33.	— ტესტამენტი	ხუც.	მოს.	წ.	52
34.	1741 წ. ტრიოდინი ანუ მარხვანი	ხუც.	მოს.	წ.	54
35.	— საქრისტიანო მოძღვრება გინა წურთნა	მხ.	რომი	წ.	40
36.	— საქრისტიანო მოძღვრება, მოკლედ დარიგებული	მხ.	რომი	წ.	42
37.	1743 წ. ბიბლია ანუ დაბადება	ხუც.	მოს.	წ.	54
38.	1744 წ. იოანე დამასკელის გარდმოცემა	ხუც.	მოს.	წ.	55
39.	1749 წ. ლოცვანი	ხუც.	ტფ.	ქ. ს. ს. ს.	87
40.	1751 წ. კონდაკი	ხუც.	ტფ.	წ.	87
41.	— სახარება		ტფ.	ქ., ცაგ.	88
42.	— ქადაგება ღვთისმეტყველება ან-ტონ კათოლიკოზისა	ხუც.	ტფ.	ს. ს. ს. ს.	88
43.	1763 წ. ლოცვანი	ხუც.	ტფ.	ს. ს. ს. ს.	88
44.	— ფსალმუნი ანუ დავითნი	ხუც.	ტფ.	უნ.	88
45.	— ღვთისმშობლის დაუჯდომელი (იხ. დავითნი, 1764 წ.)		მოს.		58
46.	1764 წ. დავითნი	ხუც.	მოს.	წ.	58
47.	— კურთხევანი	ხუც.	ტფ.	ს. ს. ს. ს.	88
48.	1765 წ. სამოციქულო	ხუც.	მოს.	წ.	59
49.	1766 წ. სახარება საკითხავად დიდს ხუთშაბათსა	ხუც.	მოს.	უნ.	59
50.	1767 წ. პარაკლისი	ხუც.	მოს.	წ.	59
51.	1768 წ. ლოცვანი	ხუც.	მოს.	წ.	59
52.	— ჟამნი	ხუც.	მოს.	წ.	59
53.	— დავითნი	ხუც.	მოს.	წ.	59
54.	1769 წ. დაუჯდომელი	მხ.	ტფ.	წ.	89
55.	1772 წ. პარაკლიტონი	ხუც.	ტფ.	წ.	89
56.	1780 წ. დავითნი (იხ. მოს. სინ. სტამ. ბიბლ. კატალოგი № 4643)		ტფ.		90
57.	1782 წ. შესხმა პირველი ახლისა ამის წიგნთსაბეჭდავისა	ხუც.	ტფ.	ცაგ.	90
58.	1783 წ. კონდაკი	ხუც.	ტფ.	წ.	90
59.	1784 წ. კურთხევანი	ხუც.	ტფ.	წ.	90
60.	— კიტაიის სიბრძნე	მხ.	ტფ.	წ.	90
61.	1786 წ. სახარება	ხუც.	ტფ.	ქ. ს. ს. ს.	92
62.	1788 წ. ზადიკი	ხუც.	ტფ.	წ.	92
63.	1790 წ. დაუჯდომელი	მხ.	ტფ.	წ.	92

64. 1790 წ. ან 1791 წ. დავითნი		ტფ.	ხაზ.	92
65. 1791 წ. სამოციქულო	ხუც.	ტფ.	წ.	93
66. — სახარება	ხუც.	ტფ.	წ.	93
67. — ჟამნი	ხუც.	ტფ.	წ.	93
68. 1793 წ. ტრიოდინი ანუ მარხვანი	ხუც.	ტფ.	წ.	93
69. — კონდაკი	ხუც.	ტფ.	ს.ს.ს.ს.	93
70. — მცირე ლოცვანი.	ხუც.	ტფ.	წ.	93
71. 1794 წ. კურთხევანი	ხუც.	ტფ.	ს.ს.ს.ს.	94
72. 1795 წ. ლოცვანი	ხუც.	ტფ.	ცაგ.	94
73. 1797—1800 წ. საქრისტიანო მოძღვრება გინა წურთნა	მხ.	რომი	წ.	42
<hr/>				
74. 1800 წ. ნარკვევი ანუ მსოფლიო ისტორია	მხ.	ტფ.	წ.	94
75. — დაუჯდომელი	მხ.	ტფ.	წ.	94
76. 1803 წ. კურთხევანი	ხუც.	ქუთ.	წ.	107
77. — სახარება ვნების კვირიაკისა	ხუც.	ქუთ.	წ.	106
78. 1807 წ. დავითნი	ხუც.	ქუთ.	წ.	107
79. 1808 წ. ჟამნი	ხუც.	ქუთ.	წ.	107
80. 1809 წ. სავედრებელი ღვთისმშობლისა	ხუც.	წესი	წ.	107
81. 1810 წ. ლოცვანი	ხუც.	ქუთ.	უნ.	107
82. 1811 წ. გამოკრებილი სადღესასწაულო	ხუც.	წესი	წ.	108
83. 1815 წ. სამოციქულო	ხუც.	საჩხ.	ს.ს.ს.ს.	109
84. 1817 წ. სახარება	ხუც.	საჩხ.	წ.	109

## ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა . . . . .	83
რომში დაბეჭდილი წიგნები . . . . .	7
რუსეთში დაბეჭდილი წიგნები . . . . .	44
საქართველოში დაბეჭდილი წიგნები . . . . .	66
დაბეჭდილი წიგნების სია . . . . .	115

---

7256.

~~8360 1 8. 50 d.~~

64/153